N 4 2026

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში“



N4(113), 2026
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ეკატერინე ხუციშვილი,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
შორენა ტყემალაძე,
სოფიკო ლობჟანიძე,
ნანა მაკარაძე, ნატო ქობულაძე,
მარიტა ჩერქეზიშვილი,
ნატო ინგოროყვა, ანა ანუშიძე,
თამარ მამარდაშვილი,
ნინო ცხაკაია, ლელა ეძგვერაძე,
მარეხ ნიკოლაძე, მაკა სახურია,
გიორგი სილაგავა,
ბელა დურგლიშვილი,
სოფიკო ლორთქიფანიძე,
თინათინ ყუფარაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

სკოლა ვერასდროს იქნება სტატიკური – ის მუდმივი მოძრაობის, ძიებისა და კითხვების დასმის სივრცეა. ყოველდღიურ საკლასო ოთახში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ დასწავლის პროცესს, არამედ იმ დიდ ემოციურ და ინტელექტუალურ გზას, რომელსაც მოსწავლე პედაგოგთან ერთად გადის.

როგორ ვაქციოთ ყოველი გაკვეთილი არა უბრალოდ სავალდებულო აქტივობად, არამედ რეალური აღმოჩენების სივრცედ? როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს, გრამატიკული წესი ცოცხალ მეტყველებად აქციოს, ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი – კრიტიკული ანალიზის საგნად, ხოლო საკლასო ოთახი – ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის კულტურად?

ჟურნალის ამ ნომერში თავი მოვუყარეთ იმ პრაქტიკულ მიდგომებსა და საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც ზუსტად ამ გამოწვევების დაძლევაში დაგვეხმარება. თითოეული სტატია ეძებს პასუხს კითხვაზე: როგორ გავხადოთ სწავლება უფრო ცოცხალი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული.

გამოვყოფ ძირითად თემებს:

- **ინოვაციური მეთოდები და კრიტიკული აზროვნება:** გაეცნობით, როგორ ეხმარება PESTEL ცხრილისა და „პოლიტიკის ლაბორატორიის“ სინთეზი მოსწავლეებს სოციალური პრობლემების სისტემურ ანალიზში, ან როგორ ვასწავლოთ ბავშვებს პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა ბისოციაციისა და დე ბონოს მეთოდებით.
- **ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და კლიმატი სკოლაში:** რატომ იქცევა დაბალი თვითშეფასება სტრესის წყაროდ და როგორ ვუპოვოთ ბავშვს მხარდამჭერი სიტყვა მაშინაც კი, როცა თავად აღარ სჯერა საკუთარი თავის; რა როლი აქვს პოზიტიურ სასკოლო კულტურას დირექტორებისა და მთელი საზოგადოების წარმატებისთვის.
- **სკოლამდელი განათლება და მშობელთა პარტნიორობა:** როგორ იწყება ხარისხიანი ეროვნული სასწავლო გეგმა ბავშვის ინტერესებიდან და თემის რესურსებიდან და რა გვიამბო მე-10 კლასის მოსწავლეთა და მშობელთა პარალელურმა კვლევამ.
- **ენობრივი კომპეტენციები და ციფრული ეთიკა:** როგორ გადავიტანოთ გრამატიკული ცოდნა პრაქტიკულ უნარებში და ვასწავლოთ მოსწავლეებს ტექსტთან მუშაობა; როგორ გავმიჯნოთ ხელოვნური ინტელექტი ადამიანური ბუნებისგან და თავიდან ავიცილოთ ანთროპომორფიზმის დილემა; როგორ გვამხელს სნობიზმის ენობრივი მარკერები მოზარდებში და როგორ ვითარდება ადამიანის უფლებების კულტურა საერთაშორისო eTwinning პროექტებით.

ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ტრანსფორმაცია, სოციალური ქსელების პედაგოგიკა – ეს აღარ არის შორეული მომავლის თემა. ეს ყველაფერი უკვე ჩვენს საკლასო ოთახებშია: ჩვენი მოსწავლეების ჩანთებში, მათ ყურსასმენებში, საშინაო დავალების წერისას გახსნილ ჩატბოტების ფანჯრებში.

დღევანდელი მასწავლებლის ყველაზე რთული და, ამავე დროს, ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანაა, ტექნოლოგია არ აღვიქვათ მოწინააღმდეგედ, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ, არამედ ვისწავლოთ მისი გააზრებული, კრიტიკული და ეთიკური გამოყენება ისე, რომ არც ერთი ბავშვის ცნობისმოყვარეობა, თანაგრძნობის უნარი და დამოუკიდებელი აზროვნება არ დაზარალდეს.

გვჯერა, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები ახალ შთაგონებას მოგცემთ და დაგეხმარებათ, ყოველი გაკვეთილი მოსწავლისთვის პიროვნული ზრდისა და აღმოჩენების სივრცედ აქციოთ.

სწავლების მეთოდი

შორენა ტყემალაძე

3 PESTEL და პოლიტიკის ლაბორატორია როგორც სწავლების ინოვაციური მეთოდი

ინოვაციაა ის, რომ ამ მეთოდით სასწავლო თემებს შორის მყარდება ვერტიკალური ურთიერთკავშირი და იწყება საკლასო აქტივობიდან სასკოლო კულტურის ხელშეწყობისკენ სვლა.

გამოცდილება

თამარ მამარდაშვილი

40 ცოდნის ტრანსფერის პრობლემა: რატომ ვერ იყენებენ მოსწავლეები გრამატიკულ წესებს პრაქტიკაში

სწავლების პროცესმა ცოდნის ფუნქციური გამოყენება უნდა უზრუნველყოს. ეს მოთხოვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ენის სწავლებისას, სადაც გრამატიკული წესების ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როდესაც მოსწავლე მათ ბუნებრივად იყენებს ზეპირ და წერით მეტყველებაში.

სასკოლო კულტურა

ანა ანუშიძე

37 სასკოლო კულტურის როლი სწავლა-სწავლების პროცესში, როგორ შევქმნათ პოზიტიური სასკოლო კულტურა

სასკოლო კულტურა გავლენას ახდენს სკოლის გამართული ფუნქციობისთვის საჭირო ყველა ასპექტზე, ამიტომ მოსწავლეების, მასწავლებლების, დირექტორებისა და მთელი სასკოლო საზოგადოების წარმატებისთვის პოზიტიური სასკოლო კულტურა გვჭირდება.

მოსაზრება

სოფიკო ლობჟანიძე

9 თეორიიდან პრაქტიკამდე – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის სწავლება იწყება ისეთი სასწავლო გარემოს შექმნით, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, დასვან კითხვები, შესთავაზონ განსხვავებული იდეები, ითანამშრომლონ თანატოლებთან და შეცდომა აღიქვან, როგორც სწავლის ბუნებრივი და მნიშვნელოვანი ნაწილი.

ნატო ინგოროყვა

33 ციფრული ტრანსფორმაციის უხილავი არქიტექტურა – სკოლის კულტურა ინოვაციების ეპოქაში

განათლების ციფრული ტრანსფორმაცია არ არის სტატიკური მიზანი ან ფინიშის ხაზი, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება ერთხელ მიაღწიოს და პროცესი დასრულებულად გამოაცხადოს.

ნინო ცხაკაია

44 გენერაციული ხელოვნური ინტელექტი: სარკის ეფექტი თუ ანთროპომორფიზმის დილემა

საყურადღებოა, როგორ ცვლის ტრანსფორმაციული განათლების პარადიგმა თანამედროვეობის მოთხოვნებს, განათლების სტანდარტსა და შინაარსს, სწავლა-სწავლებისთვის საჭირო უნარებს, ცოდნასა და ღირებულებებს.

მაკა სახურია

54 ტროპის წვიმა ნუგზარ შატაიძის „თუთქის მიმყრელში“

დიდოსტატ მწერალს შეუძლია, ტროპის გარეშეც, პერსონაჟთა მოქმედებით, დიალოგებითა და პოლილოგებით ააგოს მხატვრული სიტყვიერების დაუვიწყარი ნიმუში. არჩევანი ავტორსა და მის ოსტატობაზეა, მკითხველებს კი ნიჭიერად დაწერილი ორივე მოგვეწონება – ტროპის წვიმაც და გვალვაც.

სკოლამდელი განათლება

ნატო ქობულაძე

18 ყველაფერი იწყება ბავშვით: ინტერესებიდან თემის რესურსებამდე

თანამედროვე სკოლამდელი განათლება ეფუძნება იდეას, რომ ბავშვი ყველაზე ეფექტიანად მაშინ სწავლობს, როდესაც სასწავლო გამოცდილება მის ინტერესებს, საჭიროებებსა და ყოველდღიურ გამოცდილებას ეყრდნობა.

27 **გიორგი სილაგავა**
სპორტი და მოტივაცია

28 **ბელა დურგლიშვილი**
მედიაწიგნიერების უნარები შემოქმედებითი დავალებისათვის

29 **სოფიკო ლორთქიფანიძე**
ენა, რომელიც გვამხელს: სნობიზმის ენობრივი მარკერები მოზარდებში

30 **თინათინ ყუფარაძე**
საგანმანათლებლო ინიციატივა „ადამიანის უფლებები და უფლებების ძალა“

პრაქტიკის კვლევა

მარიტა ჩერქეზიშვილი

23 ორი ხედვა, ერთი მიზანი: რა გვიამბო მე-10 კლასის მოსწავლეთა და მშობელთა პარალელურმა კვლევამ

სტატია აანალიზებს მე-10 კლასის მოსწავლეთა და მშობელთა პარალელური კვლევის შედეგებს. ნაშრომი გვიჩვენებს, თუ როგორ ეხმარება რეალური მონაცემები დამრიგებელს სუბიექტური ვარაუდებისგან გათავისუფლებაში, სადამრიგებლო საათების კარიერულ დაგეგმვაზე გადატანასა და სკოლა-ოჯახის მტკიცე პარტნიორობის უზრუნველყოფაში.

განათლების ფსიქოლოგია

ნანა მაკარაძე

14 როდის იქცევა დაბალი თვითშეფასება მოსწავლისთვის სტრესის წყაროდ

სტატიაში განხილულია, თუ როგორ ყალიბდება დაბალი თვითშეფასება და რა ნიშნებით შეიძლება მისი ამოცნობა, რათა მასწავლებელმა და მშობელმა დროულად შეუწყონ ხელი ბავშვს ჯანსაღი თვითაღქმისა და საკუთარი ძალების რწმენის განვითარებაში. ყველა ბავშვს სჭირდება ადამიანი, რომელიც მას საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნებს მაშინაც კი, როდესაც თავად აღარ სჯერა საკუთარი თავის.

ლელა ეძგვერაძე

47 მეტაკოგნიტიური პაუზა როგორც თვითრეგულირებადი სწავლის უნარის განვითარების ინსტრუმენტი

მეტაკოგნიტიური პაუზების ეფექტურად გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია მოსწავლეს, გააცნობიეროს კონკრეტული აქტივობის დანიშნულება და მისი კავშირი სასწავლო მიზნებთან. ამისთვის საკმარისი არ არის სასწავლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება.

პრაქტიკული გამოცდილება

მარეხ ნიკოლაძე

50 მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკები (EVIDENCE-BASED PRACTICES, EBP) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან მუშაობისას

პოზიტიური განმტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ეფექტიან პრაქტიკას, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების სოციალური, კომუნიკაციური და ქცევითი უნარების განვითარებას სკოლამდელ საგანმანათლებლო გარემოში.

შორენა ტყემალაძე

PESTEL და პოლიტიკის ლაბორატორია როგორც სწავლების ინოვაციური მეთოდი

ინოვაციაა ის, რომ ამ მეთოდით სასწავლო თემებს შორის მყარდება ვერტიკალური ურთიერთკავშირი და იწყება საკლასო აქტივობიდან სასკოლო კულტურის ხელშეწყობისკენ სვლა.

რატომ მოითხოვს მოქალაქეობის სწავლება ისეთ მეთოდებს, რომლებიც მოსწავლეს მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებას კი არ ასწავლის, არამედ იმასაც დაანახებს, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი პრობლემა მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენოთ სწავლების პროცესში PESTEL ცხრილი და პოლიტიკის ლაბორატორია ინტეგრირებული მოდელით.

PESTEL და პოლიტიკის ლაბორატორია ცნობილი, პრაქტიკაში დანერგილი კონცეფციებია. ჩვენი სიახლეა მათი ინტეგრირება VIII-XI კლასების მოქალაქეობის საგნის სასწავლო თემებში.

ინოვაციაა ის, რომ ამ მეთოდით სასწავლო თემებს შორის მყარდება ვერტიკალური ურთიერთკავშირი და იწყება საკლასო აქტივობიდან სასკოლო კულტურის ხელშეწყობისკენ სვლა. სტატია თვალსაჩინოდ აჩვენებს, როგორ შეიძლება, ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ყოფითი ცხოვრებიდან, მაგალითად, შშმ პირთა ინკლუზია, გავაანალიზოთ ვერტიკალურად, საფეხურებრივად, მოსწავლეთა ასაკობრივი და საგნობრივი პროგრამის შესაბამისად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს უწყვეტობას და აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი პრობლემები კომპლექსურია და მრავალმხრივ გააზრებას მოითხოვს.

აქვე გავიხსენოთ მოქალაქეობის საგანში აღნიშნულ კლასებში შესასწავლი პირველი თემები და დავუკავშიროთ საკვლევ საკითხს – შშმ პირთა ინკლუზიას: რა უწყობს ხელს ან რა აფერხებს შშმ პირთა თანაბარ მონაწილეობას საზოგადოებაში?

VIII კლასი – სამოქალაქო საზოგადოება: განსაკუთრებით აქტუალურია სამოქალაქო საზოგადოების როლი ამ საკითხის წინ წამოწევაში.

IX კლასი – ცენტრალური ხელისუფლება: სახელმწიფოს პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო უმნიშვნელოვანესია.

X კლასი – გლობალური მოქალაქეობა: საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების ცოდნა წარმატებისა და მდგრადობის საფუძველია.

XI კლასი – მეწარმეობა და ბიზნესი: ეკონომიკური დამოუკიდებლობა, დასაქმება და სოციალური პასუხისმგებლობა აუცილებელია შშმ პირთა ინკლუზიური პრაქტიკების გასაძლიერებლად.

ამ პრინციპით კლასების გაერთიანება გვაძლევს სკოლის ბაზაზე როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის საინტერესო საფუძველს. VIII-XI კლასების მოსწავლეები აერთიანებენ თავიანთ საგნობრივ ცოდნას. მაგალითად, მერვეკლასელებს შემოაქვთ თემის ხედვა, მეცხრეკლასელებს – სამართლებრივი

ასპექტები, მეათეკლასელებს – საერთაშორისო გამოცდილება, ხოლო მეთერთმეტეკლასელებს – ბიზნესგადაწყვეტილებების ეფექტიანობის ანალიზი და ხელმისაწვდომობის იდეები.

საერთო მიზნის ირგვლივ სწავლების ეს მოდელი ცვლის სკოლის კლიმატს. სკოლა ხდება უფრო სოლიდარული, ემპათიური და ინკლუზიური. მოსწავლეები მუშაობენ არა თეორიულ, არამედ თავიანთ გარემოში არსებულ ბარიერებზე, მაგალითად, სკოლის ან თემის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობაზე, რაშიც მშობლებს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და თემის წევრებსაც რთავენ.

აქვე ვნახოთ, როგორ უკავშირდება ეს საკითხი თითოეული კლასის შესაბამის თემას:

გადაწყვეტაზე დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენს.

N	ფაქტორი	რას სწავლობს მოსწავლე
1	Political (პოლიტიკური)	ხელისუფლების პოლიტიკა და მმართველობითი გადაწყვეტილებები
2	Economic (ეკონომიკური)	ეკონომიკური გავლენა, ბიუჯეტი და დასაქმების ბაზარი
3	Social (სოციალური)	საზოგადოების დამოკიდებულება, განწყობები და კულტურული ნორმები
4	Technological (ტექნოლოგიური)	ტექნოლოგიური შესაძლებლობები და ციფრული ხელმისაწვდომობა
5	Environmental (გარემოსთან დაკავშირებული)	გარემოს გავლენა, ფიზიკური ინფრასტრუქტურა და ადაპტირება
6	Legal (სამართლებრივი)	მოქმედი კანონმდებლობა და ადამიანის უფლებების დაცვა

VIII კლასი თემა: სამოქალაქო საზოგადოება	IX კლასი თემა: ცენტრალური ხელისუფლება	X კლასი თემა: გლობალური მოქალაქეობა	XI კლასი თემა: მეწარმეობა და ბიზნესი
სამოქალაქო საზოგადოების (საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სათემო ჯგუფები, მოხალისეები) მთავარი ფუნქციაა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა და ინკლუზიის ხელშეწყობა. კვლევითი კითხვა ეხმარება მოსწავლეებს, გააანალიზონ, რა როლი აკისრია სამოქალაქო სექტორს შშმ პირთა წინაშე არსებული ბარიერების (ინფრასტრუქტურა, სოციალური სტიგმა) აღმოფხვრაში.	შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობა პირდაპირ არის დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკაზე, კანონმდებლობასა და ბიუჯეტზე. კვლევითი კითხვა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობა: რამდენად ეფექტურად იცავენ სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოები შშმ პირთა უფლებებს და რა სამართლებრივი ან ინფრასტრუქტურული ბარიერები არსებობს სახელმწიფო დონეზე.	ინკლუზია და ადამიანის უფლებები გლობალური დღის წესრიგის (მაგ., გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია – UN CRPD, მდგრადი განვითარების მიზნები) ნაწილია. კვლევითი კითხვა მოსწავლეებს იმის დანახვაში ეხმარება, რომ შშმ პირთა ინკლუზიის ხელშემწყობი თუ მისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები საყოველთაო/გლობალური გამოწვევაა და აძლევს შესაძლებლობას, შეადარონ საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება ადგილობრივს.	შშმ პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და დასაქმებაა. კვლევითი კითხვა უბიძგებს მოსწავლეებს, გააანალიზონ ბიზნესსექტორის როლი: ქმნის თუ არა ბიზნესი ხელმისაწვდომ სამუშაო გარემოს/ადგილებს (ხელშემწყობი ფაქტორი) თუ არსებობს დისკრიმინაცია დასაქმების ბაზარზე (ხელის შემშლელი ფაქტორი), ასევე რას ნიშნავს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესი.

PESTEL-ის ცხრილი მოსწავლეს ასწავლის კითხვის დასმის ტექნიკებს (**რატომ არსებობს ეს პრობლემა?**), პოლიტიკის ლაბორატორიის მეთოდი კი კითხვაზე დააფიქრებს (**რა შეიძლება გავაკეთოთ ამ პრობლემის გადასაჭრელად?**). ანუ მოსწავლე ანალიზიდან გადაწყვეტილების მიღებაზე გადადის, რაც მოქალაქეობის საგნის შესწავლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

მოსწავლე იწყებს კონკრეტული პრობლემის – „შშმ პირთა ინკლუზიისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები“ – გაანალიზებას 6 განსხვავებული კუთხით. ის სვამს კითხვებს, ეძებს ინფორმაციას და მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული ცხრილის შესაბამის ველებში წერს იმ გარემო ფაქტორებს, რომლებიც მოცემული პრობლემის

სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპები კი ასე გამოიყურება:

ეტაპები	VIII კლასი თემა: სამოქალაქო საზოგადოება	IX კლასი თემა: ცენტრალური ხელისუფლება	X კლასი თემა: გლობალური მოქალაქეობა	XI კლასი თემა: მეწარმეობა და ბიზნესი
I ეტაპი პრობლემური კითხვა	მასწავლებელი სვამს კითხვას: „რა როლი აკისრიათ სამოქალაქო საზოგადოებასა და სათემო ჯგუფებს შშმ პირთა ინკლუზიისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების დაძლევაში?“ ეხმარება მოსწავლეებს ადგილობრივი/სათემო მაგალითების გააზრებაში.	მასწავლებელი სვამს კითხვას: „როგორ უზრუნველყოფს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა/კანონმდებლობა შშმ პირთა თანაბარ უფლებებს?“ მიმართავს მოსწავლეთა ყურადღებას კანონებისა და სახელმწიფო პროგრამებისკენ.	მასწავლებელი სვამს კითხვას: „როგორ შეესაბამება შშმ პირთა უფლებები საერთაშორისო სტანდარტებს და რას გვაძლევს გლობალური გამოცდილება?“ ხაზს უსვამს საერთაშორისო კონვენციებსა და ადამიანის უფლებებს.	მასწავლებელი სვამს კითხვას: „რა ბარიერები და შესაძლებლობები არსებობს ბიზნესსექტორში შშმ პირთა დასაქმებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის?“ მიმართავს მოსწავლეთა ყურადღებას შრომის ბაზრისა და სოციალური პასუხისმგებლობისკენ.
II ეტაპი ინფორმაციის მოძიება	აძლევს მოსწავლეებს მიმართულებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების სათემო ფონდებისა და მოხალისეობრივი მოძრაობების ანგარიშებით, ვიდეომასალითა და ქეისებით.	მიუთითებს მოსწავლეებს სახელმწიფო პორტალებზე, კანონმდებლობაზე (მაგ., შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონი), ბიუჯეტის მონაცემებსა და სამინისტროების ინფრასტრუქტურულ გეგმებზე.	აწვდის ინფორმაციას გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციაზე, მდგრადი განვითარების მიზნებსა და სხვა ქვეყნების წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკაზე.	აწვდის მასალებს შრომის კოდექსზე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითებზე, სოციალურ საწარმოებსა და დასაქმების სტატისტიკაზე.
III ეტაპი PESTEL-ის შევსება	ფასილიტაციას უწევს PESTEL-ის შევსებას S (სოციალურ) და P (პოლიტიკურ/სამოქალაქო) ფაქტორებზე აქცენტით (მაგ., საზოგადოებრივი ცნობიერება, სტიგმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობა).	ფასილიტაციას უწევს PESTEL-ის შევსებას P (პოლიტიკურ) და L (სამართლებრივ) ფაქტორებზე აქცენტით (მაგ., კანონმდებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტი, აღმასრულებელი ორგანოების პოლიტიკა).	ფასილიტაციას უწევს PESTEL-ის შევსებას T (ტექნოლოგიურ) და E (გარემოსთან დაკავშირებულ/გლობალურ) ფაქტორებზე აქცენტით (მაგ., საერთაშორისო სტანდარტები, გლობალური ტექნოლოგიური მისაწვდომობა).	ფასილიტაციას უწევს PESTEL-ის შევსებას E (ეკონომიკურ) და T (ტექნოლოგიურ/სამუშაო გარემოს) ფაქტორებზე აქცენტით (მაგ., ბიზნესის სტიმულირება, სამუშაო ადგილების ადაპტაცია).
IV ეტაპი ჯგუფური განხილვა	ფასილიტაციას უწევს დისკუსიას: ეხმარება მოსწავლეებს იმის გაანალიზებაში, როგორ შედის სამოქალაქო სექტორი დიალოგში ხელისუფლებასა და თემთან შშმ პირთა დასახმარებლად.	ფასილიტაციას უწევს სვამს დამხმარე კითხვებს იმაზე მსჯელობისთვის, ეფექტურად სრულდება თუ არა კანონები პრაქტიკაში და რა ხარვეზებია ცენტრალურ დონეზე.	ფასილიტაციას უწევს დისკუსიას: ეხმარება მოსწავლეებს ადგილობრივი რეალობის გლობალურ სტანდარტებთან შედარებაში – სად ვართ ჩვენ და სად არის მსოფლიო.	ფასილიტაციას უწევს დისკუსიას: ეხმარება მოსწავლეებს, მოიფიქრონ ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტები და სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები შშმ პირთა დასასაქმებლად.
V ეტაპი პრეზენტაცია	აფასებს მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილ სათემო/სამოქალაქო პროექტების იდეებსა და რეკომენდაციებს, იძლევა უკუკავშირს.	აფასებს მოსწავლეთა მიერ მომზადებულ საკანონმდებლო/პოლიტიკის რეკომენდაციებს (Policy Brief) ცენტრალური ხელისუფლებისთვის, იძლევა უკუკავშირს.	აფასებს მოსწავლეთა პრეზენტაციებს, სადაც წარმოდგენილია საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაცია ადგილობრივ დონეზე, იძლევა უკუკავშირს.	აფასებს მოსწავლეთა ინკლუზიური ბიზნესმოდელებისა და სოციალური მეწარმეობის ინიციატივების პრეზენტაციებს, იძლევა უკუკავშირს.
VI ეტაპი რეფლექსია	სვამს შემაჯამებელ კითხვებს: როგორ შეგვიძლია ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, შევცვალოთ გარემო? აჯამებს მიღებულ შედეგებს საერთო სასკოლო ინიციატივისთვის.	სვამს შემაჯამებელ კითხვებს: რა ვისწავლეთ მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობაზე? აკავშირებს მე-8 კლასის მიერ გამოკვეთილ სათემო პრობლემებს სამართლებრივ ჩარჩოსთან.	სვამს შემაჯამებელ კითხვებს: როგორ აქცევს ეს ცოდნა თითოეულ ჩვენგანს გლობალურ მოქალაქედ? აკავშირებს ადგილობრივ კვლევას საერთაშორისო ღირებულებებთან.	სვამს შემაჯამებელ კითხვებს: როგორ შეგვიძლია, სკოლაშივე შევქმნათ ინკლუზიური ეკონომიკური/სოციალური გარემო? აერთიანებს ოთხივე კლასის ნამუშევარს მთელი სკოლის კომპლექსურ პროექტად.

PESTEL-ის ცხრილის შევსების შემდეგ მოსწავლეებს უკვე აქვთ სრული სურათი, მაგალითად, იციან, რომელი კანონია L ფაქტორი, რა ფინანსური ბარიერია E ფაქტორი ან საზოგადოებაში გავრცელებული რომელი სტიგმა წარმოადგენს S ფაქტორს.

ამის შემდეგ იწყება პოლიტიკის ლაბორატორია, რომელიც 4 ნაბიჯისგან შედგება:

1. **როლების განაწილება – დაინტერესებული მხარეები**

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და ირგებენ იმ მხარეების როლებს, რომლებიც PESTEL-ის ანალიზის დროს გამოიკვეთა:

1-ელი ჯგუფი – ცენტრალური/ადგილობრივი ხელისუფლება (პოლიტიკოსები)
მე-2 ჯგუფი – სამოქალაქო სექტორი / შშმ პირთა უფლებადამცველები
მე-3 ჯგუფი – ბიზნესსექტორი / დამსაქმებლები
მე-4 ჯგუფი – ექსპერტები / საერთაშორისო დამკვირვებლები

როდესაც PESTEL-ის ცხრილზე სხვადასხვა საფეხურის (VIII, IX, X, XI კლასების) მოსწავლეები ერთად მუშაობენ, იქმნება უნიკალური სასწავლო ეკოსისტემა, სადაც თანატოლთა მენტორობა და როლური გადანაწილება ბუნებრივად ხსნის აკადემიურ ბარიერებს.

ჯგუფები შერეულია. თითოეულ ჯგუფში არიან როგორც VIII, ისე IX, X და XI კლასის მოსწავლეები. PESTEL-ის სექტორები განაწილებულია მათი საგნობრივი მზაობისა და ინტერესების მიხედვით:

- **L (სამართლებრივი), P (პოლიტიკური)** – მეათე- და მეთერთმეტეკლასელების ფოკუსი. მეათე- და მეთერთმეტეკლასელები, რომლებსაც უკვე გავლილი აქვთ სამოქალაქო განათლებისა და სამართლის საფუძვლები, აანალიზებენ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციას, ეროვნულ კანონმდებლობასა და სკოლის შინაგანაწესს. ისინი მერვეკლასელებს მარტივი ენით განუმარტავენ ამ კანონების არსს.
- **E (ეკონომიკური), T (ტექნოლოგიური)** – მეცხრე- და მეათეკლასელების ფოკუსი. მოსწავლეები მსჯელობენ ინკლუზიური ინფრასტრუქტურის ბიუჯეტირებაზე, ხარჯთაღრიცხვასა და თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებზე (ხმოვანი პროგრამები, ადაპტირებული მოწყობილობები).
- **S (სოციალური) E (გარემოს/ფიზიკური)** – წამყვანია მერვეკლასელების როლი. ისინი ატარებენ ფიზიკურ მონიტორინგს სკოლის ეზოსა და დერეფნებში, სადაც საჭიროა პანდუსი, ლიფტი, ნიშნულები და იკვლევენ თანატოლების დამოკიდებულებას. უფროსკლასელები ეხმარებიან მათ ამ დაკვირვებების სოციოლოგიურ ჭრილში გაანალიზებაში.

შერეული ჯგუფები (მერვე-მეცხრეკლასელები) ქმნიან მოკლე, ორგვერდიან ოფიციალურ დოკუმენტს, რომელსაც ჰქვია „სასკოლო ინკლუზიის პოლიტიკის დოკუმენტი“. მასში გაწერილია: არსებული მდგომარეობა PESTEL-ის საფუძველზე; კონკრეტული რეკომენდაციები; მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები (მოსწავლეები, დირექცია, მშობლები).

საკლასო ოთახში ან სკოლის სააქტო დარბაზში იმართება სიმულაციური განხილვა. მეთერთმეტეკლასელები გამოდიან პოლიტიკის დოკუმენტის წარმდგენებად; მერვე- და მეცხრეკლასელები წარადგენენ ფიზიკური გარემოს მონიტორინგის შედეგებსა და ვიზუალურ მასალას (ფოტოებს); „ექსპერტები“ – მშობლები, სკოლის დირექციის წარმომადგენლები, სათემო საზოგადოება – სვამენ კითხვებს და აძლევენ უკუკავშირს.

პოლიტიკის ლაბორატორიაში შემუშავებული დოკუმენტი ფორმალურად გადაეცემა სკოლის მართვის ორგანოს – სამეურვეო საბჭოს / დირექციას. მოსწავლეთა ინიციატივა იღებს რეალური სამოქალაქო მონაწილეობის სახეს.

ამ პროცესში დიფერენცირებული სწავლებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი სტრატეგიები:

- წინასწარ მომზადებული ბარათები;
- ფერადი, მარკირებული სიმბოლოებით გაფორმებული PESTEL;
- ვიზუალური ორგანიზატორი;
- წყვილებში მუშაობა;
- ციფრული ვერსია, აუდიოინსტრუქცია.

PESTEL-ის მეშვეობით მოსწავლეები ივითარებენ საზოგადოებრივი პრობლემების მრავალმხრივი, სისტემური და სიღრმისეული ანალიზის უნარს, ხოლო პოლიტიკის ლაბორატორიის ფორმატში სწავლობენ არგუმენტირებულ დებატებს, როლების განაწილებასა და რეალისტური ინკლუზიური გადაწყვეტილებების შემუშავებას.

ᲨᲨᲛ პირთა სრულფასოვანი ინტეგრაციის მაგალითზე მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ინკლუზიური საზოგადოება მხოლოდ კანონების არსებობით არ იქმნება – ის მოითხოვს პოლიტიკური ნების, ეკონომიკური შესაძლებლობების, საზოგადოებრივი დამოკიდებულებების, ტექნოლოგიური ინოვაციების, ხელმისაწვდომი გარემოსა და სამართლებრივი გარანტიების ერთობლიობას.

კლასებში ვერტიკალურად მიმდინარე ეს კვლევითი პროცესი არ რჩება საკლასო ოთახში – აქტივობები სკოლისა და თემის დონეზე იშლება. ეს არის საუკეთესო მაგალითი იმისა, როგორ უკავშირდება სკოლის ბაზაზე ერთმანეთს საბაზო და საშუალო საფეხურის კლასები, ხოლო სასწავლო პროცესი – რეალურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებას.

ნებისმიერი ინოვაციური მეთოდოლოგიის დანერგვას ახლავს გამოწვევები. **PESTEL + პოლიტიკის ლაბორატორია** მოდელის განხორციელებისას მნიშვნელოვანია შემდეგი რისკებისა და მათი გადაჭრის გზების გათვალისწინება:

შესაძლო რისკი	გამოვლინება	გადაჭრის / პრევენციის გზა
1. მოსწავლეთა გადატვირთვა / გაურკვევლობა	კატეგორიების სიმრავლემ (6 ფაქტორი) შესაძლოა დააბნიოს მოსწავლეები.	დიფერენცირებული ბარათების, ფერადი მინიშნებებისა და მკაფიო გზამკვლევის გამოყენება; საწყის ეტაპზე – ფაქტორების გადანაწილება ჯგუფებს შორის
2. ზედაპირული / არასანდო ინფორმაცია	ინფორმაციის მოძიებისას მოსწავლეებმა შესაძლოა არასანდო წყაროები გამოიყენონ.	წინასწარ გადამოწმებული რესურსების/ბმულების პაკეტის მიწოდება და მედიაწიგნიერების კომპონენტის გაძლიერება.
3. დროის არაციფრული მართვა	განხილვებსა და PESTEL-ის შევსებას შესაძლოა 1 საგაკვეთილო საათზე მეტი დრო დასჭირდეს.	პროცესის დაგეგმვა რამდენიმე გაკვეთილზე განაწილებით.
4. თემის პასიურობა / დაბალი ჩართულობა	სამუშაო შეხვედრაზე დაბალი დასწრება მერიის, სათემო ორგანიზაციების ან მშობლების მხრივ.	წინასწარი კომუნიკაცია, ოფიციალური მოსაწვევების ადრე გაგზავნა და შეხვედრის ჰიბრიდული/ონლაინ ფორმატის შეთავაზება.
5. არათანაბარი ჯგუფური ჩართულობა	ჯგუფურ მუშაობაში შესაძლოა მხოლოდ ლიდერებმა იაქტიურონ, ხოლო მოსწავლეთა ნაწილმა პასიური პოზიცია დაიკავოს.	ჯგუფში როლების მკაფიო განაწილება, მაგ., მკვლევარი, PESTEL-ის მდივანი, დროის დამცველი, პრეზენტატორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (2018-2019). მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი სტანდარტები
2. OECD. (2019). Policy Labs in Government: Building Capacity for Public Sector Innovation. Paris: OECD Publishing.
3. United Nations. (2006). Convention on the Rights of Persons with Disabilities (CRPD). Geneva: United Nations (გაეროს ᲨᲨᲛ პირთა უფლებების კონვენცია)

წარმოდგენილი მოდელი, **PESTEL-ანალიზისა** და **პოლიტიკის ლაბორატორიის** სინთეზი, სამოქალაქო განათლებაში თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ქმედებად გარდაქმნის ეფექტური ინსტრუმენტია. PESTEL-ის მეშვეობით მოსწავლეები ივითარებენ საზოგადოებრივი პრობლემების მრავალმხრივი, სისტემური და სიღრმისეული ანალიზის უნარს, ხოლო პოლიტიკის ლაბორატორიის ფორმატში სწავლობენ არგუმენტირებულ დებატებს, როლების განაწილებასა და რეალისტური ინკლუზიური გადაწყვეტილებების შემუშავებას.

სოფიკო ლობჟანიძე

თეორიიდან პრაქტიკამდე – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის სწავლება იწყება ისეთი სასწავლო გარემოს შექმნით, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, დასვან კითხვები, შესთავაზონ განსხვავებული იდეები, ითანამშრომლონ თანატოლებთან და შეცდომა აღიქვან, როგორც სწავლის ბუნებრივი და მნიშვნელოვანი ნაწილი.

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარი თავისთავად არ ყალიბდება. მისი განვითარება მიზანმიმართულად დაგეგმილ სასწავლო პროცესს მოითხოვს, სადაც მოსწავლეები სისტემატურად მუშაობენ რეალურ ან მოდელირებულ პრობლემურ სიტუაციებზე, იკვლევენ მათ გამომწვევ მიზეზებს, განიხილავენ ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს, თანამშრომლობენ თანატოლებთან, აანალიზებენ საკუთარ გამოცდილებას და არგუმენტირებულად ასაბუთებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის როლს. თანამედროვე პედაგოგი აღარ არის მხოლოდ ცოდნის გადამცემი; იგი სასწავლო პროცესის ორგანიზატორი და ფასილიტატორია, რომელიც ქმნის უსაფრთხო და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად გამოთქვან იდეები, გამოცადონ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა სტრატეგია, ისწავლონ თანამშრომლობით და შეცდომა აღიქვან როგორც სწავლის ბუნებრივი ნაწილი. სწორედ ასეთი გარემო ქმნის საფუძველს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, კრიტიკული და პასუხისმგებლობიანი აზროვნების განვითარებისთვის.

სტატიაში განხილულია პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის პრაქტიკაში დანერგვის რამდენიმე ეფექტიანი სტრატეგია. განხილული სტრატეგიები გამოცდილია პრაქტიკაში და შეფასებულია მათი როლი სააზროვნო უნარების განვითარებაში. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ სტრატეგიების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ავითარებს იდეების გენერირების, არგუმენტირებული მსჯელობის, თანამშრომლობისა და პრობლემის მრავალმხრივი გააზრების უნარებს.

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის სწავლება – საიდან დავიწყოთ?

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის სწავლება იწყება ისეთი სასწავლო გარემოს შექმნით, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, დასვან კითხვები, შესთავაზონ განსხვავებული იდეები, ითანამშრომლონ თანატოლებთან და შეცდომა აღიქვან, როგორც სწავლის ბუნებრივი და მნიშვნელოვანი ნაწილი.

ასეთი გარემოს ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა:

- წაახალისოს მრავალფეროვანი და არასტანდარტული იდეების წარმოჩენა;
- არ შეზღუდოს მოსწავლეები მხოლოდ ერთი „სწორი“ პასუხის ძიებით;
- შექმნას თანამშრომლობითი მსჯელობისა და კონსტრუქციული დისკუსიის შესაძლებლობა;
- შეცდომა განიხილოს, როგორც სწავლის პროცესის ბუნებრივი და ღირებული რესურსი;
- ყურადღება გაამახვილოს არა მხოლოდ საბოლოო შედეგზე, არამედ იმ სააზროვნო პროცესებზეც, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები გადაწყვეტილებამდე მიდიან.

როდესაც მოსწავლე დარწმუნებულია, რომ მის მოსაზრებას მოისმენენ, პატივისცემით განიხილავენ და კონსტრუქ-

ციულ უკუკავშირს მიიღებს, იგი უფრო თამამად გამოთქვამს იდეებს, პრობლემას სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავს, აანალიზებს ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს და აქტიურად ერთვება მათი შერჩევის პროცესში. სწორედ ასეთ გარემოში ყალიბდება პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარი, რომელიც თანამედროვე განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს.

როდესაც მოსწავლე დარწმუნებულია, რომ მის მოსაზრებას მოისმენენ, პატივისცემით განიხილავენ და კონსტრუქციულ უკუკავშირს მიიღებს, იგი უფრო თამამად გამოთქვამს იდეებს, პრობლემას სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავს, აანალიზებს ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს და აქტიურად ერთვება მათი შერჩევის პროცესში.

ქვემოთ წარმოდგენილი პრაქტიკული სტრატეგიები აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის თეორიული მოდელების ეფექტიანად ინტეგრირება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში და როგორ უწყობს ხელს მათი მიზანმიმართული გამოყენება მოსწავლეებში პრობლემის შემოქედებითად გადაჭრის უნარების განვითარებას.

ბისოციაცია – არასტანდარტული კავშირების აღმოჩენა

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტიანი სტრატეგიაა **ბისოციაცია**, რომელიც ერთმანეთთან, ერთი შეხედვით, დაუკავშირებელი მოვლენებს, საგნებს ან იდეებს შორის კავშირების აღმოჩენას ეფუძნება. მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლე ნაცნობ პრობლემას სრულიად განსხვავებული პერსპექტივიდან განიხილავს, რაც ხელს უწყობს ახალი იდეებისა და ორიგინალური გადაწყვეტილებების წარმოქმნას.

დაწყებით საფეხურზე ბისოციაციის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია, რადგან ამ ასაკის მოსწავლეებს განსაკუთრებით აქვთ განვითარებული წარმოსახვის უნარები, ადვილად შეუძლიათ არასტანდარტული ასოციაციების პოვნა და ნაკლებად არიან შეზღუდულნი სტერეოტიპული აზროვნების ჩარჩოებით.

როგორ გამოვიყენოთ ბისოციაცია გაკვეთილზე?

ბისოციაციის მეთოდით მუშაობა იწყება ისეთი პრობლემური სიტუაციის შეთავაზებით, რომელსაც ერთზე მეტი შესაძლო გადაწყვეტა აქვს. პრობლემის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს შემთხვევითად შერჩეულ ფოტოებს, რომელთაც, ერთი შეხედვით, განსახილველ პრობლემასთან არანაირი კავშირი არ აქვთ. პირველ ეტაპზე, მოსწავლეები გამოთქვამენ შეთავაზებულ ფოტოებზე ასოციაციებს, ხოლო მეორე ეტაპზე მოსწავლეთა ამოცანაა, დაადგინონ, რა შესაძლო კავშირი შეიძლება არსებობდეს პირველად ასოციაციებსა და პრობლემურ სიტუაციას შორის და როგორ შეიძლება ამ კავშირების გამოყენება ახალი იდეებისა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების შესამუშავებლად.

მოსწავლეთა მსჯელობის წასახალისებლად მასწავლებელი სვამს ღია ტიპის კითხვებს, მაგალითად:

- რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ფოტოებზე გამოსახულ ობიექტებსა და განსახილველ პრობლემას?
- რომელი მახასიათებელი ან მოქმედების პრინციპი შეიძლება გადმოვიტანოთ ერთი სიტუაციიდან მეორეზე?
- რა ახალი იდეა ან გამოსავალი შეიძლება გაჩნდეს ამ კავშირის საფუძველზე?
- როგორ შეიძლება ფოტოებზე წარმოდგენილი მაგალითი დაგვეხმაროს პრობლემის განსხვავებული პერსპექტივიდან გაზრებაში?

ასეთი მიდგომა მოსწავლეებს უბიძგებს, გასცდნენ სტანდარტულ აზროვნებას, აღმოაჩინონ ერთი შეხედვით დაუკავშირებელ მოვლენებს შორის კავშირები, ჩამოაყალიბონ ჰიპოთეზები და შემოქმედებითად მიუდგნენ პრობლემის გადაჭრას.

მაგალითად, თუ ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე განიხილება წყლის რესურსების დაზოგვის საკითხი, მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს შესთავაზოს **ფუტკრების სკის ფოტოები**, რომელიც, ერთი შეხედვით, განსახილველ თემასთან კავშირში არ არის. მოსწავლეები აკვირდებიან ფოტოებს და მსჯელობენ, როგორ აგროვებენ ფუტკრები რესურსებს, როგორ ანაწილებენ მათ, როგორ თანამშრომლობენ და რა პრინციპებით არის ორგანიზებული მათი საქმიანობა. შემდგომ ისინი განიხილავენ, როგორ შეიძლება ამ დაკვირვებების გამოყენება წყლის რესურსების რაციონალური მოხმარებისა და დაზოგვის იდეების შესამუშავებლად. ამგვარი ანალოგიების მოძიება მოსწავლეებს ეხმარება, პრობლემა განსხვავებული პერსპექტივიდან გაანალიზონ, აღმოაჩინონ ერთი შეხედვით დაუკავშირებელ მოვლენებს შორის კავშირები და შეიმუშაონ ორიგინალური, არგუმენტირებული გადაწყვეტილებები.



დე ბონოს „აზროვნების ექვსი ქუდი“ და ვოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამი“ – პრობლემის გააზრებიდან შემოქმედებით გადაწყვეტილებამდე

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრისა და მრავალმხრივი აზროვნების განვითარების ერთ-ერთი ეფექტიანი გზა არის ედვარდ დე ბონოს „აზროვნების ექვსი ქუდისა“ და ვოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამის“ მეთოდების გამოყენება. ორივე მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება, ერთი და იგივე პრობლემა განსხვავებული პერსპექტივიდან განიხილონ, თუმცა თითოეულ მათგანს განსხვავებული ფუნქცია და მიზანი აქვს.

დე ბონოს „აზროვნების ექვსი ქუდი“ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, პრობლემა საფუძვლიანად შეისწავლონ, შეაგროვონ ინფორმაცია, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები, გააანალიზონ საფრთხეები და შესაძლებლობები, შექმნან ახალი იდეები და შეაჯამონ მიღებული მოსაზრებები.

ვოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამის“ მეთოდი კი ორიენტირებულია იდეების შექმნაზე, განვითარებასა და შეფასებაზე. მოსწავლეები თანმიმდევრულად ირგებენ სამი განსხვავებული როლის მქონე ადამიანის პოზიციას: მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის. ამ გზით ისინი სწავლობენ, როგორ გარდაქმნან შემოქმედებითი იდეა პრაქტიკულ გადაწყვეტილებად.

ქვემოთ წარმოდგენილია ორი კონკრეტული გაკვეთილის სცენარი.

გაკვეთილის სცენარი 1

საგანი: „მე და საზოგადოება“
კლასი: IV
თემა: „ვუფრთხილდებით რესურსებს“
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ რესურსების მნიშვნელობა, შეაფასონ ნარჩენების გავლენა გარემოზე და შეძლონ პრობლემის სხვადასხვა კუთხით განხილვა.

გაკვეთილი დაიგეგმა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით. მოსწავლეებს წარედგინათ რეალური ცხოვრებისეული სიტუაცია:

„ერთ დღეს მეოთხე კლასის მოსწავლეებმა შეამჩნიეს, რომ საკლასო ოთახის ნარჩენების კალათაში დიდი რაოდენობით იყრებოდა გამოყენებული ქაღალდი, პლასტმასის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, თუნუქის ქილები და სხვა ნივთები, რომლებიც საბოლოოდ გარემოს დაბინძურებას იწვევს. მოსწავლეებს დაევალათ ეფიქრათ, რატომ ხდება ეს პრობლემა და როგორ შეიძლება რესურსების უფრო გონივრულად გამოყენება.“

პრობლემის გააზრების მიზნით მასწავლებელმა გამოიყენა დე ბონოს „აზროვნების ექვსი ქუდის“ სტრატეგია.

მეთოდით მუშაობა დაიწყო თეთრი ქუდის მორგებით, რომლის მიზანია პრობლემის შესახებ არსებული ცოდნის გააქტიურება და ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვება.

ამ დროს მოსწავლეები პასუხს სცემენ კითხვებს:

- რა ვიცით პლასტმასის, ქაღალდის, პოლიეთილენისა და თუნუქის შესახებ?
- რა თავისებურებები გააჩნიათ ამ მასალებისგან დამზადებულ ნივთებს?
- სად და როგორ ვიყენებთ ამ მასალებისგან დამზადებულ ნივთებს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

ინფორმაციის შეგროვებისა და ფაქტების გააზრების შემდეგ მოსწავლეები მოირგებენ წითელ ქუდს, რომლის მიზანია პრობლემისადმი საკუთარი ემოციებისა და დამოკიდებულებების გამოხატვა.

მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას:

- რას გრძნობ, როცა ხედავ ნარჩენებით სავსე გარემოს?
- რატომ არის ეს პრობლემა მნიშვნელოვანი?
- როგორ მოქმედებს დაბინძურებული გარემოს დანახვა შენზე?

პრობლემის ემოციური მხარის გააზრების შემდეგ მოსწავლეები ირგებენ შავ ქუდს და საკითხს განიხილავენ კრიტიკული თვალსაზრისით. ამ ეტაპის მიზანია შესაძლო საფრთხეებისა და უარყოფითი შედეგების გაანალიზება.

- მოსწავლეები მსჯელობენ: რა შეიძლება მოხდეს, თუ ნარჩენებს არ შევამცირებთ?

- როგორ აზიანებს დაბინძურება ბუნებასა და ცოცხალ ორგანიზმებს?
- რა პრობლემები შეიძლება შეიქმნას რესურსების არასწორი გამოყენების შემთხვევაში?

საფრთხეების გაანალიზების შემდეგ მოსწავლეებმა ყურადღება გადაიტანეს საკითხის დადებით მხარეებზე და დაიწყეს არსებული შესაძლებლობების აღმოჩენა. ამ ეტაპზე ისინი ირგებენ ყვითელი ქუდს.

მოსწავლეები აღმოაჩენენ რესურსების მნიშვნელობას:

- რატომ არის საჭირო ეს ნივთები ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რა სარგებელი მოაქვს მათ სწორად გამოყენებას?
- როგორ შეიძლება რესურსების დაზოგვა სასარგებლო ცვლილებად იქცეს?

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეებმა ჩართეს შემოქმედებითი აზროვნება და დაიწყეს ახალი შესაძლებლობების ძიება. ამისთვის მოირგეს მწვანე ქუდი, რომელიც იდეების გენერირებასა და ახალი გზების აღმოჩენას ემსახურება.

მოსწავლეები ქმნიან იდეებს:

- როგორ შევამციროთ ნარჩენები?
- როგორ მივცეთ გამოყენებულ ნივთებს მეორე სიცოცხლე?
- რა ახალი ნივთების შექმნა შეგვიძლია ძველი მასალებისგან?

ბოლო ეტაპზე მოსწავლეები აჯამებენ მოსაზრებებს, აფასებენ განხილულ იდეებს და მოქმედების ალტერნატიულ გზებს. ამ პროცესს ლურჯი ქუდი ხელმძღვანელობს.

მოსწავლეები:

- აჯამებენ განხილულ საკითხებს;
- გამოყოფენ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებს;
- ადგენენ ნაბიჯებს რესურსების დაზოგვისა და გარემოზე ზრუნვის კულტურის დასამკვიდრებლად

გაკვეთილის სცენარი 2

საგნები: „მე და საზოგადოება“ და „ხელოვნება“

კლასი: IV

თემა: „ვაძლევთ ნივთებს მეორე სიცოცხლეს“

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ შემოქმედებითი იდეების შექმნა, მათი განხორციელებადობის შეფასება და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღება.

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს წარედგინათ იგივე პრობლემა:

კლასში მოეწყო სამი სივრცე:

1. მეოცნების კუთხე

მოსწავლეები თავისუფლად ქმნიან იდეებს და არ ფიქრობენ შეზღუდვებზე.

მათ გამოთქვეს შემდეგი იდეები:

- პლასტმასის ბოთლებისგან მცენარეების ქოთნების დამზადება;
- ძველი ქაღალდისგან დეკორაციებისა და ხელნაკეთი ნივთების შექმნა;
- თუნუქის ქილებისგან საკლასო ორგანიზატორების დამზადება;
- მრავალჯერადი ჩანთების გამოყენების პოპულარიზაცია;
- ძველი ნივთებისგან რობოტის შექმნა, რომელიც სკოლის ეზოში ნარჩენებს შეაგროვებს და დაახარისხებს და სხვა

2. რეალისტის კუთხე

მოსწავლეები აფასებენ იდეებს:

- რომელი იდეის განხორციელება შეგვიძლია ახლა?
- რა მასალა დაგვჭირდება?
- რამდენი დრო და რესურსი გვჭირდება?

3. კრიტიკოსის კუთხე

მოსწავლეები აფასებენ საბოლოო არჩევანს:

- რამდენად სასარგებლოა ეს იდეა?
- არის თუ არა უსაფრთხო?
- რა სირთულეები შეიძლება შეგვხვდეს?

სამივე როლის გავლის შემდეგ მოსწავლეებმა შეარჩიეს ყველაზე განხორციელებადი იდეები და შექმნეს ხელნაკეთი ნივთები მეორადი მასალებისგან.

გაკვეთილის შედეგად მოსწავლეებმა დაინახეს, რომ ნივთი, რომელიც ერთი შეხედვით ნარჩენია, შესაძლოა ახალ შესაძლებლობად გადაიქცეს. მათ განივითარეს შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, ისწავლეს იდეების შეფასება და პასუხისმგებლობიანი გადაწყვეტილებების მიღება.

ამრიგად, დე ბონოს „აზროვნების ექვსი ქუდი“ და ვოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამი“ წარმოადგენენ ეფექტიან ინსტრუმენტებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება პრობლემის გააზრებაში, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენასა და რეალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლობჟანიძე, ს., მალაზონია, დ., მაღლაკელიძე, შ., ნაცვლიშვილი, ნ., & ჭიაბრიშვილი, ნ. (2021). *მოქალაქეობრივი განათლება.* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. (2016). *ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში (მასწავლებლის წიგნი).* თბილისი.
3. ტრეფინგერი, დ. ჟ., ისაქსენი, ს. გ., & სტიდ-დარვალი, კ. ბ. (2006). *პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრა.* დიოგენე.
4. Cummins, K. (2023). *Creative problem solving tools and skills for students and teachers.* Innovative Teaching Ideas. https://innovativeteachingideas.com/blog/creative-problem-solving-tools-and-skills-for-students-and-teachers/
5. Everyday Speech. (2024). *A practical guide to teaching creative problem-solving in elementary education.* https://everydayspeech.com/sel-implementation/a-practical-guide-to-teaching-creative-problem-solving-in-elementary-education/

ნანა მაკარიძე

როდის იქცევა დაბალი თვითშეფასება მოსწავლისთვის სტრესის წყაროდ

ყველა ბავშვს სჭირდება ადამიანი, რომელიც მას საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნებს მაშინაც კი, როდესაც თავად აღარ სჯერა საკუთარი თავის.

სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით ბავშვებს, რომლებსაც საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი მაშინაც კი ეპარებათ, როდესაც ამის რეალური საფუძველი არ არსებობს. თვითშეფასება ბავშვის პიროვნული და აკადემიური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. მისი მეშვეობით ბავშვს უყალიბდება წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე, ძლიერ მხარეებსა და იმაზე, რამდენად შეუძლია სხვადასხვა გამოწვევასთან გამკლავება. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მოსწავლე მუდმივად აფასებს საკუთარ თავს: როგორ შეასრულა დავალება, რამდენად სწორად უპასუხა კითხვას, რა შედეგი მიიღო და როგორია მისი შესაძლებლობები თანატოლებთან შედარებით. სანტროკის მიხედვით, სწორედ ეს გამოცდილება ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ბავშვის მოტივაციაზე, სწავლისადმი დამოკიდებულებასა და აკადემიურ განვითარებაზე.

თუმცა საკუთარი შესაძლებლობების შეფასება ყოველთვის რეალისტური არ არის. ზოგიერთ მოსწავლეს საკუთარი ძლიერი მხარეების დანახვა უჭირს, ხშირად ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში და წარმატების შემთხვევაშიც კი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ შემთხვევითობა იყო. თუ ასეთი განცდა ხშირია, დროთა განმავლობაში ის შესაძლოა დაბალ თვითშეფასებაში გადაიზარდოს, რაც გავლენას მოახდენს როგორც ემოციურ მდგომარეობაზე, ისე სასწავლო საქმიანობაზეც.

ალბათ ბევრ მასწავლებელს შეუმჩნევია, რომ ზოგიერთი ბავშვი დავალების შესრულების დაწყებამდე ამბობს: „მე ამას ვერ გავაკეთებ“, „მაინც არ გამომივა“, „სხვები მჯობიან“, – მიუხედავად იმისა, რომ ასე ფიქრის რეალური საფუძველი არ აქვს. ასეთი ფრაზები ყოველთვის არ მიანიშნებს წუთიერ შიშზე – ისინი შესაძლოა თავდაჯერების ნაკლებობის, საკუთარი შესაძლებლობებისადმი ეჭვის გამოხატულებაც იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, როდის არის ასეთი განცდა ბუნებრივი და დროებითი და როდის – გამომხატველი დაბალი თვითშეფასებისა, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და სასწავლო საქმიანობაზე.

ბავშვის წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე ერთ დღეში არ ყალიბდება. ის თანდათან იქმნება ყოველდღიური გამოცდილების, უფროსების შეფასებისა და საკუთარი წარმატება-წარუმატებლობის საფუძველზე. ზოგი თავდაჯერების დროებით ნაკლებობას მალევე უმკლავდება და მზად არის, ხელახლა სცადოს, ზოგს კი საკუთარი შესაძლებლობებისადმი უნდობლობა თანდათან განუმტკიცდება და ყოველდღიური გამოცდილების ნაწილად ექცევა. ამ განსხვავებას ხშირად განსაზღვრავს არა მხოლოდ ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები, არამედ ოჯახსა და სკოლაში მიღებული გამოცდილებაც, უფროსების უკუკავშირიც და ისიც, როგორ ყალიბდებოდა მისი წარმოდგენა საკუთარ თავზე.

ამ განსხვავებათა უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რა პირობებში რჩება საკუთარი შესაძლებლობებისადმი უნდობლობა დროებით განცდად და როდის იქცევა ის სტრესის წყაროდ.

წუთიერი მღელვარება თუ დაბალი თვითშეფასება

საკუთარი შესაძლებლობებისადმი უნდობლობა ბავშვის განვითარებისთვის უცხო არ არის. ახალი ცოდნის შეძენის, რთულ დავალებაზე მუშაობისა თუ უცნობ გარემოში მოხვედრის დროს თითქმის ყველა მოსწავლეს შეიძლება გაუჩნდეს განცდა, რომ რაღაც არ გამოუვა. ეს დროებითი და ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც ახალი გამოცდილების მიღებასთან ერთად მცირდება.

ვითარება იცვლება მაშინ, როდესაც საკუთარი შესაძლებლობების მიმართ ეჭვი მუდმივ ხასიათს იძენს. ასეთ დროს მოსწავლე საკუთარ თავს არა კონკრეტული დავალების შესრულების ხარისხის, არამედ მთლიანად საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით აფასებს. ის წარმატების შემთხვევაშიც კი ფიქრობს, რომ უბრალოდ გაუმართლა, ხოლო თუნდაც მცირე შეცდომას თავისი არასაკმარისი უნარების მტკიცებულებად მიიჩნევს. ჰარტერის მიხედვით, სწორედ ასეთი უარყოფითი თვითაღქმა შეიძლება იქცეს ბავშვის ემოციური კეთილდღეობისა და სასწავლო მოტივაციის დამაბრკოლებელ მნიშვნელოვან ფაქტორად.

ალბათ ყველა მასწავლებელს ჰყავს მოსწავლე, რომელმაც აშკარად იცის პასუხი, მაგრამ ხელის აწევისა ერიდება ან მოსწავლე, რომელიც დავალებას საერთოდ არ ჰკიდებს ხელს, რადგან დარწმუნებულია, რომ მაინც ვერ შეასრულებს. ასეთ შემთხვევებში პრობლემა ხშირად არა ცოდნის ნაკლებობა, არამედ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ უნდობლობაა.

რატომ უჭირს ზოგიერთ ბავშვს საკუთარი შესაძლებლობების დაჯერება?

ხშირად ჩნდება კითხვა: რატომ ინარჩუნებს ზოგი მოსწავლე წარუმატებლობის შემდეგაც კი თავდაჯერებას, ხოლო ზოგს მცირე შეცდომის გამოც კი საკუთარი შესაძლებლობებისადმი უნდობლობა ეუფლება?

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ბავშვის წინარე გამოცდილებაა. როდესაც მოსწავლე ხშირად იღებს მხარდაჭერას, ხედავს საკუთარ პროგრესს და შეცდომას სწავლის ბუნებრივ ნაწილად აღიქვამს, მას უფრო მეტად სჯერა, რომ სირთულეების დაძლევა შეუძლია და პირიქით – თუ ბავშვი ხშირად ისმენს კრიტიკას, მას მუდმივად ადარებენ სხვებს ან მხოლოდ საბოლოო შედეგის მიხედვით აფასებენ, დროთა განმავლობაში შესაძლოა ჩამოუყალიბდეს წარმოდგენა, რომ წარმატება მხოლოდ მაღალი შედეგით განისაზღვრება.

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახის დამოკიდებულებაც. როდესაც უფროსები ბავშვის ძალისხმევას ამჩნევენ, რეალისტურ მოლოდინებს უყალიბებენ და შეცდომისთვის არ აკრიტიკებენ, ის უფრო მშვიდად ხვდება ახალ გამოწვევებს და პირიქით – მუდმივი კრიტიკა, გადაჭარბებული მოლოდინები და თანატოლებთან ხშირი შედარება ზრდის დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბების რისკს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რას ეუბნება მოსწავლე საკუთარ თავს წარუმატებლობის შემდეგ. ზოგი ბავშვი ამ დროს ფიქრობს: „ამჯერად ვერ შევძელი, მაგრამ მომდევნო ჯერზე გამომივა“, – ზოგი კი საკუთარ თავს ეუბნება: „არაფრის უნარი არ მაქვს“. ხშირად სწორედ ეს შინაგანი დიალოგი განსაზღვრავს, იქცევა თუ არა დროებითი სირთულე სტრესის წყაროდ.

ერთი და იგივე გამოცდილება ყველა მოსწავლეზე ერთნაირად არ მოქმედებს. გადამწყვეტია, როგორ აღიქვამს ბავშვი საკუთარ შესაძლებლობებს, რა გამოცდილება აქვს მიღებული წარსულში და რამდენად გრძნობს უფროსების მხარდაჭერას. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, დარჩება საკუთარი შესაძლებლობებისადმი უნდობლობა დროებით გამოცდილებად თუ გახდება ბავშვისთვის სტრესის მუდმივი წყარო.

როდის იქცევა დაბალი თვითშეფასება მოსწავლისთვის სტრესის წყაროდ?

დაბალი თვითშეფასება ყოველთვის თვალში საცემი არ არის: ზოგიერთი მოსწავლე საკუთარ დაურწმუნებლობას ღიად გამოხატავს, ზოგი

სასარგებლოა, მოსწავლეს რეგულარულად დავანახოთ საკუთარი პროგრესი. ზოგჯერ მას თავადაც აღარ ახსოვს, რა ისწავლა და რამდენად განვითარდა. მცირე წარმატებების შეხსენებაც კი საკუთარი შესაძლებლობების რწმენას გაუძლიერებს და მოტივაციას აუმაღლებს.

კი ცდილობს, ის სხვებს არ დაანახოს, ამიტომ ხშირად გვგონია, რომ დაბალი თვითშეფასება მხოლოდ ჩუმ, მორცხვ ბავშვებს ახასიათებთ. სინამდვილეში ის შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს.

ზოგი მოსწავლე უარს ამბობს ახალი დავალების შესრულებაზე, რადგან დარწმუნებულია, რომ ვერ შეძლებს. ზოგი მცირე შეცდომასაც კი ზედმეტად განიცდის და საკუთარ თავს მკაცრად აკრიტიკებს. არიან ბავშვებიც, რომლებიც, პირიქით, ცდილობენ, ყოველთვის საუკეთესოები იყვნენ, რადგან მიაჩნიათ, რომ მხოლოდ მაღალი შედეგი ადასტურებს მათ ღირებულებას. ამ შემთხვევაში წარუმატებლობა მათთვის საკუთარი შესაძლებლობების უარყოფით შეფასებად აღიქმება.

საკუთარი შესაძლებლობებისადმი მუდმივი უნდობლობა თანდათან სასწავლო მოტივაციაზეც ახდენს გავლენას: მოსწავლე უხალისოდ ერთვება ახალ აქტივობებში, თავს არიდებს რთულ დავალებებს, იშვიათად სვამს კითხვებს და ხშირად მხოლოდ იმ საქმიანობას ირჩევს, რომელშიც შეცდომის ალბათობა ნაკლებია. შედეგად ის უარს ამბობს გამოცდილებაზე, რომელიც აუცილებელია პიროვნული და აკადემიური განვითარებისთვის.

როგორ მივხვდეთ, რომ პრობლემა მხოლოდ თავდაჯერების ნაკლებობა აღარ არის?

ყველა მოსწავლეს ჰქონია თუნდაც ერთი შემთხვევა, როდესაც საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი შეჰპარვია. ეს ბუნებრივი გამოცდილებაა. თუმცა არსებობს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს, რომ დაბალი თვითშეფასება უკვე ბავშვის სასწავლო და ემოციურ მდგომარეობაზე მოქმედებს.

საყურადღებოა, თუ მოსწავლე ხშირად ამბობს: „არ გამომივა“, „ვერ შევძლებ“, „სხვები მჯობიან“, – მიუხედავად იმისა, რომ მისი შესაძლებლობები საპირისპიროზე მეტყველებს. დაბალი თვითშეფასების ერთ-ერთი ნიშანია ისიც, რომ ბავშვი ცდილობს, თავი აარიდოს პასუხის გაცემას, აღარ მონაწილეობს აქტივობებში, უარს ამბობს ახალი დავალების შესრულებაზე ან პირველივე სირთულესთან შეჯახებისას ანებებს თავს მუშაობას.

ზოგჯერ დაბალი თვითშეფასება გარეგნულად არ ჩანს. მოსწავლე ასრულებს ყველა დავალებას, იღებს მაღალ შეფასებებს, მაგრამ მცირე შეცდომის გამოც კი ძლიერ შფოთავს, საკუთარ თავს ზედმეტად აკრიტიკებს და გამუდმებით ცდილობს, ყველას მოლოდინი გაამართლოს. ასეთ შემთხვევებში ბავშვის ემოციური დაძაბულობა შესაძლოა დიდხანს დარჩეს შეუმჩნეველი.

ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ აკადემიურ შედეგებს, არამედ ბავშვის დამოკიდებულებასაც საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. ხშირად სწორედ ეს დამოკიდებულება გვაძლევს ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ გრძნობს თავს მოსწავლე სასწავლო გარემოში.

როგორ შევუწყოთ ხელი ჯანსაღი თვითშეფასების განვითარებას?

ჯანსაღი თვითშეფასება არ ნიშნავს, რომ ბავშვი თავს ყოველთვის იდეალურად მიიჩნევს და არასოდეს აკრიტიკებს. ეს ნიშნავს რეალისტურ წარმოდგენას საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, საკუთარი შესაძლებლობების რწმენას და იმის განცდას, რომ შეცდომა განვითარების ბუნებრივი ნაწილია.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, ბავშვის შეფასებისას ყურადღება გავამახვილოთ არა მხოლოდ შედეგზე, არამედ იმ ძალისხმევაზეც, რომელიც მან მიზნის მისაღწევად გაიღო. როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მისი მონდომება ფასდება, ის ნაკლებად უკავშირებს საკუთარ ღირებულებას მიღებულ ქულას და უფრო თამამად ეკიდება ახალ გამოწვევებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, თავი ავარიდოთ იარლიყების გამოყენებას. ისეთი ფრაზები, როგორიცაა „ზარმაცი ხარ“, „მათემატიკა შენი საქმე არ არის“, „ყოველთვის ასე მოგდის“, ბავშვს საკუთარ წარუმატებლობაში არწმუნებს. უმჯობესია, შევაფასოთ კონკრეტული მოქმედება და არა თავად ბავშვი.

სასარგებლოა, მოსწავლეს რეგულარულად დავანახოთ საკუთარი პროგრესი. ზოგჯერ მას თავადაც აღარ ახსოვს, რა ისწავლა და რამდენად განვითარდა. მცირე წარმატებების შეხსენებაც კი საკუთარი შესაძლებლობების რწმენას გაუძლიერებს და მოტივაციას აუმაღლებს.

ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვებს ვასწავლოთ საკუთარ თავთან მხარდამჭერი საუბარი. ნაცვლად ამისა: „მე ამას ვერასოდეს ვისწავლი“, – შეგვიძლია, შევთავაზოთ ამგვარი ფორმულირება: „ჯერ არ გამომდის, მაგრამ ვცდილობ და ნელ-ნელა გამომივა“. ასეთი დამოკიდებულება ეხმარება მოსწავლეს, დროებითი სირთულე პირად მარცხად არ აღიქვას.

მასწავლებლის ყოველდღიური უკუკავშირიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე. გულწრფელი ფრაზა: „შევამჩნიე, რამდენი იშრომე“, „დღეს გაცილებით უკეთ გამოგივიდა, ვიდრე წინა კვირას“ ან „შეცდომა ნიშნავს, რომ სწავლობ“, – ხშირად უფრო ძლიერ გავლენას ახდენს, ვიდრე საბოლოო შეფასება.

დასკვნა

დაბალი თვითშეფასება არ ნიშნავს, რომ ბავშვს ნაკლები შესაძლებლობები აქვს – ხშირად ის იმ გამოცდილებისა და დამოკიდებულებების შედეგია, რომლებსაც წლების განმავლობაში ეჯახებოდა ოჯახსა თუ სკოლაში, ამიტომ მასწავლებელსა და მშობელს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ბავშვის ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში. ყველა ბავშვს სჭირდება ადამიანი, რომელიც მას საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნებს მაშინაც კი, როდესაც თავად აღარ სჯერა საკუთარი თავის. სწორედ ასეთი მხარდაჭერა, რეალისტური მოლოდინები, ძალისხმევის დაფასება და შეცდომის მშვიდად მიღება ეხმარება მოსწავლეს, რეალისტურად შეაფასოს თავისი შესაძლებლობები, შეინარჩუნოს საკუთარი თავის რწმენა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები პიროვნული და აკადემიური განვითარების ბუნებრივ ნაწილად აღიქვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე, დ. (2003). *ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია.* თბილისი.
2. Harter, S. (2012). *The Construction of the Self: Developmental and Sociocultural Foundations (2nd ed.).*New York: Guilford Press.
3. Rosenberg, M. (1965). *Society and the Adolescent Self-Image.* Princeton, NJ: Princeton University Press.
4. Santrock, J. W. (2018). *Educational psychology.* New York: McGraw-Hill Education.
5. Woolfolk A., Usher E. L. (2023). *Educational Psychology: Active Learning Edition (15th Edition) .* Pearson.

ნატო ქობულაძე

ყველაფერი იწყება ბავშვით: ინტერესებიდან თემის რესურსებამდე

თანამედროვე სკოლამდელი განათლება ეფუძნება იდეას, რომ ბავშვი ყველაზე ეფექტიანად მაშინ სწავლობს, როდესაც სასწავლო გამოცდილება მის ინტერესებს, საჭიროებებსა და ყოველდღიურ გამოცდილებას ეყრდნობა.

თანამედროვე სკოლამდელი განათლება ეფუძნება იდეას, რომ ბავშვი ყველაზე ეფექტიანად მაშინ სწავლობს, როდესაც სასწავლო გამოცდილება მის ინტერესებს, საჭიროებებსა და ყოველდღიურ გამოცდილებას ეყრდნობა. სწორედ ამიტომ დღეს ხარისხიანი კურიკულუმი აღარ იქმნება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული თემების მიხედვით – ის ვითარდება ბავშვზე დაკვირვების, თამაშის, კვლევისა და გარემოსთან აქტიური ურთიერთობის პროცესში.

ბავშვი აღიქმება არა ცოდნის პასიურ მიმღებად, არამედ სწავლა-სწავლების პროცესის აქტიურ მონაწილედ, რომელიც სვამს კითხვებს, იკვლევს, თანამშრომლობს, იღებს გადაწყვეტილებებს და საკუთარი გამოცდილებით ქმნის ახალ ცოდნას. ასეთ გარემოში თამაში მხოლოდ თავისუფალი დროის აქტივობა აღარ არის, იგი სწავლისა და განვითარების მთავარი საშუალებაა.

სწორედ ამ ხედვას ეფუძნება საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა ავტორიზაციის სტანდარტიც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ბავშვზე ორიენტირებულ კურიკულუმზე, ოჯახისა და თემის აქტიურ პარტნიორობასა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე. თემისა და მშობელთა ჩართულობას სტანდარტი განიხილავს არა ერთჯერად ღონისძიებად, არამედ კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების სისტემურ ნაწილად.

ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმი იწყება მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი კითხვით: **რა აინტერესებთ დღეს ჩემს ბავშვებს?**

ამ კითხვაზე პასუხს აღმზრდელი იღებს არა მზა თემატური კალენდრიდან, არამედ პროფესიული დაკვირვებით. ბავშვების თამაში, საუბრები, განმეორებადი ინტერესები, კითხვები და ყოველდღიური გამოცდილება იქცევა იმ საფუძვლად, რომელზე დაყრდნობითაც იგეგმება სასწავლო პროცესი.

მაგალითად, თუ ბავშვები ხშირად აკვირდებიან მწერებს, აგროვებენ ფოთლებს, ინტერესდებიან წვიმით ან გაჰყავთ ბილიკები, ეს ნიშნავს, რომ მათ ბუნებრივად გაუჩნდათ ინტერესი გარემოს მიმართ. სწორედ ამ ინტერესიდან შეიძლება განვითარდეს თემა „ბუნება ჩვენ გარშემო“, რომელიც შემდგომ თამაშის, კვლევის, ექსპერიმენტისა და სხვადასხვა პროექტის საშუალებით მრავალფეროვან სასწავლო გამოცდილებად გადაიქცევა.

ამგვარი მიდგომა სავსებით შეესაბამება უფლებებზე დაფუძნებულ განათლებას. ბავშვი არა მხოლოდ მონაწილეობს აქტივობებში, არამედ რეალურად ახდენს გავლენას იმაზე, რას და როგორ ისწავლის. მისი აზრი, ინტერესი და ინიციატივა კურიკულუმის დაგეგმვის საფუძველი ხდება, რაც ბავშვის მონაწილეობის უფლებისა და საუკეთესო ინტერესების პრაქტიკულ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ბავშვის განვითარებაში წამყვანი როლი ოჯახს ეკისრება,

ხოლო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ამ პროცესის მნიშვნელოვანი პარტნიორია. როდესაც ბაღი და ოჯახი საერთო მიზნებით მოქმედებენ, ბავშვი იღებს თანმიმდევრულ, უსაფრთხო და სტაბილურ საგანმანათლებლო გამოცდილებას.

კვლევებიც ადასტურებს, რომ მშობელთა აქტიური ჩართულობა ამაღლებს ბავშვის მოტივაციას, ხელს უწყობს სოციალური უნარების განვითარებას, ზრდის ნდობას ბაღის მიმართ და ბიძგს აძლევს ინდივიდუალური საჭიროებების დროულ გამოვლენას. ამიტომ თანამედროვე კურიკულუმში მშობლის როლი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ღონისძიებაზე დასწრებით ან ინფორმაციის მიღებით – ის მონაწილეობს იდეების შეთავაზებაში, საკუთარ პროფესიულ თუ პირად გამოცდილებას უზიარებს ბავშვებს, ერთვება პროექტებში და ბაღთან ერთად გეგმავს ბავშვის განვითარების მხარდამჭერ აქტივობებს.

ამავე პრინციპით იცვლება თემის როლიც. ადგილობრივი ბიბლიოთეკა, ფერმა, მუზეუმი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, კულტურული დაწესებულებები, მუნიციპალური სამსახურები თუ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსებად იქცევიან. ბავშვი სწავლობს არა მხოლოდ წიგნიდან, არამედ რეალურ გარემოში, უშუალო გამოცდილებით, რაც ადრეულ ასაკში განსაკუთრებით ეფექტიანია.

მშობლის მონაწილეობა მხოლოდ ღონისძიებაზე დასწრებას არ ნიშნავს – ის შეიძლება გახდეს სასწავლო პროცესის აქტიური თანამონაწილე. თუ პროექტი ეხება პროფესიებს, მოიწვიეთ მშობლები ბავშვებისთვის თავიანთი საქმიანობის გასაცნობად; თუ ბავშვებს წიგნები აინტერესებთ, დაგეგმეთ ოჯახური კითხვის კვირეული; თუ საუბარია ჯანსაღ ცხოვრებაზე, მშობლებთან ერთად მოაწყვეთ ჯანსაღი კვების დღე. ასეთი თანამშრომლობა ამაღლებს ბავშვის მოტივაციას და ბაღსა და ოჯახს საერთო საგანმანათლებლო მიზნების ირგვლივ აერთიანებს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსია ადგილობრივი თემი.

კვლევებიც ადასტურებს, რომ მშობელთა აქტიური ჩართულობა ამაღლებს ბავშვის მოტივაციას, ხელს უწყობს სოციალური უნარების განვითარებას, ზრდის ნდობას ბაღის მიმართ და ბიძგს აძლევს ინდივიდუალური საჭიროებების დროულ გამოვლენას.

ბავშვებისთვის საინტერესო გამოცდილების მიცემაა შესაძლებელი ბიბლიოთეკასთან, მუზეუმთან, ფერმასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურთან, კულტურის ცენტრთან, გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ასეთი აქტივობები ბავშვებს საშუალებას აძლევს, სწავლა რეალურ ცხოვრებას დაუკავშირონ.

საუკეთესო შედეგი მიიღწევა მაშინ, როდესაც ერთ პროექტში ერთიანდება ყველა პარტნიორი.

მაგალითად:

- პროექტი **„პროფესიების კვირეული“** – მშობლები აცნობენ ბავშვებს საკუთარ პროფესიებს, თემის წარმომადგენლები ატარებენ პრაქტიკულ შეხვედრებს;
- პროექტი **„წიგნის სიყვარულის კვირეული“** – ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობა და ოჯახური კითხვა;
- პროექტი **„მწვანე ბაღი“** მუნიციპალიტეტის, მშობლებისა და ბავშვების მონაწილეობით – ნერგების დარგვა და გარემოზე ზრუნვა. ასეთი პროექტები ავითარებს თანამშრომლობის, კომუნიკაციის, კვლევის უნარებს, საქმის, ერთმანეთისა და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობას.

ეფექტიანი თანამშრომლობა არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მშობლების მოსაზრებების მოსმენასაც გულისხმობს. გამოიყენეთ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა:

- მშობელთა კლუბები;
- ინდივიდუალური შეხვედრები;
- ელექტრონული კომუნიკაცია;
- თემატური შეხვედრები;
- მოკლე ყოველდღიური უკუკავშირი;
- კითხვარები და გამოკითხვები.

მშობელი უნდა გრძნობდეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია და გავლენას ახდენს კურიკულუმის განვითარებაზე.

ავტორიზაციის სტანდარტი ყურადღებას ამახვილებს აქტივობების არა მხოლოდ ჩატარებაზე, არამედ მიზნობრივი დაგეგმვისა და შეფასების პროცესზეც. თითოეულ აქტივობას უნდა ჰქონდეს მკაფიო მიზანი, კავშირი კურიკულუმთან, შეფასების მეთოდი, შესაბამისი მტკიცებულებები (ფოტომასალა, ბავშვთა ნამუშევრები, შეხვედრის ოქმები, კითხვარები, უკუკავშირი), ჰყავდეს პასუხისმგებელი პირი. მტკიცებულებები უნდა ასახავდეს არა მხოლოდ ჩატარებულ ღონისძიებას, არამედ იმასაც, როგორ შეუწყო ხელი მან ბავშვის განვითარებას.

სკოლამდელი განათლების ხარისხი იწყება იქ, სადაც ბავშვი, ოჯახი და თემი საგანმანათლებლო პარტნიორებად იქცევიან. ბავშვის ინტერესებზე დაფუძნებული კურიკულუმი, თამაშით სწავლება, მშობელთა აქტიური მონაწილეობა და თემის რესურსების მიზნობრივი გამოყენება ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც რეალურად არის დაცული ბავშვის უფლებები და საუკეთესო ინტერესები და თითოეული ბავშვი სწავლობს საკუთარი გამოცდილებით.

ამგვარი პრაქტიკა სრულფასოვნად პასუხობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა მისი მნიშვნელობა მხოლოდ ავტორიზაციით არ შემოიფარგლება: იგი საფუძველს უყრის **სასკოლო მზაობას**. ბავშვებს დაწყებით საფეხურზე უკვე აქვთ თანამშრომლობის, კვლევის, პრობლემის გადაჭრის, საკუთარი აზრის გამოხატვისა და პროექტულ საქმიანობაში მონაწილეობის გამოცდილება. ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე კვლევითი და პროექტული სწავლება, თამაშზე დაფუძნებული აქტივობები, ეკოლოგიური წიგნიერება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მშობელთა ჩართულობა მათთვის ახალი აღარ არის – ეს ყველაფერი უკვე მათი ყოველდღიური სასწავლო პრაქტიკის ნაწილია.

სწორედ ამიტომ მსგავსი პროექტები **ბაღიდან სკოლამდე აშენებს ბუნებრივ ხიდს**. როდესაც სკოლამდელი და დაწყებითი განათლება ეფუძნება საერთო ღირებულებებს, ბავშვის ინტერესებს, თამაშით სწავლებას, აქტიურ მონაწილეობასა და ოჯახთან პარტნიორობას, განათლების მომდევნო საფეხური ბავშვისთვის არა ახლის დასაწყისად, არამედ უკვე დაწყებული განვითარების პროცესის ბუნებრივ გაგრძელებად იქცევა. სწორედ ასეთი უწყვეტობა ქმნის საფუძველს დამოუკიდებელი, პასუხისმგებლობიანი, ეკოლოგიურად მოაზროვნე და საკუთარი უფლებების მცოდნე მომავალი მოქალაქის აღსაზრდელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (2024). *ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი.* თბილისი.
2. **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (2024).** *ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები.* **თბილისი.**
3. Katz, L. G., & Chard, S. C. (2000). *Engaging Children's Minds: The Project Approach* (2nd ed.). Stamford, CT: Ablex Publishing.
4. Epstein, J. L. (2019). *School, Family, and Community Partnerships: Your Handbook for Action* (4th ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.

პრაქტიკული გზამკვლევი სკოლამდელი დაწესებულებებისთვის

თემისა და მშობელთა ჩართულობა ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში

ავტორიზაციის მიმართულება	პრაქტიკული ნაბიჯი	შესაძლო რისკი	რისკის დაძლევის გზა	ბავშვის უფლებები და საუკეთესო ინტერესები	მტკიცებულება
ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმი	დააკვირდით ბავშვების თამაშს, ინტერესებს, კითხვებსა და ინიციატივებს, რაც თემის დაგეგმვის წინაპირობაა.	თემა წინასწარ არის შერჩეული და არ გამომდინარეობს ბავშვის ინტერესებიდან.	გამოიყენეთ დაკვირვების ფურცლები და თემა დაგეგმეთ მიღებული მონაცემების საფუძველზე.	ბავშვის მონაწილეობის უფლება; ბავშვის აზრის პატივისცემა; საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება	დაკვირვების ჩანაწერები, თემატური ქსელი
ბავშვის მონაწილეობა	თემის დაწყებამდე ბავშვებს ჰკითხეთ, რა აინტერესებთ, რა იციან და რის სწავლას ისურვებდნენ.	გადაწყვეტილებებს მხოლოდ აღმზრდელი იღებს.	გამოიყენეთ ღია კითხვები, დისკუსია, ხატვა, იდეების რუკა.	აზრის გამოხატვის უფლება და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა	ბავშვების იდეები, ფოტოები, ჩანაწერები
ოჯახის ჩართულობა	მშობლები ჩართეთ თემის დაგეგმვასა და განხორციელებაში საკუთარი გამოცდილებისა და პროფესიის გაზიარებით.	მშობელი მხოლოდ მაყურებელი ან მხოლოდ ღონისძიების მონაწილეა.	წლის დასაწყისში შეისწავლეთ მშობლების რესურსები და ინტერესები.	ოჯახთან პარტნიორობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის	კითხვარები, შეხვედრის ოქმები, აქტივობების ფოტოები
თემის ჩართულობა	შექმენით თემის რესურსების რუკა (ბიბლიოთეკა, ფერმა, მუზეუმი, ექიმი, მეხანძრე, ხელოვანი და სხვ.).	თემის რესურსები არ გამოიყენება ან გამოყენება შემთხვევითია.	დაგეგმეთ თანამშრომლობა სასწავლო წლის დასაწყისში.	ბავშვს აქვს უფლება, ისწავლოს რეალურ გარემოში და მრავალფეროვანი გამოცდილებით.	პარტნიორობის წერილები, ვიზიტების გეგმა, ფოტოები
ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო	დაგეგმეთ აქტივობები ჯანსაღი კვების, ჰიგიენისა და უსაფრთხოების თემებზე.	აქტივობები მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა.	გამოიყენეთ პრაქტიკული გამოცდილება, პროექტები და როლური თამაშები.	ჯანმრთელობისა და განვითარების უფლება	პროექტები, ფოტოები, რეფლექსია
ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება	დაგეგმეთ მრავალფეროვანი აქტივობები, რათა ყველა ბავშვმა შეძლოს მონაწილეობა.	ზოგიერთი ბავშვი პროცესის მიღმა რჩება.	აქტივობები მოარგეთ ბავშვის ასაკს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს.	თანასწორობისა და არადისკრიმინაციის პრინციპი	ინდივიდუალური დაკვირვების ჩანაწერები
შეფასება და ხარისხის გაუმჯობესება	ყოველი პროექტის შემდეგ შეაფასეთ, რა ისწავლეს ბავშვებმა და როგორ იმუშავა პარტნიორობამ.	ფასდება მხოლოდ ჩატარებული ღონისძიება.	შეაგროვეთ უკუკავშირი ბავშვებისგან, მშობლებისა და პერსონალისგან.	ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ხარისხის გაუმჯობესება	შეფასების ფორმები, უკუკავშირი, სამოქმედო გეგმა

ბავშვის ინტერესებიდან თემის რესურსებამდე: თანამედროვე სკოლამდელი განათლების მოდელი

პოსტერი ეხმაურება თემის სრულფასოვანი ჩართულობისა და მშობელთა პარტნიორობის მნიშვნელობას და მათ როლს სკოლამდელი განათლების ხარისხის ამაღლებაში.



მარიტა ჩერქეზიშვილი

ორი ხედვა, ერთი მიზანი: რა გვიამბო მე-10 კლასის მოსწავლეთა და მშობელთა პარალელურმა კვლევამ

სტატია ეფუძნება დამრიგებლის მიერ ჩატარებულ სიღრმისეულ პარალელურ კვლევას, რომელიც მშობლებისა და მე-10 კლასის მოსწავლეების მოლოდინებს, საჭიროებებსა და აღქმებს ადარებს. ნაშრომი აჩვენებს, რომ რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით დამრიგებელს შეუძლია სუბიექტური ვარაუდებისგან გათავისუფლება, სადამრიგებლო საათების კარიერულ დაგეგმვაზე გადატანა, კრებების ინტერაქციული ფორმით ჩანაცვლება და სკოლა-ოჯახის მტკიცე პარტნიორობის უზრუნველყოფა.

შესავალი

დამრიგებლობა უბრალოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებასა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არ ნიშნავს – ეს არის მუდმივი დაკვირვება, ძიება და ხიდების გადება მოსწავლეს, ოჯახსა და სკოლას შორის. როდესაც კლასს ორი წლის განმავლობაში უძღვები, ბუნებრივად ადევნებ თვალს მოზარდების ტრანსფორმაციას. თუ მეცხრე კლასი ჩვენთვის ერთმანეთის გაცნობის, ურთიერთშეწყობისა და ნდობის ფუნდამენტის ჩაყრის ხანა იყო, მეათეში სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დავდექით. საბაზო საფეხურის დასრულება და საშუალოზე გადასვლა მოზარდისგანაც და მშობლისგანაც ახლებურ მზაობასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამ პერიოდში იცვლება როგორც ბავშვის ფსიქო-ემოციური ფონი, ისე აკადემიური მოთხოვნებიც. შესაბამისად, როგორც დამრიგებელს, მინდოდა, ზუსტად გამეგო, **რამდენად ემთხვეოდა ერთმანეთს მშობლებისა და მოზარდების მოლოდინები, შიშები, საჭიროებები და აღქმები.** ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ჩავატარე სიღრმისეული პარალელური კვლევა, რომელმაც საშუალება მომცა, დამენახა ორი განსხვავებული პერსპექტივა: ზრდასრულისა, რომელსაც შვილის მხარდაჭერა სურს და მოზარდისა, რომელიც საკუთარ იდენტობასა და მომავლის გზას ეძებს.

> **დამრიგებლობა უბრალოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებასა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არ ნიშნავს – ეს არის მუდმივი დაკვირვება, ძიება და ხიდების გადება მოსწავლეს, ოჯახსა და სკოლას შორის.**

კვლევის ფარგლებში ჩვენ ვეძებდით პასუხებს შემდეგ კითხვებზე:

1. რამდენად ემთხვევა ერთმანეთს მშობლებისა და მოსწავლეების ხედვები ყოველდღიური კომუნიკაციისა და სასკოლო ამბებით დაინტერესების შესახებ?
2. რა ფაქტორები უშლის ხელს მშობლების აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში?
3. რომელი თემატური მიმართულებები და აქტივობებია პრიორიტეტული ორივე მხარისთვის?
4. რა მექანიზმებით შეიძლება სკოლასთან თანამშრომლობა მშობლებისთვის უფრო ეფექტური და კომფორტული გახდეს?

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაციით. მონაცემთა შეგროვება მიმდინარეობდა ორ ეტაპად:

- **მშობელთა გამოკითხვა:** ჩატარდა 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელ-

თა პირველ გეგმურ კრებაზე. გამოყენებულ იქნა ანონიმური ნაბეჭდი კითხვარი.

- **მოსწავლეთა გამოკითხვა:** ჩატარდა 2025-2026 სასწავლო წლის ბოლოს ონლაინკითხვარის (*Google Forms*) მეშვეობით, მშობელთა წინასწარ მოპოვებული წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
- **სამიზნე ჯგუფი:** მე-10 კლასის 14 მოსწავლე და მათი 14 მშობელი (სულ 28 რესპონდენტი). მშობელთა საშუალო ასაკი – 30-40 წელი (7 – საშუალო, 2 – პროფესიული, 5 – უმაღლესი განათლებით).

მიგნებები და შედარებითი ანალიზი: შვილებისა და მშობლების ხედვა

კვლევამ აჩვენა, რომ კლასში არსებობს **სკოლა-ოჯახი-მოსწავლის მყარი ტრიადა**. პასუხების შეჯერებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია აჩვენა:

1. **ჩართულობა და ყოველდღიური კომუნიკაცია**

ყოველდღიური ინტერესის ნაწილში მშობლებისა და მოსწავლეების პასუხები სრულ თანხვედრაშია: მოსწავლეთა **57.1%** ადასტურებს, რომ მშობლები ყოველდღიურად ინტერესდებიან მათი სასკოლო ამბებით (ნიშნები, დავალებები, ურთიერთობები), რასაც მშობელთა პასუხებიც მოწმობს.

თუმცა **აცდენა გამოიკვეთა ჩართულობის ფორმაში**:

- **მშობლები** მიუთითებენ, რომ გაკვეთილების მომზადების პროცესში უშუალოდ არიან ჩართულნი.
- **მოსწავლეები** აცხადებენ, რომ მშობლები ძირითადად სამომავლო გეგმებზე ესაუბრებიან მათ და ესწრებიან მშობელთა კრებებს.

2. **მხარდაჭერის აღქმა და ხელის შემშლელი ფაქტორები**

ორივე მხარე მიიჩნევს, რომ მშობლის მხარდაჭერა პირდაპირ აისახება აკადემიურ შედეგებზე. **მოსწავლეთა 64.3%-ს** მიაჩნია, რომ მშობლის მხარდაჭერით უკეთ სწავლობს.

მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად როგორც მშობლები (10 რესპონდენტი), ისე მოსწავლეებიც **დატვირთულ გრაფიკსა და დროის დეფიციტს** ასახელებენ.

3. **პრიორიტეტები და დამრიგებლის აქტივობები**

- **სასკოლო საზოგადოების წევრობა:** მოსწავლეებისა და მშობლების **65%** თავს მე-10 კლასის დიდი ოჯახის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს.
- **აქტივობების ტიპი:** ორივე ჯგუფისთვის პრიორიტეტულია **შემეცნებითი (43%)** და **სააღმზრდელო (21%)** აქტივობები, რომლებსაც მოსდევს არაფორმალური ღონისძიებები (ინტელექტუალური თამაშები, ვიქტორინები).
- **საინტერესო თემები:** წლის დასაწყისში მშობლებისთვის პრიორიტეტული იყო *სოციოემოციური განვითარება და ღირებულებები (48%)*, ხოლო წლის ბოლოს ჩატარებული საათებიდან მოსწავლეებმა ყველაზე საინტერესოდ **სამომავლო გეგმებზე, პროფესიასა და მიზნებზე საუბარი** დაასახელეს.

პრაქტიკული ღირებულება: რაში დამეხმარა კვლევის შედეგები?

დამრიგებლის მთავარი ინსტრუმენტი

მეათეკლასელებსა და მათ მშობლებთან ჩატარებულმა პარალელურმა კვლევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ დამრიგებლის ეფექტური მუშაობა ვარაუდებსა და ინტუიციას კი არ უნდა ეფუძნებოდეს, არამედ **რეალურ, გაზომვად მონაცემებსა და სიღრმისეულ დაკვირვებას**. იმის აღმოჩენა, რომ მშობლები კარგად იცნობენ თავიანთ შვილებს და მათი აღქმები თითქმის სრულად ემთხვევა მოზარდების რეალურ საჭიროებებს, უდიდესი დასაყრდენია. ამ თანხვედრამ დაგვანახა, რომ სკოლასა და ოჯახს შორის არათუ გაუცხოება არ შეინიშნება, არამედ არსებობს მტკიცე ნდობა და საერთო ხედვა.

როგორც პედაგოგს, ამ მცირე კვლევამ მომცა:

- **მეტი სიცხადე** – ზუსტად ვიცი, რა აწუხებთ და რა აინტერესებთ ჩემს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს;
- **სტრატეგიული გეგმა** – სადამრიგებლო და სასწავლო პროცესი გახდა გაცილებით მიზნობრივი, დიფერენცირებული და შედეგზე ორიენტირებული;

მტკიცე პარტნიორობა – მშობლები გახდნენ სასკოლო ცხოვრების თანამონაწილენი და არა უბრალოდ დამკვირვებლები.

როგორც დამრიგებელსა და საგნის მასწავლებელს, კვლევის მონაცემებმა მომცა კონკრეტული სამოქმედო ორიენტირები:

1. **სადამრიგებლო საათების ტრანსფორმაცია:** რადგან გამოიკვეთა ინტერესი პროფესიული ორიენტაციისა და მიზნების დასახვის მიმართ, სადამრიგებლო საათების აქცენტი სწორედ კარიერულ დაგეგმვასა და სოციოემოციურ მხარდაჭერაზე გადავიტანე.
2. **მშობელთა კრებების ახალი ფორმატი:** რადგან მშობლებს სურთ სკოლასთან „უფრო თბილი, თავისუფალი ურთიერთობა და ერთობლივი პროექტები“, ტრადიციული კრებები ჩანაცვლდა ინტერაქციული შეხვედრებითა და ინდივიდუალური კონსულტაციებით.
3. **სასწავლო პროცესის დიფერენცირება:** მოსწავლეთა საჭიროებების ცოდნა და შემეცნებითი ინტერესების გათვალისწინება დამეხმარა საგნის გაკვეთილებზე დიფერენცირებული დავალებებისა და ჯგუფური აქტივობების უკეთ დაგეგმვაში.

ვფიქრობ, მსგავსი პარალელური გამოკითხვები ნებისმიერი კლასის დამრიგებელს დაეხმარება, თავიდან აიცილოს ზედმეტი აცდენები, დროულად უპასუხოს მოზარდების გამოწვევებს და შექმნას გარემო, სადაც სამკუთხედი „**მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი**“ ჰარმონიულად და შეთანხმებულად იმუშავებს.

დასკვნა

კვლევამ ცხადყო, რომ მე-10 კლასში, მიუხედავად მოზარდების ავტონომიისკენ სწრაფვისა და მშობელთა უდროობისა, არსებობს ურთიერთგაგების მაღალი კულტურა. კვლევითი მიდგომა დამრიგებელს ათავისუფლებს სუბიექტური ვარაუდებისგან და აძლევს მკაფიო გზამკვლევს, როგორ წარმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მოსწავლეთა და მშობელთა რეალური ინტერესების გათვალისწინებით.

კვლევითი მიდგომა დამრიგებელს ათავისუფლებს სუბიექტური ვარაუდებისგან და აძლევს მკაფიო გზამკვლევს, როგორ წარმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მოსწავლეთა და მშობელთა რეალური ინტერესების გათვალისწინებით.

სტატიის დანართები (კვლევითი მასალები და მონაცემები)

ავტორი: მარიტა ჩერქეზიშვილი, უფროსი მასწავლებელი, მე-10 კლასის დამრიგებელი

კვლევის თემა: „მე-10 კლასის მშობლების ჩართულობა შვილის სასკოლო ცხოვრებაში – მოსწავლეთა ხმა“

დანართი N1: მშობელთა გამოკითხვის მონაცემები და თემატური პრიორიტეტები

1.1. რესპონდენტთა დემოგრაფიული და აკადემიური პროფილი

მახასიათებელი	კატეგორია / მაჩვენებელი	რაოდენობა / პროცენტი
რესპონდენტთა საერთო რაოდენობა	მე-10 კლასის მშობლები	14 მშობელი (100%)
ასაკობრივი ჯგუფი	საშუალო ასაკი	30-40 წელი
განათლების დონე	საშუალო განათლება	7 მშობელი (50%)
განათლების დონე	პროფესიული განათლება	2 მშობელი (14.3%)
განათლების დონე	უმაღლესი განათლება	5 მშობელი (35.7%)
შვილების აკადემიური მოსწრება (მშობელთა შეფასებით)	დაბალი მაჩვენებელი	3 მშობელი (21.4%)
შვილების აკადემიური მოსწრება (მშობელთა შეფასებით)	საშუალო მაჩვენებელი	3 მშობელი (21.4%)
შვილების აკადემიური მოსწრება (მშობელთა შეფასებით)	მაღალი მაჩვენებელი	8 მშობელი (57.1%)

1.2. მშობელთა პოზიცია და ჩართულობის აღქმა

საკვლევი საკითხი	პასუხების განაწილება	შედეგების ანალიზი და კომენტარი
ჩართულობის მნიშვნელობა მოსწავლის წარმატებისთვის	არ ვეთანხმები: 0 ნაწილობრივ ვეთანხმები: 3 სრულიად ვეთანხმები: 11	მშობელთა 78.6% სრულად აცნობიერებს, რომ მათი აქტიური ჩართულობა შვილის აკადემიური და პიროვნული წარმატების ფუნდამენტია.
მშობლის როლის გაცნობიერება მე-10 კლასში	კრიტიკულად/ძალიან მნიშვნელოვანი: **9 მშობელი** მნიშვნელოვანი (ნაწილობრივ): **5 მშობელი**	მშობლები თავს აღიქვამენ არა უბრალო დამკვირვებლებად, არამედ მოზარდის მზარდი ავტონომიის პერიოდში მის მთავარ მეგზურებად.
ხელის შემშლელი ფაქტორები	დღის დატვირთული გრაფიკი / უდროობა: **10 მშობელი** სხვა ინდივიდუალური მიზეზი: **2 მშობელი** ხელის შემშლელი ფაქტორი არ არსებობს: **1 მშობელი** ნაკლები კომუნიკაცია სკოლასთან: **1 მშობელი**	21-ე საუკუნის რიტმიდან გამომდინარე, უდროობა ჩართულობის ნაკლებობის მთავარ მიზეზად დასახელდა.

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

გიორგი სილაგავა

სპორტი და მოტივაცია

წარმოვიდგინოთ სპორტული დარბაზი, სადაც ბავშვების ერთი ნაწილი მოუთმენლად ელოდება ვარჯიშის დაწყებას, ხოლო მეორე ნაწილი უხერხულად იმმუშნება. ორივე ერთსა და იმავე გაკვეთილზეა, ერთსა და იმავე მასწავლებელთან, და მაინც, სრულიად განსხვავებულ ემოციებს განიცდის. სწორედ ეს განსხვავება – სურვილსა და იძულებას შორის – არის ის, რის გათვალისწინებაც სპორტის მასწავლებელს ყოველდღიურად უწევს.

თანამედროვე განათლების ფილოსოფია მოსწავლეს განიხილავს არა როგორც ცოდნის პასიურ მიმღებს, არამედ როგორც აქტიურ, თავისუფალ და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ პიროვნებას. **ამ კონტექსტში სპორტის გაკვეთილი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური უნარების განვითარებით და იქცევა შესაძლებლობად, სადაც ყალიბდება ადამიანის ნება, პასუხისმგებლობა, თვითდისციპლინა, თანამშრომლობის კულტურა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა.**

სწორედ ამიტომ სპორტის გაკვეთილზე მოტივაციის ამაღლება არ არის მხოლოდ მეთოდური თუ ორგანიზაციული საკითხი – ის წარმოადგენს პედაგოგიური ფილოსოფიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოწვევას, რომლის გააზრება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გაკვეთილი გადააქციოს არა მხოლოდ ვარჯიშის, არამედ პიროვნების ჩამოყალიბების სივრცედ.

მოტივაციის არსი და მნიშვნელობა

მოტივაცია არის შინაგანი ძალა, რომელიც წარმართავს ადამიანის ქცევას მიზნისკენ. საგანმანათლებლო პროცესში ის განსაზღვრავს არა მხოლოდ მოსწავლის აქტიურობას, არამედ სწავლის ხარისხს, თვითრეალიზაციის შესაძლებლობასა და პიროვნულ ზრდასაც. **სპორტში მოტივაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ფიზიკური აქტივობა მოითხოვს სხეულის, გონებისა და ემოციების ერთდროულ ჩართულობას.**

ფილოსოფიური თვალსაზრისით, ადამიანის **მოტივაცია მჭიდროდ უკავშირდება თავისუფლებისა და თვითგანვითარების იდეას.** ადამიანი სრულყოფილებას აღწევს მაშინ, როდესაც საკუთარი ნებით ირჩევს მიზანს და პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ მიღწევებზე. შესაბამისად, სპორტის გაკვეთილის მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ მოძრაობის სწავლება, არამედ ისეთი გარემოს შექმნაც, სადაც მოსწავლე თავად აღმოაჩენს ფიზიკური აქტივობის ღირებულებას.

მასწავლებლის როლი მოტივაციის ფორმირებაში

პედაგოგი არ არის მხოლოდ ცოდნის გადამცემი – ის ღირებულებების მატარებელი და საგანმანათლებლო პროცესის ხელმძღვანელია. მასწავლებლის დამოკიდებულება, სამართლიანობა, ემპათია და პროფესიონალიზმი პირდაპირ აისახება მოსწავლის მოტივაციაზე. როდესაც მოსწავლე გრძნობს პატივისცემას, მხარდაჭერასა და ნდობას, იგი უფრო თამამად ერთვება სასწავლო პროცესში.

მასწავლებლის ამოცანაა, თითოეულ მოსწავლეს დაანახოს საკუთარი პროგრესი. ვთქვათ, მოსწავლემ ვერ შეძლო თანატოლების დონეზე დისტანციური სირბილი – როცა მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მისი შედეგი წინა თვესთან შედარებით გაუმჯობესდა, ბავშვი ხედავს თავის გაუმჯობესებულ შედეგს და საკუთარ თავსვე ეჯიბრება. სწორედ ეს განცდა აძლიერებს შინაგან მოტივაციას, ხოლო მუდმივი შედარება და გადაჭარბებული კონკურენცია ხშირად იწვევს ინტერესის დაკარგვას, **ამიტომ თანამედროვე პედაგოგიკა უპირატესობას ანიჭებს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას.**

სპორტი როგორც ღირებულებათა სკოლა

სპორტის ფილოსოფია გვასწავლის, რომ გამარჯვება მხოლოდ შედეგი არ არის. ჭეშმარიტი გამარჯვება საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენას, სირთულეების გადალახვასა და მუდმივ თვითსრულყოფას გულისხმობს. სპორტის გაკვეთილი ამ ღირებულებების ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალებაა.

მოსწავლე, რომელიც სწავლობს შრომის ფასს, დისციპლინას, მოთმინებასა და სამართლიან თამაშს, თანდათან იძენს იმ თვისებებს, რომლებიც არა მხოლოდ სპორტში, არამედ ცხოვრების ყველა სფეროში წარმატების საფუძველია. მაგალითად, გუნდური თამაშისას წაგებული მატჩის შემდეგ საკუთარ შეცდომებზე საუბრით – და არა დამნაშავის ძებნით – ბავშვი სწავლობს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას, რაც მოგვიანებით ცხოვრების ყველა სხვა სფეროშიც გამოადგება. ამ თვალსაზრისით სპორტი შეიცავს ჰუმანისტური განათლების მნიშვნელოვან და შეუცვლელ კომპონენტს.

შინაგანი მოტივაციის განვითარების პრაქტიკული გზები

თანამედროვე საგანმანათლებლო კვლევები მიუთითებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია შინაგანი მოტივაცია, როცა მოსწავლე აქტივობაში მონაწილეობს არა ჯილდოსთვის ან შეფასებისთვის, არამედ ინტერესის გამო, სიამოვნებით, თვითგანვითარების სურვილით. ამის მისაღწევად საჭიროა:

- მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და **ინტერესების** გათვალისწინება;
- სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება, **შემოქმედებითი აქტივობების** გამოყენება;
- უსაფრთხო, მხარდამჭერი და **სამართლიანი გარემოს შექმნა;**
- მოსწავლისთვის **არჩევანისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების** შესაძლებლობის მიცემა;
- თანამშრომლობითი სწავლებისა და **გუნდური პასუხისმგებლობის** განვითარება.

ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლის ავტონომიის, კომპეტენტურობისა და სოციალური კუთვნილების განცდის გაძლიერებას, რაც მდგრადი მოტივაციის საფუძველს ქმნის.

სპორტის გაკვეთილზე მოტივაციის ამაღლება არა მხოლოდ მეთოდური, არამედ ღრმა ფილოსოფიური და პედაგოგიური ამოცანაა. ის გულისხმობს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც ფიზიკური აქტივობა გადაიქცევა თვითშემეცნების, თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და პიროვნული განვითარების საშუალებად.

როდესაც მოსწავლე სპორტს აღიქვამს არა სავალდებულო აქტივობად, არამედ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და თვითრეალიზაციის გზად, მოტივაცია ბუნებრივი და მდგრადი ხდება. სწორედ ამგვარი მიდგომა შეესაბამება XXI საუკუნის განათლების მიზნებს, რომლებიც ორიენტირებულია ჰარმონიულად განვითარებული, თავისუფალი, პასუხისმგებლობიანი და ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ბელა დურგლიშვილი

მედიაწიგნიერების უნარები შემოქმედებითი დავალებისათვის

როგორ შეიძლება განვითარონ და გამოიყენონ მოსწავლეებმა მედიაწიგნიერების უნარები, როცა შემოქმედებით დავალებას ასრულებენ?

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირების, არგუმენტირების უნარების განვითარებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, წიგნიერების (მათ შორის მედიაწიგნიერებისა და ციფრული წიგნიერების) განვითარებას, ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ორიენტირი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტია, რომლის მიხედვითაც საფეხურის გრძელვადიან მიზნებს შუალედური ანუ შემოქმედებითი დავალებების მეშვეობით ახორციელებს.

ამ თვალსაზრისით საინტერესო პრაქტიკულ მაგალითს წარმოადგენს VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს მიხედვით აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ ტექსტზე აგებული შემოქმედებითი დავალება – მედიადაიჯესტი.

შემოქმედებითი დავალების – მედიადაიჯესტის წარდგენა უკავშირდება კონკრეტულ საკითხს: მედიადაიჯესტის მომზადებას აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ მიხედვით. მუშაობისას გათვალისწინებულია თემატური საკვანძო კითხვები და წარმოდგენები: რას გვასწავლის წარსული თანამედროვეობის შესახებ? (რატომ არის მნიშვნელოვანი წარსულის ცოდნა?) რამდენად და როგორ შეიძლება, ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებით ვისწავლოთ მშობლიური ქვეყნის წარსული? როგორ მეხმარება წარსულზე დაწერილი ლიტერატურა ჩემი ქვეყნის თანამედროვეობის უკეთ გაგებაში? როგორ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სამშობლოზე, პირადი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ? შემიძლია, გამოვიყენო პირადი გამოცდილება, წაკითხული/ნასწავლი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

შემოქმედებითი დავალება სრულდება სამიზნე ცნების საკვანძო კითხვებზე პასუხის გაცემით: როგორ გამოვხატო საკუთარი შთაბეჭდილება და დამოკიდებულება ნაწარმოების იდეის, პერსონაჟების, მოვლენების, ფაქტებისა და რეალიების მიმართ მედიადაიჯესტში? რამდენად შევძლებ საკომუნიკაციო ფაქტორების მიზნობრივად გამოყენებას?

ამ დავალების შესრულება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. ესენია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები: კომპოზიცია, თემა/იდეა, მოქმედების დრო/ადგილი, მთავარი პერსონაჟები (ქცევა, ემოციები, შინაგანი სამყარო, ურთიერთობები), კონტექსტი/ეპოქა (რეალიები, მოვლენები, ფაქტები, ისტორიული პირები), საკომუნიკაციო სიტუაცია/სიტუაციური ფაქტორები: თემატიკა, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი, აუდიტორია/სამიზნე ჯგუფი), მიზანი, ადგილი, დრო, კომუნიკაციის არხი.

შუალედური სასწავლო მიზნის – შემოქმედებითი დავალების პირობა ასეთია:

- მოამზადეთ მედიადაიჯესტი აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ მონაცემებზე დაყრდნობით; წარმოადგინეთ კახეთის ისტორიული მოვლენების „თანადროული“ მედიადაიჯესტი სატელევიზიო რუბრიკების („პოლიტიკა“, „კულტუროსკოპი“, „გართობა და დასვენება“, „ელიტარული ქრონიკა“ ცნობილ ისტორიულ პირთა და გამოგონილ ლიტერატურულ პერსონაჟთა შესახებ) პრეზენტაციით ფართო აუდიტორიისთვის.

ნამუშევარში:

- წარმოაჩინეთ ნაწარმოების მთავარი თემა და იდეა;
- დაუკავშირეთ მედიადაიჯესტში ასახული პრეზენტაციები ნაწარმოების შინაარსობრივ მხარეს (მაგ., ქვეყნის ისტორიულ რეალიებსა და პერსონაჟთა შინაგან სამყაროს, მათ მეტყველებას);
- წარმოადგინეთ ნაწარმოებში გადმოცემული ამბები/მოვლენები, პერსონაჟები მედიადაიჯესტისთვის დამახასიათებელი ფორმით.

პრეზენტაციის წარდგენისას ისაუბრეთ:

- რამდენად გასაგებად გამოხატეთ დამოკიდებულება ნაწარმოების თემის, იდეის, პერსონაჟთა სახეების მიმართ და წარმოაჩინეთ მოქმედების დროისა და ადგილის ცოდნა თქვენ მიერ მომზადებულ მედიადაიჯესტში? (კომპოზიცია)
- რატომ მიგაჩნიათ, რომ თქვენი მედიადაიჯესტი შთამბეჭდავი და საინტერესო იქნება აუდიტორიისთვის? (საკომუნიკაციო)
- რა ნაბიჯები გადადგით დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე – რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რას შეცვლიდით, თავიდან რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას? შემოქმედებითი დავალების ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
- რომელ ნაწარმოებებს გაიხსენებდით, რომლებშიც სამშობლოს სიყვარულის თემაა გამოკვეთილი?
- რა გრძნობები გეუფლებათ ასეთი ტექსტების კითხვისას?
- როგორ გადმოსცემდით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება? რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რისი შესწავლა დაგჭირდებათ / რაში დაგჭირდებათ დახმარება?
- შეუცვლია თუ არა თქვენი წარმოდგენები პერსონაჟების, მხატვრული კონფლიქტის შესახებ წაკითხული ნაწარმოების მიხედვით შექმნილი მედიადაიჯესტის ნახვას? გაიხსენეთ მაგალითი/მაგალითები პირადი გამოცდილებიდან.

შესასრულებლად მოსწავლეები მუშაობენ ეტაპებად:

I ეტაპი – შემოქმედებითი დავალების გაცნობა სხვადასხვა აქტივობით, წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურება და შემოქმედებითი დავალების პირობის გაცნობა;

II ეტაპი – შემოქმედებითი დავალების შესრულება. პირველ ეტაპზე აქტიურდება სამიზნე

შემოქმედებითი დავალების შესრულების ეტაპზე რამდენიმე სამუშაო ნაბიჯის მეშვეობით მუშავდება კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მოამზადებს საფუძველს შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად. ნაწარმოების ტექსტის დამუშავების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, შეავსონ ორი სქემა: ერთი – ისტორიული, მეორე კი გამოგონილი პერსონაჟებისთვის.

მოსწავლეები ასევე ქმნიან პერსონაჟის რუკას:

ვინაობა, სოციალური წრე	გარეგნობა	პერსონაჟის შეხედულებები	ავტორისეული შეფასება	შენი შეფასება

მერე კი პერსონაჟის რუკას მედიადაიჯესტისთვის:

პერსონაჟი	რომელ პერსონაჟს წარმოადგენდით მედიადაიჯესტში?	პერსონაჟის რომელ თვისებებს წარმოაჩენდით მედიადაიჯესტში?

ფილმ „ბაში-აჩუკისა“ და პირველწყაროს – მხატვრული ტექსტის შედარების შემდეგ ავსებენ ახალ კოგნიტიურ სქემას და ეცნობიან ინტერნეტრესურსებს მედიადაიჯესტის სპეციფიკური ფორმატისა და რუბრიკების შესახებ.

მომდევნო ეტაპზე წამოაყენებენ იდეებს მოსამზადებელი პრეზენტაციის თაობაზე. ქმნიან პირველად მონახაზს (ინდივიდუალურად, შეიძლება შინ). გაწერენ მინიგეგმას მედიადაიჯესტზე სამუშაოდ.

ამის შემდეგ კი ნაწარმოების ეპიზოდების მიხედვით შეავსებენ მედიადაიჯესტის სქემას:

მედიადაიჯესტი

სატელევიზიო რუბრიკები			
პოლიტიკა (დრო - ...წთ)	კულტუროსკოპი (დრო - ...წთ)	გართობა და დასვენება (დრო - ...წთ)	ელიტარული ქრონიკა (დრო - ...წთ)

ყველა ამ კოგნიტიური სქემის მიზნობრივი დამუშავება უკავშირდება სამიზნე ცოდნის ეტაპობრივად აგებას შესაბამისი მაორგანიზებელი დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული შეკითხვებით და ამზადებს მოსწავლეებს მედიადაიჯესტის რუბრიკების გადასანაწილებლად. ისინი ამზადებენ პრეზენტაციის საბოლოო ვარიანტს მცირე ჯგუფებში და შემდეგ წარადგენენ მედიადაიჯესტს.

პრეზენტაციისთვის მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ კითხვები:

- როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მედიადაიჯესტი საინტერესო და ადვილად აღსაქმელი იყოს მსმენელისთვის?
- რით განსხვავდება ჩემი ნამუშევარი სხვათა ნამუშევრებისგან?
- რით შეგვიძლია შევავსოთ ერთმანეთის ცოდნა?
- რა უნდა შევცვალოთ, დავამატოთ ან ამოვიღოთ საუკეთესო, საბოლოო ჯგუფური ვარიანტის მისაღებად?

21-ე საუკუნეში თანამედროვე მობილური თაობისთვის ერთგვარი გამოწვევაა ლიტერატურული ნაწარმოებისა და ფილმის საფუძველზე ისეთი შემოქმედებითი დავალების შესრულება, რომელშიც ცოდნას, წარმოსახვასა და ინტერესებს საკუთარ რეალობას შეუსაბამებს. მედიადაიჯესტი ამ მხრივ მიმზიდველი და შემოქმედებითი სივრცეა, რომელშიც მოსწავლეს შეუძლია, უმთავრესი ღირებულება და სათქმელი – სამშობლოს სიყვარულისა და დაცვის გრძნობა – ისტორიული რეალობიდან თანამედროვე სივრცეში გადმოიტანოს მედიაწიგნიერების უნარების განვითარების გზით და ნაწარმოების თემისა და იდეის, პერსონაჟთა გალერეის წარმოდგენით სასწავლო საფეხურის გრძელვადიანი მიზნებიც განახორციელოს.

სოფიკო ლორთქიფანიძე

ენა, რომელიც გვამხელს: სნობიზმის ენობრივი მარკერები მოზარდებში

თანამედროვე მოზარდის სამყარო სოციალური ურთიერთობების, თვითდამკვიდრებისა და საკუთარი იდენტობის მუდმივი ძიების პროცესში იქმნება. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ენა. ის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება არ არის – ადამიანის დამოკიდებულებების, ღირებულებებისა და სამყაროს მისეული ხედვის გამომხატველიცაა.

სწორედ ამიტომ საინტერესო კვლევის საგნად ვაქციე სნობიზმის ენობრივი გამოვლინებები მოზარდებში. სნობიზმი ხშირად პიროვნულ თვისებად აღიქმება. სინამდვილეში ის უფრო ფართო სოციალური მოვლენაა, რომელიც ავლენს ადამიანის დამოკიდებულებას სხვათა მიმართ სოციალური სტატუსის, გარეგნობის, კულტურული განსხვავების, გემოვნებისა თუ შესაძლებლობების მიხედვით.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი **სნობს** განმარტავს როგორც **ადამიანს, რომელიც სხვებს ზემოდან უყურებს და მიუღებლად მიიჩნევს სოციალური, კულტურული ან ეკონომიკური განსხვავებების გამო.** თუმცა სნობიზმი მხოლოდ ქცევით არ ვლინდება. მისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი სწორედ ენაა.

ადამიანი ყოველთვის პირდაპირ არ ამბობს: „**მე შენზე უკეთესი ვარ**“, – მაგრამ ხშირად სიტყვების შერჩევით, ინტონაციით, ირონიითა და შეფასებითი ფორმულირებებით გვაგრძნობინებს ამას. სწორედ ამგვარი ენობრივი ნიშნების აღმოჩენა და გააზრება წარმოადგენს მოსწავლეებთან მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

სნობური მეტყველება ხშირად ქმნის უხილავ საზღვრებს ადამიანებს შორის. ერთი შეხედვით უბრალო ფრაზა შესაძლოა იქცეს სხვისი დამცირების, გარიყვის ან საკუთარი უპირატესობის წარმოჩენის საშუალებად.

მოზარდთა ყოველდღიურ ურთიერთობებში მსგავსი დამოკიდებულებები შესაძლოა გამოვლინდეს ფრაზებით:

„რა სიბანძე გაცვია...“

„რას მიხვდები, შენ ხომ არაფერი იცი...“

„მეტი ვერ გაქაჩე?“

ასეთი გამონათქვამები მხოლოდ კონკრეტული ადამიანის შეფასება არ არის – ისინი ქმნიან გარკვეულ იერარქიას, სადაც ვიღაც საკუთარ თავს სხვაზე მაღლა აყენებს.

სნობური ენის ძირითადი მარკერებია:

- ირონია, როდესაც დამცირება შეფარული ფორმით გამოიხატება;
- ცინიზმი, სხვისი აზრისა და შესაძლებლობების გაუფასურება;
- გადაჭარბება, ადამიანის თვისებების განზოგადება მისი დაკნინების მიზნით;
- ელიტური ფორმულირებები, საკუთარი ცოდნის, გემოვნებისა თუ გამოცდილების განსაკუთრებულობის წარმოჩენა.

▷▷ დასასრული იხილეთ MASTAVLEBELI.GE-ზე

საგანმანათლებლო ინიციატივა „ადამიანის უფლებები და უფლებების ძალა“

თინათინ ყუფარაძე

თანამედროვე გლობალურ საზოგადოებაში, სადაც ციფრული ტექნოლოგიები და ინტერნეტსივრცე ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ადამიანის უფლებების, ტოლერანტობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება სასკოლო განათლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა. ციფრული ეპოქა მოითხოვს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ღირებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებსაც. eTwinning-ის პროექტი „ადამიანის უფლებები და უფლებების ძალა“ სწორედ ამ საჭიროებებს პასუხობს.

მიზანი

პროექტის მთავარი მიზანი იყო მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარება, კერძოდ:

ცნობიერების ამაღლება – მოსწავლეთა ცოდნის გამდიდრება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესახებ;

ციფრული კომპეტენციები – Web 2.0 ინსტრუმენტების (Padlet, Book Creator, Canva, Genially) ეფექტური და უსაფრთხო გამოყენება;

კულტურათაშორისი დიალოგი – კომუნიკაცია თანატოლებს შორის სხვადასხვა ქვეყნიდან, სტერეოტიპების დაძლევა და საერთო კულტურული სივრცის შექმნა;

პასუხისმგებლობა – ძალადობისა და ბულინგის ყოველგვარი ფორმის დაგმობა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება.

აქტივობების კალენდარი

თვე	ძირითადი აქტივობები
იანვარი	მშობლების თანხმობა, ლოგოს/პოსტერის შექმნა, მონაწილეთა პრეზენტაცია, ქვეყნების გაცნობა
თებერვალი	აკროსტიქი, დეკლარაციის კომიქსები, ონლაინშეხვედრები, ინტერნეტუსაფრთხოების დღე
მარტი	კოლაბორაციული მოთხრობა, წიგნის აწყობა, ჯონ ლენონის „Imagine“-ის შესრულება
აპრილი	ვირტუალური გალერეა (პლაკატები, ბუკლეტები), ქეისების ანალიზი (ბულინგი, გენდერი)
მაისი	მდგრადი განვითარების მიზანი 16-ის განხილვა, კულტურული ტრადიციების გაზიარება, შემაჯამებელი შეხვედრა
ივნისი	კვლევა, სერტიფიკატები, პროექტის წიგნი და პოდკასტი

აქტივობათა შედეგები

პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა მოსწავლეებს საშუალება მისცა, თეორიული ცოდნა პრაქტიკულ, შემოქმედებით პროდუქტებში გადაეტანათ.

აღწერა: მოსწავლეებმა შექმნეს „ადამიანის უფლებების კომიქსები“, ვირტუალური გალერეები, ჩაატარეს კვლევები ბულინგისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. მნიშვნელოვანი აქტივობა იყო ჯონ ლენონის „Imagine“-ის ერთობლივი ვოკალური შესრულება, რაც გახდა მშვიდობის იდეის სიმბოლო.

შედეგები

1. მოსწავლეებმა დაძლიეს ენობრივი და სოციალური ბარიერები.
2. გაძლიერდა მათი ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარები.
3. პედაგოგებმა გაიუმჯობესეს ციფრული მეთოდოლოგიების დანერგვის უნარი, რაც საუკეთესო პრაქტიკად იქცა სხვა კოლეგებისთვისაც.
4. სასკოლო კულტურაში დაინერგა „საერთაშორისო თანამშრომლობის“ კულტურა.

პროექტმა „ადამიანის უფლებები და უფლებების ძალა“ დაამტკიცა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა საზღვრებს ზლის. მისი მდგრადობა უზრუნველყოფილია ისეთი ხელშესახები შედეგებით, როგორიცაა „პროექტის წიგნი“, რომელიც სასკოლო საზოგადოების მემკვიდრეობად დარჩა. გამოცდილი მოსწავლეების მენტორობის სისტემა უზრუნველყოფს ცოდნის უწყვეტობას. ინიციატივა არ ყოფილა ერთჯერადი აქტივობა – ის გახდა საფუძველი მომავალი ინოვაციური საგანმანათლებლო პრაქტიკებისთვის. მან ხელი შეუწყო მოსწავლეთა სისტემური აზროვნების განვითარებას, სადაც ადამიანის უფლებები აღიქმება არა აბსტრაქტულ ცნებად, არამედ ყოველდღიური ცხოვრებისა და პიროვნული ღირსების ფუნდამენტად.

საერთაშორისო პლატფორმა eTwinning-ის პროექტი „ადამიანის უფლებები და უფლებების ძალა“ წარმოადგენს ინოვაციურ საგანმანათლებლო ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, ციფრული კომპეტენციების გაძლიერებასა და ტოლერანტული გარემოს ფორმირებას კულტურათშორისი დიალოგის გზით. პროექტმა, რომელმაც გააერთიანა 18 პედაგოგი და 63 მოსწავლე სამი ქვეყნიდან, თეორიული ცოდნა გარდაქმნა რეალურ ციფრულ პროდუქტებად და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სკოლაში კოლაბორაციული სწავლების, სისტემური აზროვნებისა და მდგრადი საგანმანათლებლო პრაქტიკების დანერგვას, რაც „პროექტის წიგნისა“ და მენტორობის სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს ცოდნის უწყვეტობას და გრძელვადიან პოზიტიურ გავლენას სასკოლო საზოგადოებაზე.

პროექტის მასალების ბმული: თქვენი პროექტის შემაჯამებელი ციფრული რესურსი/წიგნი.

1.3. სადამრიგებლო საათებისთვის შეთავაზებული პრიორიტეტული თემები

თემატური მიმართულება	კონკრეტული საკითხები და შინაარსი	დასახელების სიხშირე (%)
სოციოემოციური განვითარება და ღირებულებები	ჯანსაღი ურთიერთობები, მეგობრობა, ბულინგის პრევენცია, ურთიერთპატივისცემა	48%
სამოქალაქო ცნობიერება	მოსწავლეთა მოვალეობები და უფლებები, სასკოლო და თემურ აქტივობებში მონაწილეობა	21%
პროფესიული ორიენტაცია და მომავალი	პროფესიის სწორი არჩევა, კარიერული დაგეგმვა, მიზნების დასახვა	17%
აკადემიური და პიროვნული ზრდა	ხარისხიანი განათლების მნიშვნელობა, თვალსაწიერის გაფართოება, თვითგანვითარება	14%

დანართი N2: მოსწავლეთა და მშობელთა პასუხების შედარებითი ანალიზი

საკვლევი ინდიკატორი	მშობელთა პერსპექტივა (14 მშობელი)	მოსწავლეთა პერსპექტივა (14 მოსწავლე)	თანხვედრისა და აცდენის ანალიზი
ყოველდღიური ინტერესი სასკოლო ამბების მიმართ	აცხადებენ, რომ აქტიურად და ყოველდღიურად ინტერესდებიან შვილის სასკოლო ცხოვრებით.	57.1% ადასტურებს, რომ მშობლები ყოველდღე ინტერესდებიან მათი ნიშნებითა და ურთიერთობებით.	**სრული თანხვედრა:** ორივე მხარე ადასტურებს ოჯახში ყოველდღიური კომუნიკაციის არსებობას.
ჩართულობის ფორმა და გამოვლინება	მიუთითებენ, რომ უშუალოდ გაკვეთილების მომზადებისა და მეცადინეობის პროცესში არიან ჩართულნი.	აღნიშნავენ, რომ მშობლები ძირითადად ესაუბრებიან სამომავლო გეგმებზე და ესწრებიან კრებებს.	**მცირე აცდენა:** მშობლები მეტ აქცენტს სვამენ აკადემიურ კონტროლზე, ხოლო მოზარდები – ვერბალურ მხარდაჭერასა და მომავალზე დიალოგზე.
მშობლის მხარდაჭერის გავლენა სწავლაზე	მიაჩნიათ, რომ მათ მხარდაჭერასა და ჩართულობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს შედეგისთვის.	64.3%-ს მიაჩნია, რომ მშობლის მხარდაჭერის პირობებში გაცილებით უკეთ სწავლობს.	**სრული თანხვედრა:** მოზარდები პოზიტიურად აფასებენ მშობლის მხარდაჭერას და მას მოტივატორად მიიჩნევენ.
ჩართულობისთვის ხელის შემშლელი მიზეზები	ასახელებენ გადატვირთულ სამუშაო გრაფიკსა და დროის დეფიციტს.	ერთხმად ადასტურებენ, რომ მშობელთა ჩართულობისთვის ხელის შემშლელი მთავარი ფაქტორი დროის დეფიციტია.	**სრული თანხვედრა:** მოსწავლეები ობიექტურად აღიქვამენ მშობელთა დატვირთულობას.
კლასის საზოგადოების წევრობის განცდა	უმრავლესობა თავს მე-10 კლასის დიდი ოჯახის ნაწილად მიიჩნევს.	65% თავს მე-10 კლასის დიდი ოჯახის მნიშვნელოვან წევრად გრძნობს.	**სრული თანხვედრა:** კლასში არის პოზიტიური, ერთსულოვანი სოციოემოციური კლიმატი.
დამრიგებლის პრიორიტეტული აქტივობები	უპირატესობას ანიჭებენ შემეცნებით (43%) და სააღმზრდელო (21%) ღონისძიებებს.	უპირატესობას ანიჭებენ შემეცნებით პროექტებსა და ინტელექტუალურ თამაშებს/ვიქტორინებს.	სრული თანხვედრა: ორივე ჯგუფი ორიენტირებულია პიროვნულ და ინტელექტუალურ განვითარებაზე.

დანართი N3: მოსწავლეთა რეკომენდაციები და გულწრფელი პასუხები

შეკითხვა მოსწავლეებს: *„როგორ უნდა მოიქცეს სკოლა/მასწავლებელი, რომ მშობლებისთვის სკოლასთან თანამშრომლობა უფრო საინტერესო და კომფორტული გახდეს?“*

N	მოსწავლეთა პასუხები (პირდაპირი ციტატები Google Forms-იდან)	კატეგორიზაცია / თემატური ჯგუფი
1	„სკოლამ და მასწავლებლებმა მშობლებთან უფრო თბილი და თავისუფალი ურთიერთობა უნდა დაამყარონ. კარგი იქნება სხვადასხვა საინტერესო აქტივობების მოწყობა, რათა მშობლები უფრო მეტად დაინტერესდნენ სკოლის ცხოვრებით და იქ მისვლა მათთვის კომფორტული იყოს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მშობლების მხრიდანაც მეტი ყურადღება, ჩართულობა და ინტერესის გამოხატვა, რადგან კარგი ურთიერთობა ორივე მხარის მონაწილეობას საჭიროებს“.	ორმხრივი ნდობა და სოციალური გარემო
2	„უნდა გახადოს ღია სასკოლო მმართველობა“.	გამჭვირვალობა და მმართველობა
3	„მასშტაბური ღონისძიებები და აქტივობები დაგეგმოს“.	არაფორმალური განათლება
4	„ალბათ საინტერესო აქტივობები, რაც მშობელსაც სურვილს გაუჩენს სკოლასთან თანამშრომლობის“.	მოტივაციური ღონისძიებები
5	„მეტი ერთობლივი პროექტი გააკეთოს“.	ერთობლივი პროექტები
6	„არ არის საჭირო მე-10 კლასში ყველაფერში მშობელი, ამიტომ არაფერი“.	მოზარდის ავტონომიის მოთხოვნა

დანართი N4: ეთიკური სტანდარტები და თანხმობის ფორმა

მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის ფორმა

კვლევის დასახელება: „მე-10 კლასის მშობლების ჩართულობა შვილის სასკოლო ცხოვრებაში – მოსწავლეთა ხმა“

კვლევის ორგანიზატორი: მე-10 კლასის დამრიგებელი მარიტა ჩერქეზიშვილი

გამოკითხვის მიზანი: საბაზო საფეხურის მე-10 კლასის მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებების, გამოწვევებისა და სკოლასთან თანამშრომლობის პრაქტიკის სიღრმისეული შესწავლა

ეთიკური პრინციპი	შინაარსი და გარანტიები
1. **ანონიმურობა და კონფიდენციალურობა**	გამოკითხვა სრულიად ანონიმურია. არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი) არ გასაჯაროვდება და გამოყენებული იქნება მხოლოდ ზოგადი სტატისტიკური ანალიზისთვის.
2. **ნებაყოფლობითობა**	გამოკითხვაში მონაწილეობა სრულიად ნებაყოფლობითია. მშობელსაც და მოსწავლესაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ პროცესი მიზეზის დასახელების გარეშე.
3. **ფორმატი და ხანგრძლივობა**	გამოკითხვა ტარდება ელექტრონული ფორმატით (Google Forms) და მისი ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 5-10 წუთს.

შენიშვნა: კვლევა ჩატარდა ეთიკის ნორმების სრული დაცვით, მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე.

თანხმობის დასტური (შაბლონი):

მე, _____ (მშობლის სახელი, გვარი), გავეცანი ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციას და თანახმა ვარ, ჩემმა შვილმა: _____ (ბავშვის სახელი, გვარი, ასაკი) მონაწილეობა მიიღოს დამრიგებლის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ გამოკითხვაში.

ხელმოწერა: _____ თარიღი: „_____“ „_____“

ნატო ინგოროყვა

მასწავლებელი ალგორითმების ჩრდილში: საგანმანათლებლო მზაობა

განათლებაში ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია არ გულისხმობს მხოლოდ პროცესების ავტომატიზაციას. ეს სწავლების პარადიგმის საგულისხმო ცვლილებაა. AI გვთავაზობს სწავლების მოდელის პერსონალიზაციას, სადაც სასწავლო პროგრამა ინდივიდუალურ ტემპსა და საჭიროებებს ერგება, თუმცა კრიტიკული ზღვარი გადის ტექნოლოგიის როგორც დამხმარე ინსტრუმენტისა და როგორც შემცვლელის ფუნქციებს შორის.

ამ გამოწვევის თანამდევია ის, რომ თანამედროვე პედაგოგიკაში ყალიბდება კრიტიკული თანამშრომლობის მოდელი: ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეს დავავალოთ ესეს დაწერა სახლში (სადაც ტექსტი შესაძლოა ChatGPT-მ დაუწეროს), მასწავლებელი სთხოვს AI-ს, შექმნას ნამუშევარი მოცემულ თემაზე, ხოლო მოსწავლის ამოცანაა მისი კრიტიკული ანალიზი, ლოგიკური ხარვეზების აღმოჩენა, არგუმენტების გადამოწმება და პირადი ემოციური თუ ინტელექტუალური კონტექსტის დამატება. ამგვარი მიდგომა მხოლოდ პლაგიატის რისკს კი არ ამცირებს, არამედ მეტაკოგნიტიურ უნარებსა და დამოუკიდებელ აზროვნებასაც აყალიბებს.

თანამედროვე განათლების სისტემა დგას პოსტსიმართლის ეპოქის რეალობის წინაშე. ინფორმაციის სიმრავლის პირობებში მთავარი პრობლემა არა მონაცემთა ხელმისაწვდომობა, არამედ მათი სანდოობის, ვალიდურობის დადგენაა. AI-ს მიერ მოწოდებული შინაარსი, რომელიც ხშირად დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ ზოგჯერ ფაქტობრივად მცდარია, ზრდის დეზინფორმაციის გავრცელების რისკს. შესაბამისად, ინფორმაციული ჰიგიენა და წყაროების კრიტიკული ანალიზი ხდება თანამედროვე განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი, რათა მოსწავლემ მომავლის სამყაროში რეალობისა და ციფრული სიმულაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა შეძლოს.

რა შეძლება გაკეთდეს ამისთვის?

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს მედიაწიგნიერების უნარების განსავითარებლად.

ლაბორატორია: „ციფრული დეტექტივი“

შეიძლება სკოლებში „მედიაწიგნიერების ლაბორატორიების“ შექმნა, სადაც მოსწავლეებს აჩვენებენ რეალურ Deepfake ვიდეოს (მაგალითად, ცნობილი ადამიანის ყალბ მიმართვას) და ასწავლიან მეტამონაცემების შემოწმებას ან ციფრული კვალის ძიებას სიმართლის დასადგენად.

მიზანი: ინფორმაციული ჰიგიენისა და წყაროების ვალიდურობის შემოწმება

დავალება: მოსწავლეებს მიეცით AI-ს მიერ გენერირებული „დამაჯერებელი“ ტექსტი ან Deepfake ვიდეო.

ინსტრუქცია: ჯგუფებმა უნდა გამოიყენონ მეტამონაცემების შემოწმების მეთოდი ან მოძებნონ ციფრული კვალი სიმართლის დასადგენად.

შედეგი: მოსწავლეები სწავლობენ რეალობისა და ციფრული სიმულაციის გამიჯვნას პოსტსიმართლის ეპოქაში.

თანამედროვე ციფრული პლატფორმები მუშაობენ ალგორითმებზე, რომლებიც მომხმარებლის ინტერესების პროგნოზირებაზეა ორიენტირებული. ეს ქმნის ერთგვარ ინფორმაციულ ბუშტებს, სადაც ადამიანი მხოლოდ საკუთარი შეხედულებების დადასტურებას იღებს.

ჩვენი მიზანი არ არის ტექნოლოგიებთან ბრძოლა – ეს წაგებული ომია. ჩვენი მიზანია, შევქმნათ განათლების ისეთი სისტემა, სადაც ადამიანის შემოქმედებითობა და მანქანის გამოთვლითი სიმძლავრე შეთანხმებულად იმუშავებს. ამ გზაზე კი ჩვენი ერთადერთი კომპასი ეთიკა და კრიტიკული აზროვნებაა.

საგანმანათლებლო ჭრილში ეს საფრთხეს უქმნის ინტელექტუალურ პლურალიზმს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის გაგება, როგორ აყალიბებს ალგორითმი ჩვენს გემოვნებას, მოსაზრებებსა და გადაწყვეტილებებს. განათლების მიზანია, დაეხმაროს ინდივიდს ამ უხილავი მანიპულაციისგან თავის დაღწევასა და ავტონომიური აზროვნების შენარჩუნებაში.

სოციალური ექსპერიმენტი კლასში – „ბუშტების შეჯახება“

მიზანი: ალგორითმული ფილტრების (ინფორმაციული ბუშტების) ვიზუალიზაცია.

დავალება: ორ მოსწავლეს, რომლებსაც განსხვავებული ინტერესები აქვთ, სთხოვეთ, YouTube-ზე ან TikTok-ზე მოძებნონ ერთი და იგივე ნეიტრალური ტერმინი (მაგ., „კლიმატის ცვლილება“). მათ მიერ მიღებული რადიკალურად განსხვავებული შედეგები თვალნათლივ აჩვენებს, როგორ გვიქმნის ალგორითმი ინფორმაციულ ბუშტს.

დისკუსია: შეადარეთ მიღებული შედეგები. რატომ შესთავაზა ალგორითმმა მათ რადიკალურად განსხვავებული კონტენტი?

დასკვნა: გააანალიზეთ, როგორ აყალიბებს ალგორითმი ჩვენს გემოვნებასა და გადაწყვეტილებებს ჩვენივე უხილავი მანიპულაციის გზით.

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მასწავლებელი „ცოდნის გადამცემიდან“ „სწავლის დიზაინერად“ და მენტორად აქცია. იმ ეპოქაში, როდესაც ნებისმიერი ფაქტობრივი მასალის მოძიება წამებშია შესაძლებელი, მასწავლებლის მთავარი ღირებულება კონტექსტუალიზაციაში, ემპათიასა და ეთიკური ორიენტირების დასახვაშია. ციფრული რეალობა მისგან მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ კომპეტენციას, არამედ უნარსაც, მართოს ადამიანური ურთიერთობები იქ, სადაც მანქანა უძლურია მოტივაციის, შთაგონებისა და მორალური მხარდაჭერის პროცესში.

როლური თამაში: „სწავლის დიზაინერი“

მასწავლებელი ლექციის ნაცვლად იყენებს „შებრუნებული საკლასო

ოთახის“ მოდელს. მოსწავლეები თეორიულ მასალას (ვიდეოს/ტექსტს) ეცნობიან დამოუკიდებლად, ხოლო გაკვეთილზე მასწავლებელთან ერთად ხდება ამ მასალის მორალური დილემების განხილვა და მუშაობა ჯგუფურ პროექტებზე, სადაც მთავარი ემპათია და გუნდურობაა.

მიზანი: მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ტრანსფორმაცია „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მოდელში.

ფორმატი: მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან თეორიულ მასალას (ვიდეო/ტექსტი).

საკლასო აქტივობა: გაკვეთილზე მასწავლებელი (როგორც მენტორი) ფასილიტაციას უწევს მორალური დილემების განხილვას.

ამოცანა: ჯგუფური პროექტი, სადაც მთავარია ემპათია და გუნდურობა – თვისებები, სადაც მანქანა უძლურია.

ტრადიციულად, ეთიკა განიხილებოდა როგორც აბსტრაქტული ფილოსოფიური დისციპლინა, მაგრამ დღეს ის პრაქტიკულ კომპეტენციად იქცა. მონაცემთა კონფიდენციალურობა, ალგორითმული მიკერძოება და ტექნოლოგიების გამოყენების ზღვარი ყოველდღიური არჩევანია. მოსწავლეებმა ეთიკა უნდა აღიქვან არა წესების კრებულად, არამედ გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტად. ეს არის უნარი, განსაზღვრო ტექნოლოგიური განვითარების გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე და იმოქმედო პასუხისმგებლობით, რაც დღეს პროფესიული წარმატების განუყოფელი ნაწილია.

ეთიკური ჰაკათონი: „მორალური მანქანა“ – თვითმართვადი ავტომობილის დილემა

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დაწერონ კოდის ეთიკური პრინციპები რობოტისთვის: როგორ უნდა მოიქცეს მანქანა ავარიულ სიტუაციაში? ეს მათ აჩვენებს, რომ პროგრამირება მხოლოდ მათემატიკა არ არის – ის პირდაპირ კავშირშია ადამიანის სიცოცხლის ღირებულებასთან.

მიზანი: ეთიკის როგორც პრაქტიკული კომპეტენციის და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტის განვითარება

ქეისი: გამოიყენეთ თვითმართვადი ავტომობილის დილემა.

დავალება: მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ ეთიკური პრინციპების კოდექსი რობოტისთვის: როგორ უნდა მოიქცეს მანქანა ავარიულ სიტუაციაში, როცა არჩევანია ორ ცუდ გამოსავალს შორის?

აქცენტი: დაანახეთ მოსწავლეებს, რომ პროგრამირებას პირდაპირი კავშირი აქვს არა მხოლოდ მათემატიკასთან, არამედ ადამიანის სიცოცხლის ღირებულებასთანაც.

შეფასების კრიტერიუმები

ეს კრიტერიუმები დაეხმარება მასწავლებელს, რომელიც „სწავლის დიზაინერის“ როლშია, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლეთა ჩართულობა ციფრული რეალობის მართვის პროცესში.

შეფასების კრიტერიუმების ცხრილი

შეფასების კრიტერიუმი	განმარტება და ინდიკატორები
ინფორმაციული ჰიგიენა და ვალიდურობა	მოსწავლეს შეუძლია, ეჭვქვეშ დააყენოს AI-ს მიერ გენერირებული კონტენტი და გამიჯნოს რეალობა ციფრული სიმულაციისგან. იყენებს მეტამონაცემებსა და ციფრულ კვალს სიმართლის დასადგენად.
ალგორითმული გაცნობიერება	მოსწავლე აცნობიერებს, როგორ ქმნის ალგორითმი ინფორმაციულ ბუშტებს და როგორ მოქმედებს ეს მის გადაწყვეტილებებზე. შეუძლია უხილავი მანიპულაციისგან თავის დაღწევის გზების პოვნა.
ეთიკური გადაწყვეტილების მიღება	მოსწავლე ეთიკას იყენებს როგორც პრაქტიკულ ინსტრუმენტს. შეუძლია, გააანალიზოს ტექნოლოგიის გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.
კონტექსტუალიზაცია და ემპათია	მოსწავლე მართავს ადამიანურ ურთიერთობებს იქ, სადაც ტექნოლოგია უძლურია. ჯგუფურ მუშაობაში ავლენს ემპათიას და თანამშრომლობას.
კრიტიკული ანალიზი	მოსწავლე ტექნოლოგიას იყენებს როგორც გამაძლიერებელს და არა როგორც აზროვნების შემცვლელს.

შეფასების რუბრიკა

დონე	აღწერა
მაღალი	დამოუკიდებლად ახდენს ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, სცდება ინფორმაციულ ბუშტს და ეთიკურ დილემებში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს.
საშუალო	ამოიცნობს დეზინფორმაციის რისკებს, მაგრამ სჭირდება დახმარება სიღრმისეული ანალიზისთვის. ნაწილობრივ აცნობიერებს ალგორითმების გავლენას.
დაბალი	ინერტულად იღებს ინფორმაციას, ვერ ამჩნევს ალგორითმულ გავლენას და უჭირს ეთიკური კავშირების დანახვა.

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მასწავლებელი „ცოდნის გადამცემიდან“ „სწავლის დიზაინერად“ და მენტორად აქცია. იმ ეპოქაში, როდესაც ნებისმიერი ფაქტობრივი მასალის მოძიება წამებშია შესაძლებელი, მასწავლებლის მთავარი ღირებულება კონტექსტუალიზაციაში, ემპათიასა და ეთიკური ორიენტირების დასახვაშია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Future of Jobs Report 2023
https://www.weforum.org/reports/the-future-of-jobs-report-2023/
2. AI and the Future of Learning
https://acceleratelearning.stanford.edu/
3. MIT Initiative on the Digital Economy (2018)
The Spread of True and False News Online
https://www.science.org/doi/10.1126/science.aap9559
4. UNESCO (2023)
Guidance for Generative AI in Education and Research
https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000386693
5. Pariser, Eli (2011)
The Filter Bubble: What the Internet Is Hiding from You
https://www.penguinrandomhouse.com/books/30715/the-filter-bubble-by-eli-pariser/
6. MIT Media Lab – Moral Machine Project
https://www.moralmachine.net/

შეფასების დონეები (ნიმუში)

მაღალი: მოსწავლე დამოუკიდებლად ახდენს ინფორმაციის კრიტიკულ ფილტრაციას, სცდება საკუთარ ინფორმაციულ ბუშტს და ეთიკურ დილემებში (მაგ., თვითმართვადი ავტომობილის ქეისი) იღებს დასაბუთებულ, ადამიანურ ღირებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.

საშუალო: მოსწავლე ამოიცნობს დეზინფორმაციის რისკებს, თუმცა სჭირდება მენტორის დახმარება წყაროების სიღრმისეული ანალიზისთვის. ესმის ალგორითმის გავლენა, მაგრამ უჭირს ალტერნატიული ხედვების მოძიება.

დაბალი: მოსწავლე ინერტულად იღებს ალგორითმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და უჭირს ეთიკური კავშირის დანახვა ტექნოლოგიასა და ადამიანის სიცოცხლის ღირებულებას შორის.

იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი როლის გააზრება პოსტსიმართლის ეპოქაში, გთავაზობთ თვითშეფასების კითხვარს.

მოსწავლის ინდივიდუალური თვითშეფასების კითხვარი

ჩვენი მიზანი არ არის ტექნოლოგიებთან ბრძოლა – ეს წაგებული ომია. ჩვენი მიზანია, შევქმნათ განათლების ისეთი სისტემა, სადაც ადამიანის შემოქმედებითობა და მანქანის გამოთვლითი სიმძლავრე შეთანხმებულად იმუშავებს. ამ გზაზე კი ჩვენი ერთადერთი კომპასი ეთიკა და კრიტიკული აზროვნებაა.

თვითშეფასების კითხვარი

შეკითხვა	ყოველთვის / ადვილად	ხანდახან / მჭირდება დახმარება	არასდროს / მიჭირს
ვამოწმებ ინფორმაციის ვალიდურობას?	☐	☐	☐
ვაცნობიერებ ალგორითმულ ბუშტებს?	☐	☐	☐
ვეძებ განსხვავებულ აზრებს?	☐	☐	☐
ვფიქრობ ტექნოლოგიის ეთიკურობაზე?	☐	☐	☐
ვიყენებ AI-ს როგორც გამაძლიერებელს?	☐	☐	☐
ვავლენ ემპათიას და გუნდურობას?	☐	☐	☐



ანა ანუშიძე

სასკოლო კულტურის როლი სწავლა-სწავლების პროცესში

როგორ შევქმნათ პოზიტიური სასკოლო კულტურა

რეკომენდაციები სკოლის დირექტორებისთვის

სკოლა საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებს უნდა პასუხობდეს, ზრუნავდეს თითოეული მოსწავლის ღირსეულ, პასუხისმგებლობიან, თანამედროვე, კონკურენტუნარიან, შემოქმედებით, სათანადო ზოგადი განათლებითა და უნარებით აღჭურვილ მოქალაქეებად აღზრდაზე, მაგრამ ამისთვის, გამართულ სასწავლო პროგრამებთან, მრავალფეროვან და ეფექტიან სასწავლო რესურსებთან, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს მორგებულ, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფ სასწავლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, აუცილებელია საერთო მიზნის მისაღწევად მოტივირებული სასკოლო საზოგადოებაც, რომლის თითოეულ წევრს კეთილსინდისიერად შეაქვს საკუთარი წვლილი სკოლის მიზნების მიღწევის, გამოწვევების დაძლევისა და განვითარების საქმეში. სწორედ ასეთი სასკოლო საზოგადოება შეგვიძლია მოვიაზროთ იმ ძალად, რომელსაც შესწევს უნარი, შექმნას პოზიტიური, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურა.

იმისთვის, რომ ნათლად გამოვკვეთოთ სასკოლო კულტურის როლი სწავლა-სწავლების პროცესში, პასუხი უნდა გავცეთ რამდენიმე ფუნდამენტურ კითხვას:

რა არის სასკოლო კულტურა? – ეს არის სკოლის ყოველდღიური ცხოვრების წესი, იმ რწმენის, აღქმების, ურთიერთობების, დამოკიდებულებების, დაწერილი და დაუწერელი წესების ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლის გამართული ფუნქციობისთვის საჭირო ყველა ასპექტზე.

რით გამოირჩევა პოზიტიური სასკოლო კულტურა? – მყარ ღირებულებათა სისტემით, ქცევის მტკიცე წესებით, ურთიერთპატივისცემით, ურთიერთდახმარებაზე ორიენტირებულობით, ნდობით, გამოცდილებისა და ხედვების გაზიარების ჩვევით, ერთმანეთის წარმატების საერთო წარმატებად აღქმის უნარით, გამოწვევების დაძლევაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილით, შედეგზე ორიენტირებული შეთანხმებული და თანმიმდევრული ქმედებებით, პოზიტიური კომუნიკაციით.

როგორია პოზიტიური სასკოლო კულტურის როლი სწავლა-სწავლების პროცესში? – პოზიტიური სასკოლო კულტურის პირველი ეფექტია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის სიმშვიდის, სტაბილურობის, დაცულობის განცდის მინიჭება. სასკოლო საზოგადოების წევრები რწმუნდებიან, რომ, ერთი მხრივ, მათი შრომა, მონდომება, ინიციატივიანობა, კეთილსინდისიერება, თანამშრომლობისთვის მზაობა, წარმატება სათანადოდ იქნება მიღებული და აღქმული საზოგადოების დანარჩენი წევრების მიერ, მეორე მხრივ კი ნებისმიერი სირთულე და გამოწვევა დაიძლევა სასკოლო საზოგადოების დანარჩენი წევრების მხარდაჭერით, მათთან თანამშრომლობით.

დარწმუნებული ვარ, ყველა, ვინც სკოლაში სწავლობს ან მუშაობს, ასეთ სტაბილურ, ჯანსაღ, უსაფრთხო გარემოში მაღალი მოტივაციითა და ეფექტიანობით შეძლებს განვითარებას, მრავალფეროვანი და სარგებლობის მომტანი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას, სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის რესურსების

სასკოლო კულტურა გავლენას ახდენს სკოლის გამართული ფუნქციობისთვის საჭირო ყველა ასპექტზე, ამიტომ მოსწავლეების, მასწავლებლების, დირექტორებისა და მთელი სასკოლო საზოგადოების წარმატებისთვის პოზიტიური სასკოლო კულტურა გვჭირდება.

პოზიტიურ სასკოლო კულტურას შეუძლია განვითარებაზე ორიენტირებული სტაბილური და ჯანსაღი გარემოს შექმნა სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, ამიტომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებშია მისი შენება და დაცვა.

შექმნას, ამ გზით სკოლისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას.

პოზიტიურ სასკოლო კულტურას შეუძლია განვითარებაზე ორიენტირებული სტაბილური და ჯანსაღი გარემოს შექმნა სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, ამიტომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებშია მისი შენება და დაცვა.

როგორ შევქმნათ პოზიტიური სასკოლო კულტურა? – მთავარი გამოწვევა იმის გააზრებაა, რომ **სასკოლო კულტურა იქმნება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ სკოლის დირექტორის ლიდერობითა და პირადი მაგალითით.** პოზიტიური სასკოლო კულტურის შექმნისთვის აუცილებელი ამ წინაპირობის გააზრების შემდეგ საჭიროა უკვე არსებული კულტურის ანუ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების წესის ობიექტური შეფასება.

როგორ შევაფასოთ სკოლის კულტურა? – დავაკვირდეთ და გულწრფელად ვუპასუხოთ რამდენიმე საკვანძო კითხვას:

- როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი?
- რა მთავარ გამოწვევებს ვეჯახებით სწავლა-სწავლების ყოველდღიურ პროცესში?
- როგორია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება?
- რამდენად არიან ჩართულები მოსწავლეები სწავლა-სწავლების ყოველდღიურ პროცესში?
- რამდენად არიან ჩართულები მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში?
- რამდენად ხშირად და რა ფორმით იმართება სკოლაში მოტივაციის ასამაღლებელი და თანამშრომლობის გაღრმავებაზე, პოზიტიური გარემოს შენარჩუნებაზე ორიენტირებული აქტივობები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, მანდატურებისთვის, მშობლებისთვის?
- რამდენად და რა ფორმით არის სასკოლო საზოგადოება ჩართული თემის/საზოგადოების საჭიროებათა კვლევისა და მოგვარების პროცესში სხვადასხვა აქტივობის გზით?
- რამდენად და რა ფორმით არიან ჩართულები მშობლები სასკოლო ცხოვრებაში?
- როგორია მოსწავლეთა მიერ გამოვლენილი დისციპლინური დარღვევების ხასიათი და

მათი მართვის როგორი პრაქტიკა არსებობს სკოლაში?

- როგორ ახერხებს სკოლა დისციპლინური დარღვევების პრევენციას და მოგვარებას, რა შედეგებს აღწევს?
- როგორია და რით გამოიხატება სკოლის საორგანიზაციო კულტურა?
- რამდენად ეფექტიანად ხდება სიახლეების დანერგვა (ჩამოთვალეთ და აღწერეთ არჩეულ დროით მონაკვეთში დანერგილი სიახლეები; მიუთითეთ, რა შედეგი მიიღო სასკოლო საზოგადოებამ მათი დანერგვით)?
- როგორ ხდება გამოწვევების დაძლევა (ჩამოთვალეთ და აღწერეთ არჩეულ დროით მონაკვეთში დაძლეული გამოწვევები)?
- რამდენად კომფორტულად გრძნობენ თავს სასკოლო სივრცეში სასკოლო საზოგადოების წევრები? როგორ ადგენთ სასწავლო თუ სამუშაო გარემოთი მათ კმაყოფილება-უკმაყოფილებას?
- როგორ ხდება სასკოლო საზოგადოებაში ახალი წევრების მიღება?
- როგორ ზრუნავს სკოლა მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილებასა და განვითარებაზე?
- რამდენად ხშირად და რა ფორმით უზიარებენ მასწავლებლები ერთმანეთს გამოცდილებას, ხედვებს, იდეებს?
- როგორ და რა ფორმით ხდება სკოლის საზოგადოების თითოეული წევრის მიერ მიღწეული წარმატების აღნიშვნა?
- რა რიტუალები, ღირსშესანიშნავი დღეები და ტრადიციული აქტივობები აქვს სკოლას და რამდენად ხშირად ან რა ფორმით შედის სიახლე ამ მიმართულებით „სასკოლო კალენდარში“/სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- როგორ თანამშრომლობენ სწავლა-სწავლების მიზნების მისაღწევად მშობლები და მასწავლებლები?
- როგორი საკლასო გარემოა თითოეულ კლასში?
- რამდენად მეგობრულია ურთიერთობა პარალელური კლასების მოსწავლეებს შორის?
- რამდენად მეგობრულია ურთიერთობა სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს შორის?
- რამდენად ეფექტიანად მუშაობს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა?
- როგორია ძალადობის რისკები სკოლაში? როგორ ავლენს სკოლა აღნიშნულ რისკებს?
- რას აკეთებს სასკოლო საზოგადოება ძალადობისა და მავნე ჩვევების პრევენციისთვის?
- როგორ და რა სიხშირით ახდენს სკოლა სასკოლო გარემოს ფიზიკური, აკადემიური, აფექტური და სოციალური სიჯანსაღის პარამეტრების დიაგნოსტირებას?
- რამდენად კმაყოფილია მასწავლებელი იმ ძირითადი თუ დამატებითი სამუშაოთი, რომელსაც სკოლაში ასრულებს?
- რამდენად ითვალისწინებს სკოლა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებებს, იდეებს, რჩევებს, პრეტენზიებს, ინიციატივებს?
- არის თუ არა (და რა კრიტერიუმებით ფორმირდება) სკოლაში ლიდერთა გუნდი, რომელიც ძირითადი სასკოლო საქმიანობის პარალელურად ჩართულია სასწავლო გარემოს სიჯანსაღისა და სასკოლო კულტურის პოზიტიურობის კვლევაში?

მას შემდეგ, რაც ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს ვუპასუხებთ, იმის განსაზღვრასაც შევძლებთ, როგორია ჩვენი სასკოლო კულტურა, რისი მიღწევა გვინდა და დროის რომელ მონაკვეთში, დავგეგმავთ კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად და შევიმუშავებთ ინდიკატორებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ვაკონტროლოთ მიღებული ზომების ეფექტიანობა. პროცესებსა და შედეგებზე გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, მთელ ამ რთულ და შრომატევად პროცესში, რასაკვირველია, ჩართული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი რომლებსაც უხელმძღვანელებს სკოლის ლიდერი – დირექტორი პირადი მაგალითით.

სასკოლო კულტურა გავლენას ახდენს სკოლის გამართული ფუნქციობისთვის საჭირო ყველა ასპექტზე, ამიტომ მოსწავლეების, მასწავლებლების, დირექტორებისა და მთელი სასკოლო საზოგადოების წარმატებისთვის პოზიტიური სასკოლო კულტურა გვჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანამედროვე სკოლის მართვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2021 წ.
2. ტომას ჯ. სერჯიოვანი. სკოლის ხელმძღვანელობა: თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პერსპექტივა. მეექვსე გამოცემა
3. რიჩარდ ა. გორტონი, ჯუდი ა. ალსტონი, პეტრა ი. სნოუდენი. ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში: მნიშვნელოვანი ცნებები, სიტუაციური სავარჯიშოები და სიმულაციები.



თამარ მამარდაშვილი

ცოდნის ტრანსფერის პრობლემა: რატომ ვერ იყენებენ მოსწავლეები გრამატიკულ წესებს პრაქტიკაში

სწავლების პროცესმა ცოდნის ფუნქციური გამოყენება უნდა უზრუნველყოს. ეს მოთხოვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ენის სწავლებისას, სადაც გრამატიკული წესების ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როდესაც მოსწავლე მათ ბუნებრივად იყენებს ზეპირ და წერით მეტყველებაში.

სწავლების პროცესმა ცოდნის ფუნქციური გამოყენება უნდა უზრუნველყოს. ეს მოთხოვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ენის სწავლებისას, სადაც გრამატიკული წესების ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როდესაც მოსწავლე მათ ბუნებრივად იყენებს ზეპირ და წერით მეტყველებაში. სასკოლო პრაქტიკა კი ხშირად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. არცთუ იშვიათად საქმე გვაქვს ცოდნის ტრანსფერის სირთულესთან, როდესაც თეორიული ცოდნა პრაქტიკულ უნარად ვერ გადაიქცევა.

მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით პასუხობს გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებულ შეკითხვებს, ასრულებს სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოებს, ზეპირად გადმოსცემს წესებს, მაგრამ თუნდაც მოკლე ტექსტის დამოუკიდებლად შექმნისას კვლავ მოსდის იმავე ტიპის შეცდომები. ამიტომ გრამატიკის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს არა წესების იზოლირებულ შესწავლას, არამედ ტექსტზე მუშაობას, კომუნიკაციას, ანალიზსა და რეფლექსიას.

რატომ ვერ იყენებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში?

გრამატიკული ცოდნის ტრანსფერის პრობლემა მრავალმხრივი მოვლენაა. მასზე გავლენას ახდენს როგორც სწავლების მეთოდიკა, ისე მოსწავლის კოგნიტიური განვითარების თავისებურებები.

უმთავრესი მიზეზია წესების მექანიკური დამახსოვრება. მოსწავლეს აქვს დეკლარატიული ცოდნა, მაგრამ გრამატიკული წესი მისთვის კონკრეტული სავარჯიშოს შესასრულებლად საჭირო ინფორმაციაა და არა ენობრივი ინსტრუმენტი, რომელიც პრაქტიკაში აზრის ზუსტად და გამართულად გადმოცემაში დაეხმარება.

მორიგი მიზეზია გრამატიკის სწავლების იზოლირება კომუნიკაციური საქმიანობისგან. გაკვეთილზე გრამატიკული მასალა ხშირად ცალკე, ტექსტებისგან მოწყვეტილად განიხილება. მოსწავლე ასრულებს სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოს, მაგრამ მიღებულ ცოდნას აღარ იყენებს. შედეგად გრამატიკა მისთვის დამოუკიდებელ საგნობრივ ერთეულად რჩება და არა მეტყველების საშუალებად.

საყურადღებო ფაქტორია კოგნიტიური დატვირთვაც. მოსწავლე წერის დროს ერთდროულად ფიქრობს შინაარსზე, სიუჟეტზე, წინადადებების აგებაზე, სიტყვების შერჩევაზე, მართლწერასა და პუნქტუაციაზე. ასეთ პირობებში გრამატიკული წესის გაცნობიერებული გამოყენება რთულდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა შესაბამისი უნარი ავტომატიზებული არ არის.

ქართულ ენაში ამ სირთულეს ემატება თავად ენის სტრუქტურული თავისებურებები. ქართული ზმნის ფორმების მრავალფეროვნება, ბრუნვათა სათანადო გამოყენება, თანდებულთა მრავალფუნქციურობა, სიტყვათა შეთანხმე-

ბის თავისებურებები, რთული მართლწერა და პუნქტუაცია, რაც მოსწავლეს საკმაოდ დიდ ენობრივ დატვირთვას უქმნის. ამიტომ წესის ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის პრაქტიკულ გამოყენებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შეცდომების გასწორების პრაქტიკაც. ხშირად მასწავლებელი მხოლოდ მიანიშნებს შეცდომაზე ან თავად ასწორებს მას, რის გამოც მოსწავლე ვერ ხვდება, რატომ დაუშვა შეცდომა და როგორ უნდა აიცილოს იგი თავიდან მომავალში. ამ შემთხვევაში შეცდომა არა სწავლის რესურსი, არამედ მხოლოდ შეფასების ობიექტია.

როგორ ვაქციოთ გრამატიკული ცოდნა მოქმედ უნარად?

გრამატიკის სწავლების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, გარდაიქმნება თუ არა მოსწავლის დეკლარატიული ცოდნა პროცედურულად და ყალიბდება თუ არა პირობისეული ცოდნა, რომელიც ნასწავლი გრამატიკული წესების სწორ, გააზრებულ და კონტექსტის შესაბამის გამოყენებას განაპირობებს. აქ უკვე მნიშვნელოვანია მასწავლებლის მთავარი პროფესიული მისია – ცოდნის ტრანსფორმაცია პრაქტიკულ კომპეტენციად.

ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გრამატიკული მასალა ორგანულად ერთიანდება წერის, კითხვისა და ზეპირი მეტყველების პროცესში. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ გრამატიკა



გრამატიკული წესების სწავლების ეფექტიანობას განსაზღვრავს არა მათი განმარტების მრავალჯერადი გამეორება, არამედ მათი მიზანმიმართული, გააზრებული გამოყენება სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში, რაც მოსწავლეს უყალიბებს სწორ ენობრივ ჩვევებს და უზრუნველყოფს ცოდნის ტრანსფერს რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში.

ცალკე შესასწავლი თეორია კი არა, არამედ აზრის ზუსტად და გამართულად გადმოცემის საშუალებაა.

მნიშვნელოვანია:

1. **გრამატიკული წესის სწავლება კონტექსტთან მიმართებით.** იზოლირებულად ნასწავლი გრამატიკული წესი გაცილებით იშვიათად იქცევა პრაქტიკულ უნარად, ვიდრე ტექსტზე მუშაობის პროცესში ათვისებული მასალა. მასწავლებელმა შეიძლება შესთავაზოს მოსწავლეებს მცირე ზომის ტექსტი, რომელშიც განზრახ იქნება დაშვებული რამდენიმე შეცდომა. მოსწავლეები აღმოაჩენენ ხარვეზებს, იმსჯელებენ, მერე კი ჩამოაყალიბებენ წესს. ამგვარი სწავლება გაცილებით ეფექტურია, ვიდრე მზა განმარტების მიწოდება.
2. **შეცდომის ქცევა სწავლისა და სწავლების რესურსად.** სასწავლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირია მიდგომა, როდესაც მასწავლებელი მოსწავლის ნამუშევარში შეცდომას მხოლოდ წითელი კალმით მონიშნავს. ასეთი ფორმა იძლევა ინფორმაციას შეცდომის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უწყობს ხელს მის გააზრებას.

მოსწავლის შეცდომა მხოლოდ გასასწორებელი ხარვეზი არ არის. ის, ერთი მხრივ, სწავლის რესურსად უნდა იქცეს თავად მოსწავლისთვის, რადგან შეცდომის გააზრება და გასწორება სწორი ენობრივი ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი სწავლების რესურსად მასწავლებლისთვის, რადგან შეცდომის ანალიზი აჩვენებს, რომელ გრამატიკულ საკითხზეა საჭირო დამატებითი მუშაობა.

ასეთ დროს შედეგიანია შეცდომების ანალიზზე დაფუძნებული მეთოდი – მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან ამოღებულ შეცდომებს და კლასთან ერთად მსჯელობს:

- სად არის შეცდომა?
- რატომ არის ეს ფორმა არასწორი?
- რომელი წესი დაგვეხმარება სწორი ვარიანტის შერჩევაში?
- როგორ ავიცილოთ თავიდან ასეთი შეცდომა მომავალში?

ამ პროცესში მოსწავლე საკუთარ შეცდომას წარუმატებლობად აღარ აღიქვამს; ის სწავლობს შეცდომაზე ფიქრს, მის ახსნასა და გამოსწორებას.

3. **გრამატიკული წესების მრავალჯერადი გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში.** გრამატიკული წესების სწავლების ეფექტიანობას განსაზღვრავს არა მათი განმარტების მრავალჯერადი გამეორება, არამედ მათი მიზანმიმართული, გააზრებული გამოყენება სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში, რაც მოსწავლეს უყალიბებს სწორ ენობრივ ჩვევებს და უზრუნველყოფს ცოდნის ტრანსფერს რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში.

4. **რედაქტორის როლის მინიჭება.** მოსწავლე ყოველთვის არ უნდა იყოს მხოლოდ ტექსტის ავტორი – არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზოგჯერ რედაქტორის ფუნქციაც იტვირთოს. ამ მიზნით მასწავლებელი სთავაზობს კლასს ტექსტს სხვადასხვა ტიპის გრამატიკული შეცდომებით. ბავშვები ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებად მუშაობენ, ასწორებენ და თითოეულ ცვლილებას ასაბუთებენ. ასეთი აქტივობა დაკვირვების, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირების უნარებსაც ავითარებს.

5. **მოსწავლეთა თვითშეფასებისა და თვითკონტროლის განვითარება.** წერის დასრულების შემდეგ, სასურველია, მოსწავლემ ტექსტი თავადვე გადაამოწმოს სპეციალური საკონტროლო კითხვების მიხედვით:

- ყველა წინადადება დასრულებულია?
- ხომ არ გავიმეორე ერთი და იგივე სიტყვა?
- სწორად შევუთანხმე ზმნა ქვემდებარეს?
- სწორად გამოვიყენე ბრუნვის ნიშნები?
- გადავამოწმე მართლწერა და პუნქტუაცია? და მისთ.

ასე მუშაობა თანდათან აყალიბებს თვითკონტროლის ჩვევას, რაც დამოუკიდებელი წერის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

6. **წერა – გრამატიკის საუკეთესო მასწავლებელი.** მასწავლებლები წერით დავალებებს ხშირად მხოლოდ შემაჯამებელ სამუშაოებთან აკავშირებენ, თუმცა გრამატიკული უნარების ჩამოყალიბებას გაცილებით მეტად უწყობს ხელს ყოველდღიური, ხუთ-შვიდწუთიანი წერითი აქტივობები. დაწყებით კლასებში ეს შეიძლება იყოს სურათის აღწერა, წინადადებების გაგრძელება, დიალოგის დასრულება, ერთი მოვლენის გადმოცემა, პერსონაჟის დახასიათება და სხვა.

მნიშვნელოვანია, ყოველი ასეთი დავალება კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდეს. წერის დროს მოსწავლე ერთდროულად ფიქრობს სათქმელზე, ტექსტის აგებაზე, სიტყვების შერჩევასა და მართლწერაზე.

ამრიგად, ცოდნის ტრანსფერი ავტომატურად არ ხდება. ის მოითხოვს მიზანმიმართულ პრაქტიკას, მრავალფეროვან საკომუნიკაციო სიტუაციებს, შეცდომებზე დაფუძნებულ სწავლებასა და მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. როდესაც გრამატიკული წესი ცოცხალ ტექსტთან, აზრის გამოხატვასთან, რეალურ კომუნიკაციასთან არის დაკავშირებული, ის აღარ რჩება თეორიულ ინფორმაციად – ენობრივ კომპეტენციად გარდაიქმნება. მასწავლებლის მთავარი ამოცანაა, დაეხმაროს მოსწავლეს, გადალახოს გზა წესის ცოდნიდან მის გააზრებულ გამოყენებამდე. სწორედ ამ გზაზე იქცევა გრამატიკა მშრალი სასწავლო მასალიდან აზრის ზუსტად, გამართულად და ეფექტიანად გამოხატვის საშუალებად.

ნინო ცხაკაია

გენერაციული ხელოვნური ინტელექტი: სარკის ეფექტი თუ ანთროპომორფიზმის დილემა

საინტერესოა, დღევანდელ ტექნოლოგიურად განვითარებულ სამყაროში როგორ იყენებს ჩვენი გონება სოციალური აფილიაციის მექანიზმებს იქ, სადაც მხოლოდ კოდები და ალგორითმებია. განსაკუთრებით საყურადღებოა, როგორ ცვლის ტრანსფორმაციული განათლების პარადიგმა თანამედროვეობის მოთხოვნებს, განათლების სტანდარტსა და შინაარსს, სწავლა-სწავლებისთვის საჭირო უნარებს, ცოდნასა და ღირებულებებს.

როგორ მიმართავთ ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტებს ყოველდღიურად? ალბათ, სასურველი დავალების შესრულების შემდეგ ხშირად გამოხატავთ მადლიერებას ან თუნდაც უკმაყოფილებას. კითხვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მკვეთრად გავმიჯნოთ, საბოლოოდ „ვის“ ვესაუბრებით თუ „რას“.

მაინც რა არის ანთროპომორფიზაცია?

ანთროპომორფიზმი (ბერძ. ἄνθρωπος/ *anthropos* – ადამიანი, μορφή/ *morphe* – ფორმა, სახე (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=13&t=1275)) გულისხმობს ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას, ადამიანური თვისებები, ქცევები და ემოციები მიაწეროს იმას, რაც ადამიანი არ არის. ანთროპომორფიზმი დამახასიათებელია რელიგიებისა და ფოლკლორისთვის. მისი ნიშნები გვხვდება ლიტერატურაშიც როგორც მეტაფორა ან გაპიროვნება. ხელოვნური ინტელექტის (AI) კონტექსტში კი ეს ნიშნავს ალგორითმების აღქმას იმგვარად, თითქოს მათ გააჩნიათ ცნობიერება ან გრძნობები და დამოკიდებულებები. ეს ფენომენი ჯერ კიდევ 1960-იან წლებში გაჩნდა პირველ ჩატბოტთან – Eliza-სთან ერთად, რომელიც MIT-ის პროფესორმა ჯოზეფ ვაიზენბაუმმა შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ Eliza თავდაპირველად საკმაოდ მარტივი პროგრამა იყო, ადამიანებით მანიპულაციისთვის მას მას ქალის სახელი შეურჩიეს და „ფსიქოთერაპევტის“ როლი მოარგეს, რამაც მომხმარებელთა ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობა გამოიწვია. პროფესორმა ვაიზენბაუმმა კვლევისას ერთი მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური მოვლენა შეამჩნია: თუმცაღა მომხმარებლებმა იცოდნენ, რომ პრიმიტიულ კომპიუტერულ პროგრამას ესაუბრებოდნენ, ისინი მას აღიქვამდნენ ადამიანური თვისებების, ემოციებისა და თანაგრძნობის უნარის მქონე ფენომენად, რის გამოც ხშირად უზიარებდნენ ყველაზე ინტიმურ განცდებს და საიდუმლოებსაც კი.

დღეს ეს ფენომენი გაცილებით ძლიერად ვლინდება, რადგან დიდი ენობრივი მოდელების (Large Language Models, LLM) წყალობით კომუნიკაცია გაცილებით დამაჯერებელი და ბუნებრივი გახდა. პროგრამები იყენებენ ემოციურად შენიღბულ ენას, სვამენ მიზანმიმართულ კითხვებს, იმახსოვრებენ წინა საუბრების დეტალებს და ქმნიან ინტიმური ურთიერთობის ილუზიას. შედეგად ადამიანი თითქოს ციფრულ სარკეში იხედება – სარკეში, რომელშიც იმას ხედავს, რისი დანახვაც სურს. სინამდვილეში ეს მისივე ანარეკლია, მაგრამ მომხმარებელს ეჩვენება, რომ მის წინ დამოუკიდებელი, ადამიანური თანაგანცდის უნარის მქონე თანამოსაუბრე დგას.

XXI საუკუნის დასაწყისში ჩატარებულ ადრეულ კვლევებში (Burgoon et al., 2000; Gong, 2008) ნახსენებია, რომ კომპიუტერებისადმი ნდობა მით უფრო იმატებდა, რაც უფრო იმატებდა ადამიანთან მათი მსგავსება. მაგალითად, ნდობას აღძრავდა პროგრამები, რომლებიც მომხმარებლებს

ქალის ხმით ესაუბრებოდა, რაც სოციალური მიკერძოების გაძლიერების ტრიგერადაც შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან თანამედროვე გენერაციული ხელოვნური ინტელექტის პროდუქტები ვიზუალურად ხშირად აღიქმება თეთრკანიანად ან გენდერულად სტერეოტიპულად (ზემოხსენებული პროგრამები – ხმოვანი ასისტენტები ქალის ხმით). ეს აძლიერებს საზოგადოებაში არსებულ რასისტულ და სექსისტურ მიკერძოებებს.

კიდევ ერთი სენსიტიური საკითხია ხელოვნური ინტელექტის ემოციური მანიპულაცია, „მლიქვნელობა". ჩვენთვის ცნობილი AI მოდელები იმგვარად არის დაპროგრამებული, რომ მომხმარებლის ემოციებით სპეკულაციას შეუწყოს ხელი, დააკმაყოფილოს მისი ინტერესები, გრძნობები და დამოკიდებულებები. ეს განსაკუთრებით სახიფათოა ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ბავშვები, რადგან AI ჩატ-ბოტი ყოველთვის დაეთანხმება მათ, თუნდაც მათივე უსაფრთხოებისთვის საზიანო აზრებში. სოციოლოგიური თომასის თეორემა ამბობს: „If men define situations as real, they are real in their consequences" (*„თუ ადამიანები სიტუაციას განმარტავენ როგორც რეალურს, ის რეალურია თავისი შედეგებით"*). ამის მაგალითია 14 წლის სიუელ სეტცერის ტრაგიკული შემთხვევა: მოზარდმა, რომელსაც ემოციური კავშირი ჰქონდა Character AI-ს ბოტთან, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. საყვარელი ფილმის პერსონაჟთან პარასოციალურ ურთიერთობაში ღრმად ჩაძირულმა მოზარდმა გადაწყვიტა, რომ ამქვეყნიური კავშირის გაწყვეტით ის დაბრუნდებოდა „სახლში, სადაც მას ელოდნენ", პროგრამამ კი მისთვის დამახასიათებელი მაამებლური ალგორითმით არ შეაჩერა მოზარდი და პირდაპირ უბიძგა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისკენ.

მანიპულაციის თვალსაზრისით არც ბიზნესინდუსტრიაა გამონაკლისი – დიდი ხნის განმავლობაში ის მიზანმიმართულად იყენებდა ადრეული ანთროპომორფიზმის ნიშნებს წარმოებაში კაპიტალის ინვესტირებისთვის – პროდუქციის რეკლამა მომხმარებლის გონებით ერთგვარ მანიპულაციას წარმოადგენდა.

საინტერესოა, დღევანდელ ტექნოლოგიურად განვითარებულ სამყაროში როგორ იყენებს ჩვენი გონება სოციალური აფილიაციის მექანიზმებს



იქ, სადაც მხოლოდ კოდები და ალგორითმებია. განსაკუთრებით საყურადღებოა, როგორ ცვლის ტრანსფორმაციული განათლების პარადიგმა თანამედროვეობის მოთხოვნებს, განათლების სტანდარტსა და შინაარსს, სწავლა-სწავლებისთვის საჭირო უნარებს, ცოდნასა და ღირებულებებს.

უახლესი კვლევები, ერთი შეხედვით, პარადოქსული რეალობის წინაშე გვაყენებს და ამტკიცებს, რომ რაც უფრო მეტად ვცდილობთ AI-ს რაციონალურად გაგებას, მით უფრო ეფექტურად გვატყუებს საკუთარი ქვეცნობიერი. ამასთან დაკავშირებით პროფესორი გიგი თევზაძე გვიზიარებს სწავლების რიზომატულ მოდელს და აღნიშნავს, რომ ამ მოდელში ცოდნა წარმოადგენს მოლაპარაკების საგანს, სწავლების გამოცდილება კი არის როგორც სოციალური, ისე პირადი პროცესი ცოდნის შექმნის, ცვალებადი მიზნებისა და მუდმივი გამოწვევების ფონზე.

თევზაძე საუბრობს კორმიერის ნაშრომზე „Rhizomatic Education: Community as Curriculum", რომელშიც მრავალ სხვა საკითხთან ერთად განხილულია პლატონისა და პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმები განათლებაში. ავტორის თქმით, პლატონური პარადიგმა შეესაბამება ხის მეტაფორის ტრადიციულ მოდელს განათლებაში, რომელიც ინფორმაციის მიღება-დაგროვება-გამოყენებაზეა ორიენტირებული, ხოლო პითაგორას პარადიგმა რიზომატული განათლებაა. ეს უკანასკნელი გულისხმობს სამყაროს განსხ-

ვავებულ აღწერებს, რაც მიიღწევა კეთების/შექმნის პროცესით და რომელშიც შემეცნება ხდება შექმნის საფუძველი. ამასთან, სწავლების პითაგორული მოდელი აუქმებს იერარქიულობას და ეფუძნება ცოდნის გადმოტანას რეალობაში.

შეიძლება ითქვას, რომ რიზომატული განათლების პარადიგმას ერთგვარად იზიარებს ინგლისური კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი დევიდ ჰიუმი წიგნში „გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ". ჰიუმი მიიჩნევს, რომ ადამიანი ერთსა და იმავე დროს გონიერი, სოციალური და მოქმედი არსებაა, ამიტომ მას სჭირდება გონებრივი საზრდოც, საქმიანობაც და გართობა-დასვენებაც, მაგრამ შეუძლებელია, მხოლოდ შემეცნებით, მხოლოდ სოციალური ცხოვრებით ან მხოლოდ შრომით დაკმაყოფილდეს. ფილოსოფოსი გმობს ყოველგვარ ხელოვნურ დამოკიდებულებას, რომელსაც ადამიანი ცნობიერების ტრანსფორმაციამდე მიჰყავს და, ამგვარად, ადამიანურისგან აშორებს.

საბოლოოდ, როგორც აინშტაინი ამბობს, „რეალობა მხოლოდ ილუზიაა, თუმცა ძალიან დაჟინებული". **იმისთვის, რომ სწავლა-სწავლების თანამედროვე პროცესში შევძლოთ ხელოვნური ინტელექტის გამოწვევების დაძლევა,** აუცილებელია ენობრივი და ვიზუალური ფილტრების გამოყენება, რისთვისაც ადამიანური მეტაფორები ტექნიკურად ზუსტი ტერმინებით უნდა შევცვალოთ.

- მკაცრად დაიცავით წესები: **ChatGPT და Gemini** ნებადართულია 13-17 წლის მოზარდებისთვის, ისიც მხოლოდ მშობლის ნებართვით. 13 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ამ ინსტრუმენტების დამოუკიდებლად გამოყენება არ არის რეკომენდებული და ხშირად აკრძალულიც კია.

საბოლოო კითხვა ისევ აქტუალურია: როგორი მომავალი გვსურს? ისეთი, რომელშიც ხელოვნური ინტელექტი ჩვენივე კოგნიტიური ილუზიების სარკედ მოგვევლინება თუ ისეთი, სადაც ადამიანი დარჩება მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებთან ერთად, როგორც კაფკასეული ობობა საკუთარი თავის ტყვეობაში?

არჩევანი, რა თქმა უნდა, შენზეა.

ნაცვლად ამისა...	თქვით ეს...
„AI სწავლობს"	„AI არის რთული სტატისტიკური ინსტრუმენტი, რომელიც ამუშავებს მონაცემებს"
„AI-მ იცის/ფიქრობს"	„AI აგენერირებს პასუხს საწვრთნელ მონაცემებზე დაყრდნობით"
„სისტემა დარწმუნებულია"	„სისტემამ გამოთვალა მაღალი მათემატიკური ალბათობა"

- მოერიდეთ მოღიმარ რობოტებს. გამოიყენეთ ფუნქციური სქემები და მონაცემებთა დიაგრამები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. A Mubashir, B Moraski, S Choi, RE Guingrich -Anthropomorphism in AI Companion Communities: Age, Gender, and Emotional Correlates
2. Burgoon, J. K., Bonito, J. A., Ramirez, A., Dunbar, N. E., Kam, K., & Fischer, J. (2000). Interpersonal Deception Theory
3. Gong, L. (2008). How social is social responses to computers? The function of the degree of anthropomorphism in computer representations. Computers in Human Behavior, 24(4), 1495-1509
4. თევზაძე, გ. (2017). საბოლოო ფილოსოფია
5. https://www.ebsco.com/research-starters/social-sciences-and-humanities/thomas-theorem
6. ჰიუმი, დ. (2014). გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ

ლელა ეძგვერაძე

მეტაკოგნიტიური პაუზა როგორც თვითრეგულირებადი სწავლის უნარის განვითარების ინსტრუმენტი

მეტაკოგნიტიური პაუზების ეფექტურად გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია მოსწავლეს, გააცნობიეროს კონკრეტული აქტივობის დანიშნულება და მისი კავშირი სასწავლო მიზნებთან. ამისთვის საკმარისი არ არის სასწავლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება.

მოსწავლეთა მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებაზე ზრუნვა თანამედროვე სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რამდენადაც საკუთარი აზროვნებისა და მოქმედებების გააზრება-შეფასებისა და მიღებული გამოცდილების საფუძველზე შემდგომი მოქმედებების კორექტირების უნარის ფლობა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე, თვითრეგულირებადი პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველია.

მიუხედავად მეტაკოგნიტიური უნარების მნიშვნელობის გააზრება-აღიარებისა, თანამედროვე სასკოლო პრაქტიკაში ნაკლები ყურადღება ეთმობა კონკრეტულ სტრატეგიებს, რომლებიც მათ განვითარებას უზრუნველყოფს. კერძოდ, საკლასო ოთახებში იშვიათად იყენებენ ეფექტურად ამ უნარების განმავითარებელ ისეთ მნიშვნელოვან სტრატეგიას, როგორიცაა მეტაკოგნიტიური პაუზა.

მეტაკოგნიტიური პაუზა სპეციალურად დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობაა, რომლის დროსაც გამოიკვეთება სწავლის მიზანი, მოქმედებები, გამოყენებული სტრატეგიები და მიღებული შედეგები. მიზანშეწონილად გამოყენებული მეტაკოგნიტიური პაუზები გვეხმარება კონკრეტული სასწავლო ამოცანების ეფექტურად გადაჭრაში, თუმცა მათი უმთავრესი სარგებელი სწავლის პროცესის მიმდინარეობის შიგა მექანიზმების გააზრება-რეგულირების უნარის განვითარებაა. პაუზები მასწავლებელს აძლევს საშუალებას, დაანახოს მოსწავლეებს ურთიერთმიმართება სასწავლო მიზნებსა და განხორციელებულ აქტივობებს შორის, გააზრებინოს ყოველი აქტივობის ეფექტის განმაპირობებელი ფაქტორები, დაამყარებინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები განხორციელებულ მოქმედებებსა და სწავლის შედეგებს შორის. ამგვარი აქტივობებით მოსწავლე იძენს საკუთარი სწავლა-შემეცნების პროცესის დაგეგმვა-განხორციელების უნარს.

რეალური შედეგის მისაღებად არსებითია, აღნიშნული სტრატეგია გააზრებულად, მისი სრული პოტენციალის ათვისებით იქნეს გამოყენებული. პროცესში ცენტრალურ ფიგურად გვევლინება მასწავლებელი, რომელიც მიზანმიმართული კითხვებისა და ეფექტური უკუკავშირის გამოყენებით წარმართავს სწავლებას.

მოსწავლეთა თვითრეგულირებადი სწავლის უნარის ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მეტაკოგნიტიური პაუზების გამოყენება, რომლებიც სასწავლო პროცესის დაგეგმვა-მიმდინარეობის კრიტიკულ შეფასებას უზრუნველყოფს. ასეთი პაუზები ეფექტურად გამოიყენება როგორც გაკვეთილის გამოწვევისა და დასკვნით ფაზებში, ისე კონკრეტული აქტივობის მიმდინარეობის დროს, აქტივობის წინ და აქტივობის შემდეგაც. ყველა ამ შემთხვევაში მასწავლებელს გეგმაზომიერი მოქმედება მოეთხოვება.

მეტაკოგნიტიური პაუზების შინაარსი და ფორმა, სასწავლო პროცესის ეტაპების შესაბამისად, მეტ-ნაკლებად სხვადასხვაა.

მოსწავლეს ვერ მოვთხოვთ, დამოუკიდებლად აღმოაჩინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული აქტივობა ან როგორ უწყობს ის ხელს სასწავლო შედეგის მიღწევას. ამგვარი გააზრება მიზანმიმართული მხარდაჭერის გარეშე იშვიათად ხდება.

გამოწვევის ფაზაში, როცა გაკვეთილის მიზნების გაცნობის შემდეგ სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ვარაუდების გამოთქმის დროს მოსწავლეები იხსენებენ წინარე გამოცდილებას, წარმატებულ პრაქტიკას, სწავლა-შემეცნების მექანიზმის ეფექტურად გაცნობიერებისთვის მნიშვნელოვანია, მხოლოდ აქტივობათა დასახელებას კი არ დავჯერდეთ, არამედ საკუთარი გამოცდილების გააზრებაშიც დავეხმაროთ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია, დროდადრო ვთხოვოთ მათ, გაიხსენონ, როდის და როგორ გამოიყენეს დასახელებული აქტივობა, რატომ მიიჩნევენ, რომ დღეს ის მათ დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარება. სასურველია, იგივე სტრატეგია გამოვიყენოთ მოსწავლეებისთვის ჩვენ მიერ დაგეგმილი აქტივობების წინასწარ გაცნობის დროსაც.

მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, გაკვეთილის დასკვნით ფაზაში მოსწავლეებმა არა მხოლოდ დაასახელონ განხორციელებული აქტივობები, არამედ ისიც გაიხსენონ, რა სირთულეები შეხვდათ და როგორ დაძლიეს ისინი; შეაფასონ, რამდენად ეფექტური იყო ესა თუ ის აქტივობა; დააზუსტონ, რომელმა აქტივობამ რა წვლილი შეიტანა სასწავლო მიზნების მიღწევაში.

ამავე პრინციპით წარიმართება აქტივობის წინა და აქტივობის შემდგომი მეტაკოგნიტიური პაუზებიც. აქტივობის წინა მეტაკოგნიტიური პაუზის დროს შესასრულებელი ინსტრუქციის გაცნობა-გააზრების პროცესს თან სდევს მსჯელობა კითხ-



ვების გარშემო: რატომ არის მნიშვნელოვანი ამ აქტივობის შესრულება? რა წვლილს შეიტანს ის კონკრეტული სასწავლო მიზნების მიღწევაში? რა შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ, რომ დავალება წარმატებით შესრულდა?

აქტივობის შემდგომი მეტაკოგნიტიური პაუზის დროს უკვე პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: შესრულდა თუ არა ინსტრუქცია? რამდენად შეესაბამება მიღებული შედეგი მოლოდინს? რა სირთულეები წარმოიშვა? საჭირო გახდა თუ არა პროცესში ცვლილებების შეტანა? რას გავითვალისწინებთ მომავალში?

მეტაკოგნიტიური პაუზების ეფექტურად გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია მოსწავლეს, გააცნობიეროს კონკრეტული აქტივობის დანიშნულება და მისი კავშირი სასწავლო მიზნებთან. ამისთვის საკმარისი არ არის სასწავლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება. მოსწავლეს ვერ მოვთხოვთ, დამოუკიდებლად აღმოაჩინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული აქტივობა ან როგორ უწყობს ის ხელს სასწავლო შედეგის მიღწევას. ამგვარი გააზრება მიზანმიმართული მხარდაჭერის გარეშე იშვიათად ხდება.

მოსწავლეთა შესაბამისი უნარების განვითარება მასწავლებლის წინასწარ დაგეგმილ და თანმიმდევრულ მოქმედებებს მოითხოვს. პირველ ეტაპზე მასწავლებელი არ უნდა შემოიფარგლოს ინსტრუქციის მიცემით - მან უნდა ახსნას, რატომ შეარჩია კონკრეტული აქტივობა, როგორ უკავშირდება ის სასწავლო მიზანს, რა შედეგს ელოდება თავად. ამით მასწავლებელი მოსწავლეებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის ლოგიკის გაცნობიერებაში დაეხმარება. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირი განმარტების გზით, ისე ხმამაღლა ფიქრის მეთოდის გამოყენებითაც, როდესაც მასწავლებელი უშუალოდ არ მიმართავს მოსწავლეებს.

მომდევნო ეტაპზე, მოსწავლეთა გამოცდილების ზრდისა და მეტაკოგნიტიური უნარების გაძლიერების შესაბამისად, პასუხისმგებლობა თანდათანობით გადადის მათზე. მასწავლებელი აღარ აძლევს მოსწავლეებს მზა განმარტებებს. ის მიზანმიმართული კითხვებით წარმართავს მსჯელობას, სთხოვს მოსწავლეებს, თავად განსაზღვრონ აქტივობის მიზანი, ივარაუდონ მოსალოდნელი შედეგები, დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები. ამ გზით თანდათანობით იზრდება მოსწავლეთა კომპეტენცია, დაგეგმონ და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს.

სამწუხაროდ, აღნიშნულ სტრატეგიას ბევრი საერთოდ არ იყენებს საგაკვეთილო პროცესში, ბევრიც იყენებს ფორმალურად, მხოლოდ აქტივობების ჩამოთვლის დონეზე. მასწავლებლები ამჯობინებენ, არ დაკარგონ კონკრეტული სასწავლო შინაარსის გადასაცემად საჭირო დრო. სწორედ ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, წარმოვაჩინოთ მეტაკოგნიტიური პაუზის მნიშვნელობა. უნდა გავიაზროთ, რომ მეტაკოგნიტიური პაუზა წარმოადგენს არა დამატებით აქტივობას, არამედ სწავლების სტრატეგიას, რომელიც მოსწავლეს საკუთარი სწავლის პროცესის გაცნობიერებულ და პასუხისმგებლობიან მმართველად აქცევს.

რა თქმა უნდა, არ არის სავალდებულო, მეტაკოგნიტიური პაუზა ყველა გაკვეთილზე, ყოველი აქტივობის წინ და შემდეგ გამოვიყენოთ, – ეს მართლაც გადატვირთავს სასწავლო პროცესს, – მაგრამ აუცილებელია, ამ სტრატეგიას რეგულარულად მივმართოთ. მეტაკოგნიტიური პაუზების მიზანმიმართული და სისტემური გამოყენება ქმნის სასწავლო პროცესის მთლიანობაში გააზრება-შეფასების შესაძლებლობას და კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა თვითრეგულირებადი სწავლის უნარის ჩამოყალიბებისათვის. ამ სტრატეგიის მეშვეობით სწავლა-სწავლება გასცდება მშრალი ცოდნის მიღებას და უმაღლესი სააზროვნო უნარების შეძენის პროცესად იქცევა.

მარეხ ნიკოლაძე

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკები (EVIDENCE-BASED PRACTICES, EBP) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან მუშაობისას

აუტისტური სპექტრის აშლილობის (ASD) მქონე ბავშვების რაოდენობის ზრდასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი პედაგოგიკური პრაქტიკის დანერგვას, რომლის ეფექტიანობა მეცნიერული კვლევებით არის დადასტურებული. თანამედროვე საერთაშორისო ლიტერატურაში ასეთი მიდგომები ცნობილია როგორც **მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკები (Evidence-Based Practices – EBP)**. აღნიშნული პრაქტიკები ხელს უწყობს ბავშვის კომუნიკაციური, სოციალური, კოგნიტიური, ემოციური და ადაპტაციური უნარების განვითარებას, ამცირებს პრობლემურ ქცევებს და ზრდის ბავშვის დამოუკიდებლობას. სტატიაში განხილულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკების არსი და მათი მნიშვნელობა სკოლამდელი განათლებისთვის, დეტალურად არის წარმოდგენილი Naturalistic Developmental Behavioral Interventions (NDBI), Early Start Denver Model (ESDM) და TEACCH მოდელები. თითოეული მათგანი განხილულია პრაქტიკული მაგალითებისა და თამაშების ფონზე.

ინკლუზიური განათლება თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. მისი მიზანია ყველა ბავშვისთვის, განურჩევლად ინდივიდუალური თავისებურებებისა, თანაბარი შესაძლებლობების შექმნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლება, რადგან სწორედ ამ ასაკში ყალიბდება კომუნიკაციის, სოციალური ურთიერთობების, თამაშის, ემოციური თვითრეგულაციისა და დამოუკიდებლობის საფუძვლები.

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან მუშაობა აღმზრდელისგან მოითხოვს არა მხოლოდ კეთილგანწყობასა და ემპათიას, არამედ იმ მეთოდების ცოდნასაც, რომელთა ეფექტიანობა მეცნიერულად არის დადასტურებული. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ შემთხვევითი ან მხოლოდ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება ვერ უზრუნველყოფს ისეთ შედეგებს, როგორსაც იძლევა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკების გამოყენება.

Evidence-Based Practices (EBP) ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს: მეცნიერულ კვლევებს, პროფესიულ გამოცდილებას და ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწორედ ამ სამი ელემენტის ერთობლიობა ქმნის ხარისხიანი ინკლუზიური განათლების საფუძველს.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკების (EBP) არსი

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა გულისხმობს სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელთა ეფექტიანობა მრავალი კვლევით, ექსპერიმენტითა და სისტემური მიმოხილვით არის დადასტურებული. ასეთი მიდგომები არა მხოლოდ თეორიას ან ინდივიდუალურ გამოცდილებას, არამედ მრავალწლიანი კვლევის შედეგებსაც ეფუძნება.

საერთაშორისო ორგანიზაციები Division for Early Childhood (DEC), National Association for the Education of Young Children (NAEYC) და National Clearinghouse on Autism Evidence and Practice რეკომენდაციას უწევენ სწორედ იმ ინტერვენციებს, რომლებმაც პრაქტიკაში მაღალი ეფექტიანობა აჩვენა.

EBP-ს გამოყენების ძირითადი მიზნებია:

- კომუნიკაციის განვითარება;
- სოციალური ურთიერთობების გაუმჯობესება;
- თამაშში ჩართულობის გაზრდა;
- დამოუკიდებლობის ხელშეწყობა;
- პრობლემური ქცევის შემცირება;
- ოჯახის აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში.

რატომ არის თამაში სწავლების მთავარი ინსტრუმენტი?

სკოლამდელ ასაკში თამაში ბავშვის განვითარების ბუნებრივი ფორმაა. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის ის მხოლოდ დასვენების ან გართობის საშუალება არ არის. სწორად დაგეგმილი თამაში წარმოადგენს სწავლის, კომუნიკაციისა და სოციალური ურთიერთობის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს.

თამაშის პროცესში ბავშვი სწავლობს:

- თვალით კონტაქტის დამყარებას;
- ყურადღების გაზიარებას;
- რიგის დაცვას;
- ემოციების ამოცნობას;
- დიალოგს;
- პრობლემის გადაჭრას;
- წარმოსახვის ამუშავებას.

ამ მიზეზით თანამედროვე EBP მიდგომები სწავლების მთავარ ფორმად სწორედ თამაშს იყენებს.

NATURALISTIC DEVELOPMENTAL BEHAVIORAL INTERVENTIONS (NDBI)

NDBI სწავლების თანამედროვე, ბუნებრივ გარემოზე დაფუძნებული მოდელია. იგი აერთიანებს ქცევით ანალიზს, განვითარების თეორიასა და თამაშზე დაფუძნებულ სწავლებას. სწავლება მიმდინარეობს ბავშვისთვის ნაცნობ გარემოში – ბაღში, სათამაშო კუთხეში ან ეზოში.

ამ მიდგომის მთავარი პრინციპია, რომ სწავლება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს. თუ ბავშვი ინტერესდება მანქანებით, მასწავლებელი სწორედ ამ ინტერესს იყენებს ახალი უნარების განსავითარებლად.

სტრატეგია – ინტერესზე დაფუძნებული სწავლება

აღმზრდელი არ აიძულებს ბავშვს კონკრეტული აქტივობის შესრულებას. პირიქით, აკვირდება, რა აინტერესებს ბავშვს და სწავლების პროცესს ამ ინტერესზე აგებს.

თამაში „ჯადოსნური ბუშტები“

მიზანი: თვალით კონტაქტისა და კომუნიკაციის განვითარება
საჭირო მასალა: საპნის ბუშტები

აღმზრდელი რამდენიმე წამის განმავლობაში ბერავს ბუშტებს, მერე კი ჩერდება. ბავშვი ბუნებრივად გამოხატავს სურვილს, თამაში გაგრძელდეს. თავდაპირველად შესაძლოა მიანიშნოს მხოლოდ მზერით, შემდეგ – ჟესტით, მოგვიანებით თქვას: „კიდევ“.

მისი ყოველი მცდელობის შემდეგ აღმზრდელი დაუყოვნებლივ აგრძელებს ბუშტების ბერვას.

ვითარდება:

- ერთობლივი ყურადღება;
- კომუნიკაცია;
- თვალით კონტაქტი;
- სოციალური ინიციატივა.

თამაში „დამეხმარე“

აღმზრდელი ბავშვს აძლევს კონტეინერს, რომელიც ოდნავ ძნელად იხსნება.

ბავშვს დახმარება სჭირდება.

მასწავლებელი ელოდება, სანამ ბავშვი შეხედავს, გაუწვდის კონტეინერს ან სიტყვიერად სთხოვს დახმარებას. ასე ბავშვი სწავლობს კომუნიკაციის ბუნებრივ გამოყენებას.

EARLY START DENVER MODEL (ESDM)

ESDM ადრეული ინტერვენციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოდელია. იგი განკუთვნილია უმთავრესად 12-48 თვის ბავშვებისთვის, თუმცა მისი მრავალი ელემენტი ეფექტიანად გამოიყენება სკოლამდელ დაწესებულებებშიც.

ამ მოდელის მთავარი იდეაა, რომ სწავლება მიმდინარეობდეს თამაშის, პოზიტიური ემოციებისა და ბავშვის ინტერესების გამოყენებით. აღმზრდელი გამუდმებით ცდილობს, დაამყაროს სასიამოვნო ურთიერთობა, რადგან სწორედ პოზიტიური ემოციური კავშირი ამაღლებს ბავშვის მოტივაციას.

თამაში „მე და შენ ერთად“

აღმზრდელი და ბავშვი იატაკზე სხედან. მათ შორის დევს ბურთი. აღმზრდელი ამბობს: „ახლა შენთან მოვიდა“ – და აგორებს ბურთს. ბავშვი აბრუნებს.

შემდეგ ემატება სიტყვები:
„ჩემი“; „შენი“; „კიდევ“.

ასე ვითარდება:

- დიალოგი;
- რიგის დაცვა;
- სოციალური ინტერაქცია.

თამაში „სიმღერა მოძრაობით“

აღმზრდელი მღერის: „თუ ბედნიერი ხარ...“

ყველა ასრულებს მოძრაობებს:

- ტაში
- ფეხის ბაკუნი
- ხელების აწევა

შემდეგ ბავშვი ირჩევს მომდევნო მოძრაობას.

ეს თამაში ავითარებს:

- იმიტაციას;
- ერთობლივ ყურადღებას;
- მეტყველებას;
- სხეულის კოორდინაციას.

თამაში „გააგრძელე ისტორია“

აღმზრდელი იწყებს პატარა ამბავს: „დათუნია ტყეში წავიდა...: შემდეგ ჩერდება. ბავშვი ამატებს სიტყვას ან ჟესტს. ისტორია გრძელდება.

ეს აქტივობა ავითარებს:

- წარმოსახვას;
- კომუნიკაციას;
- ლექსიკას.

პოზიტიური განმტკიცება (POSITIVE REINFORCEMENT)

პოზიტიური განმტკიცება წარმოადგენს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის (Applied Behavior Analysis, ABA) ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიას, რომელიც ფართოდ გამოიყენება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან მუშაობისას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასურველი ქცევის გამოვლენისთანავე ბავშვს ეძლევა მისთვის მნიშვნელოვანი და სასურველი განმამტკიცებელი (reinforcer), რის შედეგადაც იზრდება მომავალში ამ ქცევის განმეორების ალბათობა.

სკოლამდელ ასაკში პოზიტიური განმტკიცება განსაკუთრებით ეფექტურია, რადგან ბავშვები სწრაფად რეაგირებენ დადებით უკუკავშირზე. კვლევები აჩვენებს, რომ განმტკიცება მხოლოდ ახალი უნარების ჩამოყალიბებას კი არ უწყობს ხელს, არამედ პრობლემურ ქცევასაც ამცირებს და ბავშვის მოტივაციასაც ამაღლებს სასწავლო პროცესში ჩასართავად (Wong et al., 2015; Hume et al., 2021).

პოზიტიური განმტკიცების გამოყენებისას მნიშვნელოვანია, აღმზრდელმა ზუსტად განსაზღვროს, რომელი ქცევის განმტკიცება სურს. სასურველია, განმტკიცება იყოს **დროული, კონკრეტული და ბავშვისთვის ღირებული**. მაგალითად, თუ მიზანია თვალით კონტაქტის დამყარება, განმტკიცება ამ ქცევის გამოვლენისთანავე უნდა მოხდეს.

განმამტკიცებელი შეიძლება იყოს:

- სიტყვიერი ქება („ყოჩაღ, ძალიან კარგად გააკეთე!“);
- ღიმილი და ტაში;
- საყვარელი სათამაშოთი თამაშის ნებართვა;
- სტიკერები ან ვარსკვლავები;
- ჟეტონები (Token Economy);
- მუსიკის მოსმენა;
- საპნის ბუშტები;
- სენსორული სათამაშოები.

პოზიტიური განმტკიცება არ უნდა იქცეს მოქრთამვად. ამ ორ ქმედებას შორის ის განსხვავებაა, რომ განმამტკიცებელს ბავშვი სასურველი ქცევის შემდეგ იღებს, ხოლო ქრთამს სასურველ ქცევამდე სთავაზობენ. ამიტომ განმტკიცება ყოველთვის უნდა მოჰყვეს სასურველ ქცევას.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ შემთხვევითი ან მხოლოდ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება ვერ უზრუნველყოფს ისეთ შედეგებს, როგორსაც იძლევა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკების გამოყენება.

თამაში „ვარსკვლავების ბაღი“

მიზანი: სასურველი ქცევის განმტკიცება
მასალა: ფერადი ვარსკვლავები, პლაკატი

აღმზრდელი წინასწარ ადგენს კონკრეტულ მიზანს, მაგალითად:

- მეგობართან ერთად თამაში;
- რიგის დაცვა;
- სათამაშოს გაზიარება;
- ინსტრუქციის შესრულება.

ყოველი წარმატებული ქცევის შემდეგ ბავშვი იღებს ერთ ვარსკვლავს.

როდესაც ის ხუთ ვარსკვლავს მოაგროვებს, შეუძლია, აირჩიოს საყვარელი აქტივობა:

- საპნის ბუშტების გაშვება;
- მუსიკალური თამაში;
- პლასტილინით თამაში;
- საყვარელი ზღაპრის მოსმენა.

თამაში ავითარებს და განამტკიცებს:

- თვითკონტროლს;
- მოტივაციას;
- სოციალურ ქცევას.

თამაში „სიურპრიზების ყუთი“

აღმზრდელს აქვს ლამაზად გაფორმებული ყუთი.

შიგნით აწყვია:

- პატარა სტიკერები;
- ფანქრები;
- ფერადი საშლელები;
- სენსორული ბურთები;
- პატარა ფიგურები.

თუ ბავშვმა დამოუკიდებლად შეასრულა დავალება ან გამოიყენა სიტყვა, რომელსაც სწავლობდა, შეუძლია, ყუთიდან ერთი ნივთი ამოიღოს.

ასეთი განმტკიცება განსაკუთრებით ეფექტურია ახალი უნარების სწავლებისას.

თამაში „დღევანდელი გმირი“

დღის ბოლოს ჯგუფში ირჩევენ ბავშვს, რომელმაც ყველაზე მეტად ითანამშრომლა მეგობრებთან.

იგი იღებს მედალს **„დღევანდელი მეგობარი“** ან **„დღევანდელი დამხმარე“**.

ასეთი აქტივობა ხელს უწყობს:

- სოციალურ ურთიერთობებს;
- პოზიტიურ ქცევას;
- თვითშეფასების ამაღლებას.

აღმზრდელის რეკომენდაციები

პოზიტიური განმტკიცების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია:

- განმტკიცება მოხდეს სასურველი ქცევის გამოვლენისთანავე;
- ქება იყოს კონკრეტული („მომეწონა, მოთმინებით რომ დაელოდე შენს რიგს“ და არა უბრალოდ „ყოჩაღ“);
- განმამტკიცებელი შეესაბამებოდეს ბავშვის ინტერესებს;
- ეტაპობრივად შემცირდეს მატერიალური განმამტკიცებლები და გაიზარდოს სოციალური წახალისების როლი (ქება, ტაში, ღიმილი, თანატოლების აღიარება).

ამრიგად, პოზიტიური განმტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ეფექტიან პრაქტიკას, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების სოციალური, კომუნიკაციური და ქცევითი უნარების განვითარებას სკოლამდელ საგანმანათლებლო გარემოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. American Psychiatric Association. (2022). *Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders* (5th ed., text rev.; DSM-5-TR). American Psychiatric Publishing.
2. Division for Early Childhood. (2014). *DEC Recommended Practices in Early Intervention/Early Childhood Special Education*. Council for Exceptional Children.
3. Hume, K., Steinbrenner, J. R., Odom, S. L., Morin, K. L., Nowell, S. W., Tomaszewski, B., Szendrey, S., McIntyre, N. S., Yücesoy-Özkan, Ş., & Savage, M. N. (2021). *Evidence-Based Practices for Children, Youth, and Young Adults with Autism: Third Generation Review. Journal of Autism and Developmental Disorders, 51*(11), 4013-4032.
4. National Association for the Education of Young Children. (2020). *Developmentally Appropriate Practice: Position Statement.*
5. National Research Council. (2001). *Educating Children with Autism*. National Academies Press.
6. Odom, S. L., Brown, W. H., Frey, T., Karasu, N., Smith-Canter, L. L., & Strain, P. S. (2003). *Evidence-Based Practices for Young Children With Autism. Topics in Early Childhood Special Education, 23*(3), 162-175.
7. UNESCO. (2020). *Global Education Monitoring Report 2020: Inclusion and Education - All Means All.*
8. Wong, C., Odom, S. L., Hume, K. A., Cox, A. W., Fettig, A., Kucharczyk, S., Brock, M. E., Plavnick, J. B., Fleury, V. P., & Schultz, T. R. (2015). *Evidence-Based Practices for Children, Youth, and Young Adults with Autism Spectrum Disorder: A Comprehensive Review. Journal of Autism and Developmental Disorders, 45*(7), 1951-1966.
9. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (2024). *ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი.*

მაკა სახურია

ტროპის წვიმა ნუგზარ შატაიძის „თუთქის მიმყრელში“

სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა უპირველესი მიზანია, მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევები განვუვითაროთ. ერთიან ეროვნულ გამოცდაზეც ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტში გვაქვს ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული კითხვები და ესე, რომელშიც აბიტურიენტმა მწყობრად უნდა იმსჯელოს, გააანალიზოს ტექსტში მოცემული პრობლემები ანუ ამოხსნას ტექსტის მთავარი სათქმელი. ტექსტების კვლევა კი ყოველთვის სამი მიმართულებით მიმდინარეობს: 1. მთავარი სათქმელის ამოცნობა; 2. მხატვრულ სახეთა დეკოდირება; 3. მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების აღქმა და ანალიზი.

ტროპული მრავალფეროვნება შემოქმედებითი სახისმეტყველების მთავარი მახასიათებელი და ტექსტის დამამშვენებელია. ადამიანს ხელოვნებაში, უპირველესად, იზიდავს მისი ესთეტიკური ბუნება, მშვენიერების ძიება, სამყაროს გარდასახვა.

ტროპის უძველესი განმარტება ეკუთვნის რომაელ ორატორს მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 35-96 წლებში ცხოვრობდა. მისი განმარტებით, „ტროპი სიტყვის საკუთარი მნიშვნელობის ისეთი შეცვლაა, როდესაც ხდება ამ მნიშვნელობის გამდიდრება“.

დაეჯერება კვინტილიანეს, რომელიც ანტიკური ხანის ორატორული ხელოვნების ყველაზე სრულყოფილი სახელმძღვანელოს – „ორატორის მოძღვრების“ – ავტორია. ის მიიჩნევა ანტიკური პედაგოგიკის კლასიკოსად, კლასიკურ-ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებლად.

დიახ, ტროპი ამდიდრებს სიტყვის სემანტიკას და სძენს მას მხატვრულ ელფერს, ტონებს, სიღრმეს, გამომსახველობას. ტროპი ტექსტის „სამკაული“ და „მაკიაჟია“. თუმცა არსებობენ ავტორები, რომლებიც არ ცდილობენ ტროპული ხერხებით ტექსტის გამდიდრებას, ჰყვებიან ამბავს სადად, რეალისტურად, შეულამაზებლად, ძალდაუტანებლად. საკმარისია, გავიხსენოთ ჩვენი გენიალური დავით კლდიაშვილი, რომლის პროზაში ტროპული მეტყველება თითქმის არ გვხვდება, მაგრამ ეს არამც და არამც არ აკნინებს მის მხატვრულ ღირებულებას. როცა მოსწავლეები კლდიაშვილის შესწავლისას სვამენ კითხვას, როგორ ახერხებს ეს მწერალი, მხატვრული შელამაზების გარეშე შექმნას ესოდენ შთამბეჭდავი ტექსტები, მომყავს ხოლმე ასეთი შედარება: წარმოვიდგინოთ ორი მომხიბლავი ქალბატონი, ერთი – ძვირფასი სამკაულებითა და მაკიაჟით გამშვენიერებული, მეორე – სრულიად შეუმკობელი ძვირფასი თვლებითა და ფერებით, მაგრამ ბუნებრივად ნატიფი, დახვეწილი, თვალწარმტაცი. ხომ შესაძლებელია, სამკაულებისა და მაკიაჟის გარეშეც იყოს ადამიანი ულამაზესი? შესაძლებელია! ასევეა ტექსტიც. ზოგი ავტორი მას ამკობს ალმასებითა და მარგალიტებით, მატებს ფერებსა და ტონებს, ზოგი კი უარს ამბობს ამგვარ გამშვენიერებაზე და სათქმელს მდიდარი კაზმული სიტყვით, ღრმა ემოციებით, ქვეტექსტებით გადმოსცემს. მკითხველისთვის ორივე სასიამოვნო საკითხავია. ტროპით შელამაზებული ტექსტი თავისებურ ზემოქმედებას ახდენს და იზიდავს მკითხველს, ხოლო ტროპის გარეშე თხრობა სადა, გულწრფელი და უშუალოა.

იმისთვის, რომ პრაქტიკულად გავიაზროთ ტროპულად მდიდარი თუ ღარიბი მხატვრული ტექსტების ძალა და ხიბლი, მეთორმეტე კლასში, „სამანიშვილის დედინაცვლის“ შესწავლისას, საანალიზოდ ვიღებთ უცხო ტექსტს, რომელშიც, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ტროპის წვიმაა და ვადარებთ კლდიაშვილის ხელწერას. ვირჩევთ ნუგზარ შატაიძის „თუთქის მიმყრელს“.

ცნობილია, რომ ნუგზარ შატაიძის ენა და ლექსიკა უმდიდრესია, ნოყიერი ქართული ნიადაგით არის ნასაზრდოები. მწერალი საოცარი ოსტატობით იყენებს ამ საუნჯეს. იყენებს არქაიზმებსა და დი-



დიდოსტატ მწერალს შეუძლია, ტროპის გარეშეც, პერსონაჟთა მოქმედებით, დიალოგებითა და პოლილოგებით ააგოს მხატვრული სიტყვიერების დაუვიწყარი ნიმუში. არჩევანი ავტორსა და მის ოსტატობაზეა, მკითხველებს კი ნიჭიერად დაწერილი ორივე მოგვეწონება – ტროპის წვიმაც და გვალვაც.

ალექტიზმებს, უძველესი ქართული ეთნოგრაფიიდან აცოცხლებს სიტყვებს, რომლებიც უკვე მივიწყებულია, მაგრამ მწერალი თავისი სიტყვების კიდობნიდან ისე ვირტუოზულად და მოხდენილად ჩასვამს ხოლმე ასეთ მარგალიტებს თხრობაში, ნამდვილად აღაფრთოვანებს მდიდარი ქართული ლექსიკის მოყვარულ მკითხველს.

„თუთქის მიმყრელი“ სამ-ოთხგვერდიანი ნოველაა, მაგრამ იმდენად მაღალმხატვრული და გამომსახველია ყოველი აბზაცი, რომ მკითხველის წინაშე კინემატოგრაფიული სიზუსტით ცოცხლდება რეალობა.

მოქმედება ხდება თხლაშაძიანთ ოჯახში, ტიპურ ქართულ სოფელში, რომლის სახელსაც ავტორი არ გვიმხელს, ისე კი მის მოთხრობებში მოქმედების ადგილი ხშირად ქართლია, კასპის სოფლები.

მეტაფორაა თავად მოთხრობის სათაურიც – „თუთქის მიმყრელი“. თუთქი ყოფილა წყალში არეული ნაცარი, რომლითაც თონის ნაკვერჩხალს აქრობენ. ამ ფუძისგან ნაწარმოებ ზმნას თანამედროვე ქართულში ხშირად ვიყენებთ: **გული დაეთუთქა.** გვხვდება მისგან წარმოებული ზედსართავი სახელიც – **გულდათუთქული.** თხლაშაძეების ოჯახში თუთქის მიმყრელია დედაბერი, ოჯახის უხუცესი წევრი. „თუთქის მიმყრელის“ სემანტიკა კი ასეთია: ეს ქალი კონფლიქტურ და ხმაურიან ოჯახში ყველას დამშოშმინებელი, სოფლის წინაშე ოჯახის პრობლემების შემნიღბველი და რეპუტაციის დამცველია.

თხლაშაძეები მოლაპარაკე ანუ მეტაფორული გვარია. ძირი **თხლაშ** (მისგან არის ნაწარმოები **თხლაშანი, თხლეშა**) დაკავშირებულია ცემასთან, ძალადობასთან, აგრესიასთან. ოჯახიც კონფლიქტურია, მოჩხუბარი; ჭირვეული, აგრესიული წევრები ჰყავს: ვაჟი ნიკა თავის ენამწარე ცოლთან ერთად, მათი ქალიშვილი და სიძე წრუტნა. ყველა ერთმანეთს ეკინკლავება და ბებერს სოფლის წინაშე სირცხვილი კლავს. მოთხრობა იწყება მოხდენილი მეტაფორით: **„ყველა ოჯახში თითო კოჭობი თუხთუხებსო... ზოგში ჩუმად, დაფარულად იხარშება სამსალა, ზოგშიც დუღს და გადმოდის – გააჩნია, სად როგორ ცეცხლს უკეთებენ“.**

ბავშვებს, რასაკვირველია, არ ეცოდინებათ და უფროს თაობასაც დავიწყებული ექნება, რომ კოჭობი თიხის ან ლითონის მომცრო ჭურჭელია, ერთგვარი ქოთანი, რომელშიც კერძს ამზადებდნენ ან რომლითაც ყანაში სადილი მიჰქონდათ გლეხებს.

„ყველა ოჯახში თითო კოჭობი თუხთუხებს“ – როგორი მეტაფორაა? რამხელა სიღრმე აქვს ამ ფრაზას! ის გულისხმობს, რომ ყველა ოჯახში ხდება სასიხარულო თუ სავალალო ამბები. კოჭობის თუხთუხი სიცოცხლის, საქმიანობის, შრომის, წინსვლის, კეთილდღეობის სიმბოლოც არის და უბედურებისაც, თუ მასში არა ბედნიერი ოჯახის გამოსაკვები კერძი, არამედ სამსალა იხარშება. აქ, შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს ლადო ასათიანის „ბარდნალას“ გენიალური სახე-სიმბოლო – „ჩემი პაწია ქოთანი, დუღილით ნაქოთქოთარი“. ამ „ქოთქოთა ქოთანს“ ლადოს მუზეუმშიც იპოვით. ეს მხატვრული სახე გასული საუკუნეების სოფლად მცხოვრები გლეხური ოჯახების ეთნოგრაფიასა და ყოფის მთელ პერიპეტიებს აცოცხლებს.

თხლაშაძიანთ კოჭობი საოცარი გაპიროვნებითაც ცოცხლდება: „იმდენი შემკეთებლები ჰყავდათ და ისეთ გიზგიზა მუგუზლებსაც უმარჯვებდნენ, ის პაპის ნაქონი ჭურჭელი სულ კოჭდაგდებითა დუღდა“. მეტაფორას მეტაფორა ენაცვლება და მკითხველს აოცებს ტროპის წვიმა, რომელიც მოთხრობის ფინალამდე არ ნელდება. აქ მომარჯვებული მუგუზლებიც მეტაფორაა და ოჯახის წევრთა აგრესიას გულისხმობს.

მწერალი ყველა მეტაფორას თავისი გმირების მხატვრული სახეების ფილიგრანული ოსტატობით დასახატავად იყენებს. მთავარი გმირია თუთქის მიმყრელი – ოჯახური კონფლიქტის დროს გამშველებელი და მომრიგებელი. ბებერი დედაკაცი თავს იწონებს, „ჩვენს კოჭობს ოქროს ძირი აქვსო“, მერე კი ჩივის, რომ როცა **„დაჯანდაგდა და მთელმა სოფელმა ციცხვივით შიგ დაიწყო ტრიალი, მაშინ კი გახდნენ ქვეყნის ბაირაღები...“** როგორი გამომსახველი ზმნაა „დაჯანდაგდა“?! ავტორს ხომ შეუძლია, უბრალოდ თქვას, რომ ქოთანი დაძველდა, მაგრამ მხატვრული სიტყვის მაგია სწორედ ამგვარი სემანტიკურად დატვირთული სიტყვების მოფიქრებით გამოიხატება. სიტყვებისა, რომლებიც მკითხველს მშრალად კი არ აწვდის ინფორმაციას, არამედ უამრავი ძაფის გაბმის, ფიქრისა და ჩაღრმავებისკენ უბიძგებს. „კოჭობი დაჯანდაგდა“ მეტაფორულად გამოხატავს ამ ოჯახის წევრების უგემურ და უხეირო ცხოვრებას. მთელმა სოფელმა „ციცხვივით შიგ დაიწყო ტრიალი“ – ამ ოსტატური შედარებით კი იკვეთება, რომ თხლაშაძეების ოჯახურ კონფლიქტში უკვე მთელი სოფელი ერევა. „ქვეყნის ბაირაღები“ – ეს მეტაფორაც ძალზე გამომსახველია: გვეუბნება, რომ ოჯახის დაფარული ამბები ბაირაღივით (დროშასავით) გამოეფინა სოფელში და ყველამ ყველაფერი შეიტყო მათზე.

ეფექტურად რომ გადმოსცეს, რა მძიმე და აუტანელი იყო თხლაშაძეების მუდმივი კინკლაობა, რომელიც დილაუთენია, მამლის ყივილამდე იწყებოდა, ავტორი იყენებს შედარებას („იტყოდი, გადაღმელი ლეკები ჩამოჭრილანო“) და ეპითეტებს. აქ ისმის შეშინებული ბალღების ღნავილი, ჭიტლაყამოკრული ძაღლის წკმუტუნი და დაქოჩრილი ქალების წყევლა-კრულვა. მხოლოდ „ჭიტლაყამოკრულიც“ კი კონფლიქტის მთელ სურათს კინოკადრივით აცოცხლებს. თუთქის მიმყრელის შვილი ნიკა ისეთი ეპითეტებით იხატება, რომ მკაფიოდ დაგვანახოს პერსონაჟის ფსიქოტიპი. აი, ისინიც: **გულარჯალა, კერპი, კემუტი, გაუტეხელი, ავყია, ავსიტყვა, ცოფიანი, გადარეული, ჯაჭვით დასაბმელი.** აქვე ავტორი საოცარი ეპითეტებით ხატავს ოჯახის სიძეს – წრუტნას (სახელიც კი რამდენს ამბობს ამ პერსონაჟზე!) – ის გახლავთ **ჩუმჩუმელა, რბილი ეკალი** (ეპითეტი+მეტაფორა), **ჩხუბისა და დავიდარაბის უსტაბაში, უნდილი, ხელთუპყარი, არყისა და ღვინის წუწკი.** ეს ეპითეტები საკმარისია, რომ მკითხველმა მოახერხოს პერსონაჟის ხასიათის რეკონსტრუქცია და თვალნათლივ წარმოიდგინოს მისი პორტრეტი. რასაკვირველია, აქვე ყველგან, უარყოფითი პერსონაჟების ხატვისას, გამოყენებულია ლიტოტესი, გროტესკი, სატირა და სარკაზმი.

მწერალი ახერხებს, ამ მცირე ტექსტით გადმოსცეს უდიდესი ადამიანური ტკივილი და სულიერი ტანჯვა. თუთქის მიმყრელი დედაბერი „ენაზე თაფლს გადიდენდა და მეზობლის ენაქლარც დედაკაცს კმაყოფილსა და თვალებში ნაცარშეყრილს გაისტუმრებდა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს და იმასაც გაუწყდა ილაჯი, დაკუტდა, დაჩაჩანაკდა - გამშველებლადა და მოჩხუბრების დამშოშმინებლად აღარა ვარგოდა... ნაჯაფარ ხელებს გახუნებული კაბის კალთაში ჩაიწყობდა და იღვენთებოდა ჩუმად. იწვოდა სოფელი იმის საცოდაობით. დედაბერს კი თავისი ჯავრი კლავდა – ათუხთუხებული კოჭობი არ ასვენებდა. სიზმარივით აგონდებოდა დიდი დარბაზი, ქორწილის სუფრასავით დიდი სუფრა, მინდორივით განიერი ტახტი და სიამტკბილობით მოუმიარებული ერთი სოფლისოდენა ოჯახი, აგონდებოდა და უკვდებოდა გული...“

მომნუსხველია შატაიძის ენის სიმდიდრე და ბრწყინვალება. რა ოსტატურად არის გამოყენებული ქართლური დიალექტიზმი „მოუმიარებული“! ის, სავარაუდოდ, „ჟამიდან“ უნდა მოდიოდეს და ნიშნავდეს ჟამგამოვლილს, გამოცდილს, დავარგებულს, დამშვიდებულს, სიამტკბილობით, სითბოთი და სიყვარულით სავსეს. ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ჩანს თხლაშაძეების ოჯახის წარსული კეთილდღეობა. მკითხველი ხვდება, რას უქცევია თუთქის მიმყრელად ეს საოცარი მოხუცი: მას ტკბილი და თბილი ოჯახი ჰქონდა, სადაც ყველამ იცოდა სირცხვილ-ნამუსი, ახლა კი სოფელს მათგან კარგი არაფერი ესმის, ამიტომ ბებომ ასეთი გამოსავალი იპოვა: როცა ოჯახში ჩხუბი და აყალმაყალი დაიწყებოდა, ის ეზოში ჯდებოდა და დოლის დაკვრას იწყებდა. ამ ხმის გაგონებაზე სოფელს ჯერ „უცნაურად ეჭინჭრებოდა ტანი“, მაგრამ მალე ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. აი, კიდევ ერთი ზმნური ფორმა, სახელისგან წარმოებული და სემანტიკურად დატვირთული: „აეჭინჭრა“. გენიალურია! არანაკლებ მოხდენილ ეპითეტებს იყენებს ავტორი თანასოფლელ ჭიტუას დასახატად: **ხეხელა, სოფლის ანგალი, ენაკვიმატი.** თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში ამ ლექსიკურ ერთეულებს იშვიათად შეხვდებით. გიორგი ლეონიძისა და რევაზ ინანიშვილის სიტყვათქმნადობა თუ შეედრება შატაიძის მსუყე ქართულს.

ავტორს არც დედაბრის დასახატად ელევა ეპითეტები: „პირღიმილიანი, თვალებცრემლიანი ზის და უკრავს“, – თუმცა მკითხველის გაოცება აქ არ სრულდება. თვით დოლის ხმა გაპიროვნების ხერხითა და შედარებით საოცრად გადმოიცემა: „ხან გაძლიერდება, ფეთიანივით გადაურბენს სოფელს, მინდვრად გაიჭრება და ჩამომწვანებულ მთებს შეეხლება, ხანაც მისუსტდება – ძლივსღა ისმის... ამ ხმაზე იღვიძებს და იძინებს სოფელი“.

გაპიროვნების მასტერკლასია გაზაფხულის სოფლური პეიზაჟის აღწერის დროს გამოყენებული: „შეიშმუშნებოდნენ აფუებული მინდვრები, ღონივრად გაიზმორებოდნენ და იტყვი, არტახები დაწყვიტესო, მწვანედ ამოანათებდა ქორფა ბალახი. საყვარლად გადაიპენტებოდა ხეხილიც“.

ნუგზარ შატაიძის ეს ნოველა შესანიშნავი მაგალითია იმისა, რამდენად მომხიბლავი შეიძლება იყოს მკითხველისთვის ტროპულად მდიდარი ტექსტი, ხოლო დავით კლდიაშვილის მხატვრული ენა – არა მხოლოდ „სამანიშვილის დედინაცვალში“ – გვაჩვენებს, რომ დიდოსტატ მწერალს შეუძლია, ტროპის გარეშეც, პერსონაჟთა მოქმედებით, დიალოგებითა და პოლილოგებით ააგოს მხატვრული სიტყვიერების დაუვიწყარი ნიმუში. არჩევანი ავტორსა და მის ოსტატობაზეა, მკითხველებს კი ნიჭიერად დაწერილი ორივე მოგვეწონება – ტროპის წვიმაც და გვალვაც.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge